2. ფლანგზე გახსნა, როცა ბურთს დაეუფლება მეკარე ან პარტნიორი და მათგან გადაცემის მიღება;
3. მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელად შეტევაში ჩართვა.

თანამედროვე ფეხბურთში, როგორც უკვე აღვნიშნეთ მცველების თამაშმა ცვლილებები განიცადა. წინათ ისინი მოწინააღმდეგის მოედანზე იშვიათად გადადიოდნენ და თითქმის არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ შეტევის დაწყების ორგანიზაციასა და უშუალოდ შეტევაში. ამჟამად, ბურთის უმისამართოდ მოგერიების მეთოდს მცველები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ, კერძოდ მაშინ, როდესაც მათ არც დრო და არც სათანადო სივრცე არ აძლევთ საშუალებას, ითანაშონ ზუსტად. თანამედროვე სტილის მცველები აქტიურად მონაწილეობენ როგორც შეტევის დაწყებაში, ასევე მის ორგანიზაციასა და შეტევის გადამწყვეტ ფაზაში. მცველები ხშირად გადადიან წინ შეტევაზე როგორც ბურთით, ასევე უბურთოდ. შეტევაში ჩართული მცველის თამაში ეფექტურია, თუ იგი პოზიციას იკავებს პარტნიორის უკან ან გვერდით, მოულოდნელად სწრაფი გარბენით ან მანევრით ქმნის რიცხოვრივ თანაფარდობას ან უპირატესობას მოწინააღმდეგის ნახევარზე ან კართან ახლოს.

მცველის აქტიური თამაშისთვის ასევე მნიშვნელოვანია შეტევაში ჩართული მცველის პოზიციის დროული დაზღვევა პარტნიორის მიერ. თუ კი მცველი, რომელიც შეტევაში მონაწილეობს, დარწმუნებულია, რომ ბურთის დაკარგვის შემთხვევაში მის ადგილს დროულად შეავსებს პარტნიორი, იგი უფრო გაბედულად იმოქმედებს და წავა წინ. მცველების სათანადო მოქმედებანი ხშირად ჰგავს შუა ხაზის და თავდასხმისათვის დამახასიათებელ ტაქტიკურ მოქმედებებს. დაცვაში თამაშის დროს გამოიყენება დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი – პრესინგი.

პრესინგი - ნიშნავს ზეწოლას. პრესინგის მიზანია, მოწინააღმდეგეს შეუზღუდოს როგორც მოქმედების დიაპაზონი, ასევე სივრცე. პრესინგი ეფექტურია მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე, რომელიც ბურთს ფლობს და მცველი, ერთმანეთისგან დაშორებულია არა უმეტეს 1-1,5 მეტრისა, და მცველი საშუალებას არ აძლევს მეტოქეს, განაგრძოს მოძრაობა კარის მიმართულებით. ფეხბურთელს, რომელიც პრესინგს თამაშობს, უნდა ახსოვდეს, რომ მისი მიზანი და ამოცანაა, ყოველთვის იდგეს მოწინააღმდეგის ზურგს უკან, გრძნობდეს მის სუნთქვას, არ მისცეს საშუალება მოწინააღმდეგეს ბურთი გადააწოდოს წინ, თავის პარტნიორს შეტევის გასანვითარებლად.

ბურთის დაკარგვისთანავე, გუნდის ყველა ფეხბურთელი უნდა ეცადოს, სასწრაფოდ დაიბრუნოს ბურთი შეტევის ან კონტრშეტევის განსახორციელებლად, რათა არ დაიკარგოს ძვირფასი წუთები, მოწინააღმდეგეს არ მიეცეს საშუალება, თავისუფლად დაამუშაოს ბურთი და დაუბრკოლებლად გადააწოდოს ის თავის პარტნიორს. დაგვიანებულ რეაქციას მივყავართ ერთი შეცდომიდან მეორემდე. პრესინგი უნდა გამოიყენონ ბურთის დაკარგვისთანავე, როდესაც ბურთი გადადის ერთი გუნდიდან მეორე გუნდის მფლობელობაში. შეცდომები ძირითადად უყურადღებობით არის გამოწვეული. ეს კი, თავის მხრივ, აზროვნების კონცენტრაციის გაფანტვის შედეგია. ყურადღების კონცენტრაცია ის თვისებაა, რომელიც შესაძლებელია ფეხბურთელმა მხოლოდ და მხოლოდ ვარჯიშის დროს გამოიმუშაოს, განსაკუთრებით ორმხრივი თამაშისას.

იმისთვის, რომ აიძულონ მეტოქე, დაუშვას შეცდომა, წამყვანი გუნდები ხშირად იყენებენ პრესინგს მოწინააღმდეგის მოედანზე, რაც ხშირ შემთხვევაში, სასურველი შედეგის მომტანია. როდესაც გუნდი გაშლილია მთელ მინდორზე და მოთამაშეებს შორის წარმოიქმნება ბევრი თავისუფალი ადგილი, პრესინგის გამოყენება ამ შემთხვევაში ნაკლებად ეფექტურია.

პრესინგის წარმატებით გამოყენების მიზნით, გუნდი თავს უნდა არიდებდეს მოთამაშეთა „განთესვას“ ანუ ერთმანეთისგან შორეული პოზიციის დაკავებას, ცდილობდეს, შექმნას მინდორზე მოთამაშეთა კომპაქტური განლაგება. კომპაქტური განლაგება შეიძლება გაკეთდეს სამ შემთხვევაში:

1. როდესაც თავდამსხმელები ბურთის დაკარგვისთანავე დაუყოვნებლივ დაიწყებენ თამაშს დაკარგული ბურთის დასაბრუნებლად, ე.ი. გამოიყენებენ პრესინგს მცველების წინააღმდეგ, მათსავე ნახევარზე;
2. როდესაც დაცვისა და ნახევარდაცვის მოთამაშეები სწრაფად გადადიან წინ გაგზავნილ ბურთთან ერთად და იწყებენ მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეების ახლო მანძილზე „აყვანას“ და მათი მანევრირების კონტროლს.
3. როდესაც მოთამაშეები გადაინაცვლებენ მინდვრის გასწვრივ, იმ ზონაში, სადაც ბურთისთვის მიმდინარეობს ორთაბრძოლა, რათა მოწინააღმდეგეს არ მიეცეს გამოტანის საშუალება.

პრესინგს აქვს თავისი უპირატესობა და ნაკლი. უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ პრესინგი საშუალებას არ აძლევს მოწინააღმდეგეს, აკონტროლოს თამაშის ტემპი. ეფექტურია ნელი გუნდების წინააღმდეგ და ასევე გუნდის მიმართ, რომელსაც ცუდი ტექნიკა აქვს. ის ეფექტურია მატჩის ბოლოს, როდესაც გუნდი აგებს, რაც დემორალიზებას უკეთებს მოწინააღმდეგეს. ეფექტურია სტანდარტული კომბინაციის ჩაშლის მიზნით. პრესინგი ხელს უწყობს აგრესიულობას და რწმენას უწერავს ფეხბურთელს. დაცვაში პრესინგის გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან. იგი ფეხბურთელისგან ითხოვს მაღალ, სპორტულ კოორდინაციას, სისწრაფესა და აგრესიულობას, მცველების დიდ შრომისუნარიანობას, ხანგრძლივ და მუყაით ვარჯიშს. ვარჯიშის სირთულეც გამოიხატება იმაში, რომ შეუძლებელია ყოველდღიურ ვარჯიშზე პრესინგის დამუშავება. ასეთი ვარჯიშები ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად გადამღლეელია. ასევე გადამღლეელია გუნდის მიერ ჩემპიონატში პრესინგის ხშირი გამოყენება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გრძელი სკამის საკითხი არ არის გადაჭრილი. პრესინგის დროს ხშირია ჯარიმები. პრესინგმა შეიძლება დააზიანოს ახალგაზრდა ფეხბურთელი.

საფეხბურთო პრაქტიკაში გამოიყენება ორი ტიპის პრესინგი – **პერსონალური და ზონური**. ერთი და მეორეც გუნდმა შეიძლება გამოიყენოს როგორც მთელ მინდორზე, ასევე საკუთარი მინდვრის ნახევარზე ან მინდვრის რომელიმე გარკვეულ მონაკვეთზე. როდესაც პრესინგი გამოიყენება უშუალოდ კარის სიახლოვეს, ეს უკვე პირადი მეურვეობაა.

პირადი პრესინგის დროს თითოეული მცველი მიმაგრებულია კონკრეტულ თავდამსხმელთან. ამ შემთხვევაში მცველები უნდა ცდილობდნენ, თავდამსხმელები შეავიწროვონ რაც შეიძლება გვერდითი ხაზისკენ, რათა შეუზღუდონ მოქმედების დიაპაზონი და გადაცემის შესაძლებლობა. მცველი ყველა საშუალებით უნდა ეცადოს, თავდამსხმელი არ გასცდეს მას. თუ თავდამსხმელი ზურგით დგას მოწინააღმდეგის კარის მიმართულებით, ამ შემთხვევაში მცველთან ახლოს მდგომ მოთამაშეს შეუძლია დაეხმაროს პარტნიორს. ორი მცველი ერთის წინააღმდეგ უფრო ადვილად შეძლებს ბურთის წართმევას, სანამ მოწინააღმდეგე შემობრუნდება და სწორ ორიენტაციას აიღებს მინდორზე. თუ თავდამსხმელი გაექცევა მცველს, იგი ვალდებულია, სწრაფად და დაუყოვნებლივ განაგრძოს ბურთისთვის ბრძოლა.

იმისთვის, რომ მცველმა გაიადვილოს თამაში და ეფექტურად იმოქმედოს **პირადი პრესინგის დროს**, საჭიროა მოქმედებდეს შემდეგნაირად:

1. მოწინააღმდეგეს, რომელიც ფლობს ბურთს, უნდა ეთამაშოს მჭიდროდ, ახლო მანძილზე;
2. ყურადღებით იყოს, რათა არ გაექცეს მოწინააღმდეგე;
3. ბურთის წართმევის დროს შეინარჩუნოს წონასწორობა;
4. რაც შეიძლება შეამჭიდროვოს მოწინააღმდეგე ხაზის მიმართულებით;
5. დაუყოვნებლივ, სწრაფად გადაერთოს თავისუფალ მოთამაშეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი მეტოქე თავისუფლდება კარის სიახლოვეს და მასზე დაზღვევას ვერავინ აკეთებს;
6. არ მისცეს საშუალება მოწინააღმდეგეს, მიიღოს ბურთი;
7. ყველა მცველს უნდა ახსოვდეს, რომ მიმაგრებულია თავდამსხმელზე ინდივიდუალურად, მაგრამ ამავე დროს გაუწიოს დახმარება პარტნიორს და ითამაშოს დაზღვევაზე.

პირითადი მოთხოვნები მცველების მიმართ **ზონური პრესინგის გამოყენების დროს** არის შემდეგი:

1. მცველი იმ ზონაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი, სადაც იგი თამაშობს. მან უნდა ითამაშოს არა ფეხბურთელზე, არამედ ბურთზე;

2. მცველმა უნდა აიძულოს მოწინააღმდეგე, ბურთი გადასცეს გვერდით ან უკან, რათა არ მისცეს საშუალება თავდამსხმელს წამოიწყოს მწვავე შეტევა;
3. ბურთი გაიტანოს სახიფათო ზონიდან რაც შეიძლება შორს, გვერდით ხაზთან ახლოს;
4. გამოიჩინოს აგრესიულობა ბურთის "ჩაჭრის" დროს;
5. მზად იყოს, მოწინააღმდეგეს წაართვას ბურთი, როდესაც იგი გაჩერდება ან მობრუნდება საკუთარი კარის მიმართულებით;
6. ეცადოს, მოწინააღმდეგეს მინიმუმამდე შეუმციროს ბურთის მიღების და დამუშავების დრო.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, თავდამსხმელის თამაშმა დიდი ევოლუცია განიცადა. იგი გაცილებით მრავალფეროვანი, რთული და საინტერესო გახდა. თავდამსხმელები თამაშობენ ყველა იმ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო პოზიციაში, საიდანაც უშუალოდ უნდა გაიტანონ ბურთი მოწინააღმდეგის კარში. თავდამსხმელები შეტევის დაწყების მიზნით უკან იხევენ საკუთარ კართან ახლოს და იქიდან იწყებენ შეტევას. ასევე მანევრირებენ ფლანგებზე იმისთვის, რომ თავდამსხმელმა წარმატებით მოუგოს ორთაბრძოლა მოწინააღმდეგეს, იგი თავისი ფიზიკური მონაცემებით არ უნდა ჩამორჩებოდეს მცველს და უნდა გააჩნდეს ექსტრემალურ სიტუაციაში სწრაფი ორიენტაციის უნარი.

თავდამსხმელს უნდა ახასიათებდეს აგრესიულობა, შეტევის სტილი, ბრძოლისუნარიანობა და გააჩნდეს უნარი, თავისი ფსიქიკა მიმართოს უშუალოდ შეტევისკენ. საჯარიმო მოედანში შესული თავდამსხმელის გადაწყვეტილება, უპირველესად, უნდა იყოს კარში ბურთის დარტყმა, მეორე კი გადაცემა. თუ ფეხბურთელი პირიქით აკეთებს ამას, იგი არასოდეს იქნება აქტიური (აგრესიული) შემტევი თავდამსხმელი კარის აღებისთვის ბრძოლაში. ამასთანავე, არ უნდა იყოს დაბრმავებული თავისი პარტნიორების მიმართ. ე.ი. მხოლოდ თვითონ კი არ უნდა ცდილობდეს ბურთის კარში დარტყმას, არამედ უნდა ეცადოს სხვასაც შეუქმნას ასეთი შესაძლებლობა.

ფეხბურთელი, რომელიც ხშირად დარბის ბურთით, მალე იღლება. თამაში ამ შემთხვევაში ნაკლებ ეფექტურია. ბურთის ტარება, მოტყუება ყველაზე სასარგებლოა მეტოქის დაცვის ზონაში. მიუხედავად იმისა, თუ როგორ ასრულებს დანარჩენ ტექნიკურ ილეთს, თავდამსხმელის მთავარ ღირსებად მაინც ბურთის გატანა რჩება.

დასკვნა

მცველების როლი თანამედროვე ფეხბურთში გასცდა მხოლოდ მექანიკურ დაცვას და გარდაიქმნა სტრატეგიულ ინსტრუმენტად როგორც შეტევის, ისე მთელი სათამაშო დინამიკის ფორმირებაში. მათგან მოითხოვება ტექნიკური სიზუსტე, ტაქტიკური ინტელექტი და ფიზიკური გამძლეობა, რაც მათ გადააქცევს გუნდის ბალანსის განმსაზღვრელ ბირთვად. პრესინგი კი, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაცვით-შემტევი ტაქტიკა, ქმნის პირობებს მოწინააღმდეგის დეზორიენტაციისა და ბურთის სწრაფი დაბრუნებისთვის. თუმცა, მისი წარმატებული გამოყენება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მთელი გუნდი მოქმედებს სინქრონში, მაღალი კონცენტრაციითა და სათანადო ფიზიკური მზადყოფნით. საბოლოოდ, დაცვის ხაზისა და პრესინგის ეფექტური გამოყენება გარდამტეხ როლს ასრულებს თანამედროვე ფეხბურთში შედეგზე ორიენტირებული თამაშის წარმატებაში.

The Role of Defenders and Pressing in Contemporary Football

Tamaz Jashi

Abstract

In modern football, the responsibilities and range of actions of defenders have significantly expanded. Whereas previously the primary task of a defender was to "break up" the opponent's attack, today solid defensive play also requires active involvement in their own team's offensive efforts and participation in various phases of the attack. The necessity to perform high-volume work and execute a variety of tactical actions has further elevated the importance of pressing and defensive roles in contemporary football.

Keywords: Defensive line, defender, pressing, zonal defense, man-marking, ball possession, tactical movement, technique, attack, pass, space limitation, concentration, ball interception, quick run.

0222 ისტორია და არქეოლოგია History and Archaeology**რა ტაქტიკას უნდა მიმართოს ქართველმა სამღვდელოებამ საქართველოს ეკლესიის
ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ?
(1906 წლის მოვლენებზე დაყრდნობით)**

გვანცა ბურდული
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
E-mail: g.burduli@sangu.edu.ge

რეზიუმე

XIX საუკუნე ერთ-ერთი რთული ეპოქა აღმოჩნდა საქართველოსათვის. ეპოქის სირთულე განაპირობა არა მარტო პოლიტიკურმა ცვლილებებმა (ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება, ბაგრატიონთა გადასახლება, XIX საუკუნიდან დაწყებული აჯანყებების მარცხმა და ა.შ.), არამედ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ (1811 წელს გაუქმდა ერთ-ერთი უძველესი საპატრიარქო - მცხეთის საპატრიარქო, ხოლო 1814 წელს - ლიხთი-მერეთისა და აფხაზთა საპატრიარქო). 1906 წლამდე ქართველ სასულიერო პირებს არაერთხელ ჰქონდათ მცდელობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში დაეყენებინათ, თუმცა უშედეგოდ. ამისათვის პოლიტიკური მზაობაც იყო საჭირო. 1906 წელს რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ნაშრომში განხილულია 1906 წელს დაწყებული მოვლენები, კერძოდ ავტოკეფალისტური მოძრაობის მიზნები და ამ პროცესებში ქართველი სასულიერო პირების როლი. ცხადია, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა სურდა ყველას, მაგრამ აღნიშნული საკითხის უკან იყო მთელი რიგი პრობლემები, რომელთა გადაჭრასაც სერიოზული ძალისხმევა ესაჭიროებოდა. ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ მეცნიერებაში მართებულად მიჩნეული ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის, წყაროს ციკლური შესწავლისა და სისტემური ანალიზის მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია, 1906 წელი, ქართველი სასულიერო პირები.

შესავალი

საქართველოს ისტორიაში XX საუკუნის დამდეგიდან შეინიშნება რამდენიმე საყურადღებო მოვლენა. ამ მოვლენათაგან ჩვენ გამოვყოფთ ორს:

1. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის შექმნისათვის დაწყებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას (ავტონომისტთა მოძრაობას);
2. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მოძრაობას (ავტოკეფალისტთა მოძრაობას) (ბურდული 2012: 3).

1905 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული გახშირდა ქართველი სამღვდელოების კრებები, რომლებზეც ითხოვდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) აღდგენას. რუსეთის ხელისუფლება ქართველი სამღვდელოების მოთხოვნებს უმკაცრესი რეპრესიებით პასუხობდა, განსაკუთრებით კი დევნიდა სასულიერო პირების შეკრებებს. სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ საქართველოში დაწყებული ავტოკეფალისტური მოძრაობის შეჩერება გართულებოდა, მით უფრო მაშინ როდესაც რუსეთის იმპერიაშიც გაისმა პატრიარქის ინსტიტუტის აღდგენის თაობაზე მოთხოვნა (1721 წლიდან მოყოლებული რუსეთის ეკლესიას პატრიარქი აღარ ჰყავდა, პეტრე I-ის მიერ გატარებული რეფორმის თანახმად რუსეთის ეკლესია დაექვემდებარა რუსეთის ეკლესიის უწმიდესს და უმართებულეს სინოდს, რომელსაც საერო პირი - ობერ-პროკურორი მართავდა).

ძირითადი ნაწილი

რუსეთის საიმპერატორო კარი გრძნობდა, რომ საჭირო იყო რეფორმები, მაგრამ მან ისიც კარგად უწყოდა, რომ საეკლესიო რეფორმის გატარება ადვილი არ იქნებოდა, რეფორმას სერიოზული გააზრება და გულდასმით მომზადება სჭირდებოდა. გადაწყდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში გასატარებელი რეფორმის პროექტი უნდა მოემზადებინა საგანგებოდ შექმნილ ორგანოს - რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირს (Бычков 1998: 117-120). საეკლესიო კრების წინარე თათბირი გაიხსნა

1906 წლის 8 მარტს პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ტაძარში. საეკლესიო კრების წინარე თათბირს დიდი მისია დაეკისრა. მას ბიძგი უნდა მიეცა რუსეთის სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის. წინარე თათბირზე წამოყენებული იქნა საკითხები, რომელთა გადაჭრაც აუცილებლობას მოითხოვდა.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება იხილავდა საქართველოს ეკლესიის სტატუსის საკითხსაც. ქართველმა სასულიერო პირებმა ძალიან კარგად უწყოდნენ ის პრობლემები, რომელიც ამ დროს საქართველოს ეკლესიაში არსებობდა. მთავარი მაინც უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენა იყო, რომელიც მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ცხადია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით შიდა საეკლესიო პრობლემები ვერ მოგვარდებოდა, ძალიან დიდი დაფიქრება იყო საჭირო როგორ უნდა დასმულიყო ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი, რა საზღვრებში სურდათ ქართველებს ავტოკეფალიის აღდგენა? მიეღოთ ტერიტორიული ავტოკეფალია თუ ეროვნულ ავტოკეფალიას დასჯერებოდნენ? საყურადღებო იყო რუსეთის იმპერიის პოზიცია, რომელსაც არ სურდა ეგზარქოსობის ინსტიტუტის გაუქმება საქართველოში. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობდნენ 1906 წლის თებერვლის თვეში ეპისკოპოსი კირიონი (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი კირიონ II) და ეპისკოპოსი ლეონიდე (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე). ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს ქართველი მაღალი იერარქების პოზიციის შეფასება, ამ შემთხვევაში უფრო საინტერესოდ მიგვაჩნია, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტი, რომელიც ასეა დასათაურებული: „Какой тактики должно держаться грузинское духовенство при восстановлении родной в автокефальных ея правах? (мнение группы священников)“ და რომელიც სხვა ქართველი სასულიერო პირების მოსაზრებას წარმოადგენს. დოკუმენტიდან არ ჩანს აღნიშნული სასულიერო პირების ვინაობა, თუმცა ჩვენი ვარაუდით ესენი იყვნენ ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე და ანტონ თოთიბაძე. ჩვენს ვარაუდს ამყარებს საარქივო დოკუმენტზე კალმით მიწერილი ზემოთ დასახელებული სასულიერო პირების ვინაობის დამადასტურებელი ტექსტი. დოკუმენტის შინაარსი ძალზე საინტერესოა. იგი ნათელს ჰფენს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის გაუარესების მიზეზებს და ამავე დროს იძლევა აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსვლის გზებსაც: „ყველა უბედურებისა და განსაცდელის, რომელიც საქართველოს ეკლესიას უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში დაატყდა თავს და რომელიც ასე ნათლად და ყოვლისმომცველად არის განხილული ქართველი სამღვდელოების პეტიციებში, მღვდელმთავრების ლეონიდესა და კირიონის მოხსენებებში, მთავარი მიზეზი არის ის, რომ საქართველოს ეკლესიას მართავდა პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმი და რომ ის (საქართველოს ეკლესია) მოწოდებული იყო ემსახურა საერო, სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის. ამ მდგომარეობის სამართლიანობაში გვარწმუნებს სხვათა შორის ისიც, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანებს არც თვით რუსეთში ჰქონდათ ქართველებზე უკეთესი მდგომარეობა, რადგან თვით რუსეთის ეკლესიაც ასევე იმყოფებოდა (და იმყოფება დღემდე) საერო ბიუროკრატიის ტყვეობაში: პეტერბურგელ მღვდელთა ჯგუფის მოხსენებითი ბარათისა და მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტ ანტონის მიერ მინისტრთა კომიტეტში შეტანილი დებულებების შემდეგ - ეს აღარავისთვის საიდუმლო არ არის. შესაბამისად, მართლმადიდებელი სამღვდელოები „განმათავისუფლებელი მოძრაობის“ მთავარი მიზანი (ჩვენთანაც და რუსეთშიც) იმაში მდგომარეობს, რომ გათავისუფლდეს მართლმადიდებელი ეკლესია ორასწლიანი (თუ მეტი არა) საერო ხელისუფლების ტყვეობისგან, გათავისუფლდეს პირდაპირი სახელმწიფოებრივი ან პოლიტიკური მისიისგან“ (სეა, სცსა, ფ. 1458, ა. 1, ს. 174: 42). დოკუმენტის ავტორები აღნიშნავენ, რომ ეკლესიაში პრობლემების მოგვარება უნდა დაიწყო „კრებითობის პრინციპის“ აღდგენით, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული სარწმუნოებრივი იდეაა. წარსულში მართლმადიდებელი ეკლესია ემყარებოდა კრებით მმართველობას, ეპისკოპოსების არჩევითობას და საერო პირების აქტიურ მონაწილეობას საეკლესიო გადაწყვეტილებების მიღების დროს. ბიუროკრატიულმა სისტემამ ეს პრინციპი ჩაანაცვლა ცენტრალიზებული, ერთპიროვნული მმართველი აპარატით, სადაც მღვდელმთავრები იძულებულნი იყვნენ სახელმწიფოს ინტერესები დაეკმაყოფილებინათ. აღნიშნულ ვითარებაში დოკუმენტის ავტორთა აზრით აუცილებელი იყო ეკლესიაში რეფორმის ჩატარება და ისტორიული კანონზომიერების აღდგენა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია განიხილებოდა არა როგორც პრივილეგია, არამედ როგორც ბუნებრივი უფლება, რომელიც ეკლესიის ისტორიულ მემკვიდრეობასა და მისი ერის სულიერ საჭიროებებს ემყარებოდა. „ამრიგად, რუსეთის და საქართველოს ეკლესიები უპირველეს ყოვლისა უნდა გაიმჯღონ სახელმწიფოსგან, უნდა გაარკვიონ და განსაზღვრონ თავიანთი ურთიერთობები მასთან და ეს მიჯნა იმდენად ნათელი უნდა იყოს, რომ თითოეულმა მხარემ, როგორც ეკლესიამ, ისე სახელმწიფომ, კარგად იცოდეს - სად არის „კეისრისა“ და სად იწყება „ღვთისა“. ეს

კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სახელმწიფო სათათბირო და სახელმწიფო საბჭო მიუჩენენ მას სახელმწიფოში ახალ ადგილს. მანამდე კი რუსეთის და საქართველოს ეკლესიებმა ადგილობრივად უნდა გაარკვიონ ის მდგომარეობა, რომლის დაკავებაც სურთ განახლებულ სახელმწიფოში და რომელიც, მათი ერთობლივი გადაწყვეტილებით, საუკეთესოდ შეუწყობს ხელს ეკლესიის მთავარი მიზნის მიღწევას - დედამიწაზე ღვთის სასუფეველის დამკვიდრებას.

მაგრამ საქართველოს ეკლესიას კიდევ ერთი ამოცანა აქვს - გათავისუფლდეს რუსეთის ეკლესიის დამოკიდებულებისგან, რომელმაც მასზე ძალაუფლება უკანონოდ, ძალადობრივი გზით განახორციელა. დიახ, ეს ამოცანა აქვს საქართველოს ეკლესიას, მაგრამ საკითხის არსი იმაშია: როდის და როგორ გადაწყდეს ეს ამოცანა? ამ საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ის, რომ საქართველოს ეკლესიაზე ძალაუფლების დამყარების საქმეში თვით რუსეთის ეკლესია შეიძლება ითქვას, რომ არაფერ შუაშია. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება არა რუსეთის ეკლესიას, არამედ რუსულ ბიუროკრატიას დასჭირდა. მიზანი კი საქართველოს სწრაფი გარუსება იყო. რუსეთის ეკლესია წმინდა სინოდის სახით, ბიუროკრატიაში შუამავლის სახით გამოიყენა (სეა, სცსა, ფ. 1458, ა. 1, ს. 174: 43). დოკუმენტის ავტორები იმედოვნებდნენ, რომ თუ რუსეთის ეკლესიაში ჩატარდებოდა საეკლესიო კრება და აღდგებოდა პატრიარქის არჩევის წესი, მაშინ რუსეთის ეკლესიას აღარ ექნებოდა სურვილი „მორჩილებაში“ დაეტოვებინა ასაკით მასზე უპირატესი საქართველოს ეკლესია, თუმცა ქართველი სასულიერო პირები ამაში დარწმუნებული არ იყვნენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთ შიშს ისინი ღიად გამოთქვამდნენ. არსებობდა სერიოზული საფრთხე, რომ მომავალი სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება უარყოფდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერებას: „ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ სადაც უფლის სულია (და სად უნდა იყოს ის, თუ არა ღვთის ეკლესიაში), იქ თავისუფლებაა. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ თავისუფალი რუსეთის ეკლესია სიყვარულითა და სიხარულით მისცემს თავისუფლებას თავის საუკუნოვან ტყვეს, ტყვეს არა თავისი ბრალით, მშვიდობიანად გაეყრება საქართველოს ეკლესიას. და თუ ეს არ მოხდება დღეს-ხვალ, მწუხარება და სასოწარკვეთა არ გვმართებს: შეუფერებელი სისწრაფით საქმე უფრო შეიძლება გაფუჭდეს, ვიდრე სასურველ დასასრულამდე მივიდეს, ხოლო ხანგრძლივი, გააზრებული და გულმოდგინე შრომით (და მხოლოდ ამ პირობით), საქმე შეიძლება უფრო მყარად და უკეთესად გაკეთდეს... (სეა, სცსა, ფ. 1458, ა. 1, ს. 174: 43). ცხადია, რომ დოკუმენტის ავტორებს ძალიან კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი, როგორც მიმდინარე მოვლენებიდან ჩანდა, უარყოფითად გადაწყდებოდა. შესაბამისად კარგად უნდა დაფიქრებულიყვნენ ასეთ შემთხვევაში როგორ ემოქმედათ. ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება ამ დროს შესაძლოა შეუქცევადი განხეთქილების მიზეზად ქცეულიყო.

დოკუმენტის ავტორების ასეთი პესიმისტური მოლოდინები ემყარებოდა შემდეგ თვალსაზრისს: რუსეთში ან საერთოდ არ იცნობდნენ ჩვენ ეკლესიას ან ძალიან ცუდად იცნობდნენ. ყველაფერი ის, რაც იბეჭდებოდა წმინდა სინოდის მთავარი პროკურორის ოფიციალურ ანგარიშებში და უმეტეს გაზეთებში, ქმნიდა ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ქრისტიანობა საქართველოში ეგზარქოსების მიერ იქნა შენარჩუნებული. საქმე ის იყო, რომ თვით რუსი სამღვდელოებაც აგრესიით ხვდებოდა ქართველთა ეროვნულ მისწრაფებას. საქმე არც თუ ისე სახარბიელოდ იყო, რადგან მომავალი რუსეთის საეკლესიო კრება და საეკლესიო კრების წევრები საქართველოს ეკლესიის შესახებ ცნობებს გაზეთ „Московские ведомости“-დან, „Новое время“-დან, „Колокол“-დან ღებულობდნენ, სადაც საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ არაფერი იწერებოდა. „იმის გათვალისწინებით, რომ მომავალი სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება, ასე თუ ისე, მთელი რუსეთის ეკლესიის ხმის გამომხატველი იქნება, საქართველოს ეკლესიას არ უღირს რუსეთის ეკლესიასთან კონფლიქტი (ეს ნიშნავს რუს ხალხთან კონფლიქტში შესვლას...)“ ჩვენ, საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეოდ უნდა ვაჩვენოთ, რომ ქართველები არც სეპარატისტები არიან და არც შოვინისტები, და რომ ქართველთა მისწრაფებები მიმართულია ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლის მიხედვითაც შესრულდება მაცხოვრის მცნება: „იყავით სრულყოფილინი“... ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ გულწრფელად გვსურს: 1. რომ საქართველოს ეკლესიისგან არ დარჩეს მხოლოდ დასახელება; 2. რომ გარე განხეთქილებამ არ გაანადგუროს საქართველოს ეკლესიის ეროვნული და სულიერი ფასეულობები; 3. მოეხსნათ ქართველ სასულიერო პირებს სეპარატიზმსა და შოვინიზმში დანაშაულების ბრალდება (სეა, სცსა, ფ. 1458, ა. 1, ს. 174: 44). დოკუმენტის ავტორებს მიაჩნდათ, რომ ასეთ ვითარებაში შესაძლებელი იყო მცირე დათმობაზე წასვლა და მოლოდინის ტაქტიკის არჩევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საეკლესიო კრება დაადგენდა: უძველესი საქართველოს საკათოლიკოსო ტერიტორიაზე ხუთი ეპარქიის შექმნას:

1. სამეგრელო-აფხაზეთის (სოხუმის ოლქი, სენაკისა და ზუგდიდის მაზრები);
2. იმერეთ-გურია-სვანეთის (ბათუმის ოლქი, ოზურგეთის, ქუთაისის, შორაპნის, ლეჩხუმისა და რაჭის მაზრები);
3. ახალციხისა და ქართლის (გორის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, კათედრა გორში);
4. კახეთ-ზაქათალის (თელავის, სიღნაღის, თიანეთის მაზრები და ზაქათალის ოლქი, კათედრა თელავში);
5. მცხეთა-თბილისის (თბილისის, დუშეთისა და ბორჩალოს მაზრები).

დასკვნა

ცხადია, რომ დოკუმენტის ავტორები გამოდიან გარკვეული კომპრომისის ინიციატივით: მათთვის ავტოკეფალია ერთგვარად არამხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ღვთაებრივ სამართლებრივ პრინციპზე დაფუძნებული იდეალია – ბუნებრივი უფლება და არა ბიუროკრატიულ შეთანხმებაზე დამყარებული პრივილეგია. ამდენად, ისინი კომპრომისისათვის მზად არიან, თუკი ეს ეროვნული და სულიერი ერთობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. ნაშრომში ხაზგასმით არის მითითებული, რომ საქართველოს ეკლესიისთვის აუცილებელია თავისუფლებისა და ავტოკეფალიის დაცვა, რაც არა მხოლოდ სულიერი, არამედ პოლიტიკური და ეროვნული გადარჩენის პირობასაც წარმოადგენს. ამდენად, დოკუმენტის შინაარსი ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, თითქოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნა ქრისტიანული სიყვარულის დარღვევად უნდა ჩაითვალოს – პირიქით, სწორედ მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთგულება მოითხოვს საკუთარი ტრადიციების, ავტორიტეტისა და ისტორიული მისიის დაცვას.

ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1458, აღწერა #1, საქმე 174.
2. გ. ბურდული. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი). თბილისი, 2012.
3. Сергей Бычков. Русская Церковь и Императорская власть. Москва, 1998.

What tactics should the Georgian clergy adopt after the restoration of the autocephaly of the Georgian Church? (Based on the events of 1906)

Gvantsa Burduli

Abstract

The 19th century proved to be one of the most challenging periods in Georgian history. The complexity of this era was shaped not only by political transformations – such as the abolition of the Kingdom of Kartli-Kakheti, the exile of the Bagrationi dynasty, and the failure of multiple uprisings throughout the century – but also by the abolition of the autocephaly of the Georgian Apostolic Church. In 1811, one of the most ancient patriarchates, the Patriarchate of Mtskheta, was abolished, followed by the dissolution of the Likhti-Mereti and Abkhazian patriarchates in 1814. Until 1906, Georgian clergy made repeated efforts to bring the issue of restoring the Georgian Church's autocephaly to the forefront of public and ecclesiastical discourse, albeit unsuccessfully. Political readiness was also a necessary condition for this endeavor. The political developments in Russia in 1906 created a favorable environment for reviving the movement for autocephaly. This paper examines the events that began in 1906, particularly the goals of the autocephalist movement and the role of Georgian clergy in these processes. It is evident that the restoration of the Georgian Church's autocephaly was a widely shared aspiration; however, it faced numerous underlying challenges that required considerable effort to resolve. The study employs historically verified methods, including historical-comparative analysis, historical-source analysis, cyclical source study, and systemic analysis.

Keywords: Autocephaly of the Georgian Apostolic Church, 1906, Georgian clergy.

0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა LITERATURE AND LINGUISTICS

La rhétorique dans la poétique des drames bibliques de Jean Racine - "Esther" et "Athalie"

Eka Kvantaliani

Université d'État Akaki Tsérételi de Koutaïssi

E-mail: phmouravi@gmail.com

Abstrait

L'article présente les profondeurs de la pensée rhétorique de Jean Racine dans la poétique des drames "Esther" et "Athalie", basés sur des récits bibliques. Au XVII^e siècle, le classicisme réhabilite l'art ancien de l'oratoire, l'éloquence, et Jean Racine est l'un des dramaturges qui transforment la rhétorique universelle en rhétorique nationale. Il a introduit le principe de la vérité et des éléments de réflexion de la réalité dans la dramaturgie. Le préambule historique de la rhétorique prend une plus grande importance à l'ère de l'absolutisme et devient un moyen d'intégration sociale, car la langue et la rhétorique de l'écrivain deviennent la force principale de la cour royale. Jean Racine a présenté la clarté de la langue française du XVII^e siècle comme modèle linguistique et l'apothéose de l'éloquence de l'époque classique dans ses drames "Esther" et "Athalie" avec des aspects antiques et une synthèse de passages bibliques. La rhétorique de Racine, avec son éloquence française classique, procure un plaisir esthétique au lecteur, tout en introduisant la fonction de vérité et de persuasion dans le théâtre.

Mots-clés: rhétorique, dramaturgie, classicisme, Racine, drames bibliques.

Introduction

Les concepts rhétoriques ont été formés et affinés au fil des siècles, avec différentes significations ajoutées à différentes époques. C'est un fait bien connu que l'éloquence est associée à deux traditions philosophiques: le stoïcisme et l'art oratoire; ses représentants dans l'Antiquité étaient les sophistes grecs, Démosthène, et plus tard les Romains Cicéron et Quintilien (Gardes-Tamine, 1996: 8).

Il est également connu que le sujet et le but de la rhétorique ont toujours été la vérité, qui était associée à l'expression de la vérité. Au XVII^e siècle, le classicisme a procédé à une sorte de réhabilitation de l'art oratoire ancien, de l'éloquence, et Jean Racine fut l'un de ces dramaturges qui introduisirent la rhétorique universelle dans la rhétorique nationale, et des éléments de vérité et de reflet de la réalité dans leurs drames.

Le mot latin *"rhetorica"*, emprunté au grec ancien, exprime la plus haute technique oratoire. La capacité unique de la parole à influencer la conscience a été découverte dans l'Antiquité. Plus précisément, pour citer la chercheuse Ruth Amossy, l'école rhétorique de l'éloquence trouve son origine dans l'Antiquité:

„...telle qu'elle a été élaborée par la culture de la Grèce antique, la rhétorique peut être considérée comme une théorie de la parole efficace liée à une pratique oratoire.“ (Amossy, 2000:6).

De nos jours, la poétique joue un rôle de premier plan dans les études littéraires et, comme l'appellent les chercheurs modernes, elle est la science de la fiction. Comme on le sait, la poésie elle-même est un genre littéraire très ancien, qui se distingue par sa diversité et met au premier plan l'expressivité de la forme, l'agencement rythmique et rimé des mots, etc. La poésie a évolué au fil du temps, chaque siècle lui attribuant une fonction différente, et les moyens d'expression de chaque époque se distinguaient par leur charge unique, qui s'est développée en un style d'écriture caractéristique de chaque poète. Les philosophes grecs ont tenté de clarifier la définition de la poésie, et Aristote dans sa *„Poétique“* a distingué trois genres poétiques: la poésie épique, la poésie comique et la poésie dramatique (Aristote, 1990 : 85).

Pour la première fois dans le monde antique, la diversité de la nature des formes de mots écrits est devenue l'objet de recherches. À cet égard, il est intéressant de considérer la nature de la poétique caractéristique des textes des pièces de Racine *“Esther”* et *“Athalie”*, l'expressivité de son langage littéraire, l'harmonie exquise des phrases artistiques, des rimes ou des rythmes de la poésie.

Partie principale

L'ère classique en France et dans d'autres pays européens au XVII^e siècle a ravivé le style littéraire des auteurs anciens, insufflant une nouvelle vie à la théorie du classicisme. Racine porte la vision aristotélicienne de l'Antiquité à son plus haut niveau dans ses œuvres, parmi lesquelles les drames mentionnés ci-dessus sont exceptionnels. C'est l'époque où le français littéraire devient langue nationale, comme on le sait, où la langue

française s'unifie, surmontant les dialectes. Jean Racine, Jean du Bellay, Ronsard, Pierre Corneille, le théâtre ambulant de Molière et d'autres ont travaillé dur pour cela.

Jean Racine, amateur de tragédies grecques antiques et particulièrement d'Euripide, a ravivé le style du langage dramatique grec antique, l'élevant à un niveau supérieur dans son français moderne, qu'il a orné d'idées alimentées par des principes religieux. Dans ses pièces *"Esther"* et *"Athalie"*, Racine utilise le mètre alexandrin. Après la poésie, le style alexandrin de l'écriture versifiée s'est imposé dans le théâtre français du XVIIe siècle (Harf-Lancner, 2008: 70-71).

Jean Racine a présenté la clarté de la langue française du XVIIe siècle comme modèle linguistique et apothéose de l'éloquence de l'époque classique dans ses drames *"Esther"* et *"Athalie"*, avec leurs aspects antiques et leur synthèse de passages bibliques (Chaudier, 2016: 249-265). Pour comprendre la profondeur des tragédies de Racine, il faut analyser la triple direction créée par Aristote: poétique, rhétorique et éthique. L'auteur, passant de la poétique à l'éthique, arrive à l'essence même du problème, qui, entre la rhétorique et la stylistique, apparaît comme la rationalité dans le langage reflétant un événement particulier. L'auteur, passant de la poétique à l'éthique, arrive à l'essence même du problème, qui, entre la rhétorique et la stylistique, apparaît comme la rationalité dans le langage reflétant un événement particulier.

Au fil des siècles, les définitions de l'art rhétorique ont changé; par exemple, pour Roland Barthes, le *"méta-langage"* était la principale source de la rhétorique, une sorte de langage objectif (le même que le *"discours"*) (Barthes, 1985: 173). En 1963, Roland Barthes publie un essai critique, *"Sur Racine"*, dans lequel il propose une perspective complètement nouvelle sur la critique du classicisme et de Racine en tant que dramaturge à la lumière des théories structuralistes. Barthes analyse le style rhétorique de Racine non pas du point de vue de la critique littéraire traditionnelle, mais d'un point de vue nouveau, celui de ce qu'on a appelé en France au XXe siècle la *"Nouvelle Critique"*, qui s'est ensuite imposée dans toute l'Europe.

Sans comprendre et étudier le langage poétique de l'auteur, il est impossible d'évaluer correctement le texte de l'œuvre et de mener son analyse de recherche littéraire. Les pièces religieuses de Jean Racine *"Esther"* et *"Athalie"* sur des sujets bibliques, écrites sous forme lyrique, se distinguent par leur contenu biblique et l'abondance de termes théologiques, ce qui leur donne une saveur particulière. La structure poétique et la profondeur rhétorique des textes de ces drames sont uniques. Racine emprunte à la Bible une inspiration mystique qui ressemble parfois à l'exclamation de ses chants spirituels dans ses pièces lyriques, comme les hymnes émouvants du psalmiste David. Parallèlement, il approfondit son art dramatique et crée des œuvres hautement artistiques et poétiques, pleines d'éloquence. Il introduit un chœur, faisant de la pièce une sorte d'oratorio avec des chants lyriques musicaux, comme ses *"Cantiques spirituels"*. Dans le prologue d'*"Esther"*, nous lisons:

„Profanes amateurs de spectacles frivoles,
Dont l'oreille s'ennuie au son de mes paroles,
Fuyez de mes plaisirs la sainte austérité.
Tout respire ici Dieu, la paix, la vérité.“ (*Esth.* v. 67- 70)

Jean Racine a écrit les drames *"Esther"* (1689) et *"Athalie"* (1691) dans le contexte des traditions religieuses de l'Ancien Testament. Il existe à la fois des similitudes et des différences entre elles, qui sont les suivantes: les deux pièces sont caractérisées par la transformation des reines bibliques Esther et Athalie en personnages littéraires et artistiques. Esther est un symbole de dévotion au Seigneur et à son peuple, elle est une combattante désintéressée pour son pays. Athalie est la fille de la reine Jézabel, symbole du mal dans la Bible, qui, pour s'emparer du pouvoir, n'épargne même pas ses propres descendants et les tue sans pitié. Apprenant que son petit-fils Joas, sauvé par la volonté de Dieu, il décide de le tuer. Finalement, Athalie, traîtresse à Dieu et au peuple, est condamnée à mort. Elle est à la fois le protagoniste et l'antagoniste de l'œuvre. Tout comme dans *"Esther"*, dans la pièce *"Athalie"*, Dieu contrôle toutes les actions, bien que la méchante reine Athalie le reconnaisse trop tard, alors qu'elle est déjà au bord de la mort:

„[...] Dieu, toi seul as tout conduit...“ (*Ath.* v. 1774).

Le mot *"Dieu"* dans les pièces devient en effet un élément de l'originalité stylistique de l'auteur et une sorte de terme. Racine utilise le nom de Dieu et des constructions sémantiquement complexes dérivées de ce nom, par exemple: *"Au Dieu de l'univers"* (*Ath.* v. 11), *"Dieu d'Israël"* (*Esth.* v. 744 et 748); *"Dieu de Jacob"* (*Ath.* v. 1472, 1476, 1501). Ces désignations plutôt classiques de Dieu acquièrent un sens argumentatif, surtout dans la pièce *"Athalie"*, où la question de distinguer le vrai Dieu du faux dieu Baal dans le temple est très souvent posée. En

particulier, l'expression *"Dieu du ciel"* (Ath.v. 847) est l'opposé de son antithèse _ les dieux terrestres, qui représentent une idole de bois:

*„Le reste pour son Dieu montre un oubli fatal,
Ou même s'empressant aux autels de Baal“ (Ath.v.17-18).*

Comme on le sait, en rhétorique, une figure rhétorique ou stylistique est un procédé utilisé par un auteur ou un orateur sur scène pour transmettre une idée à un auditeur ou à un lecteur à des fins de persuasion. L'action est perçue comme plus chargée émotionnellement afin de rendre la position ou l'argumentation de l'auteur plus convaincante, ce qu'utilise Racine dans ses pièces. La forme d'adresse dans la rhétorique elle-même fait référence à la partie du discours _ *"Elocutio"*, elle vient du mot latin *"loquor"*, qui désigne généralement le style rhétorique, des termes similaires sont *"éloquence"* et généralement *"l'art de la parole"* (Lanham, 1991:144).

Il y a plus d'adresses dans *"Athalie"* que dans *"Esther"*, ce qui peut s'expliquer de plusieurs manières : non seulement Athalie est plus longue, mais toute l'action de la pièce se déroule presque entièrement dans le temple, et il est plus facile de parler de Dieu ou de s'adresser à Lui ici que dans *"Esther"*, où le héros est obligé de cacher sa foi à ses interlocuteurs pendant la majeure partie de la pièce. Les références personnelles à Dieu (plutôt qu'à Sion, Jérusalem ou d'autres entités métonymiques de la puissance de Dieu sur terre) apparaissent 15 fois dans *"Esther"* et 46 fois dans *"Athalie"* (Bary, 1665: 420). Par exemple:

*„Grand Dieu, que cet ouvrage ait place en ta mémoire.
Que tous les soins qu'il prend pour soutenir ta gloire“ (Esth. v. 15-16).*
„[...]Et du Dieu d'Israël les fêtes sont cessées !“ (Esth. v.158).
„Grand Dieu ! que mon amour ne lui soit point funeste“ (Ath. v.255).
„Un Dieu, tel aujourd'hui qu'il fut dans tous les temps“ (Ath. v.126).

Les pièces *"Esther"* et *"Athalie"* de Jean Racine font appel à la pensée métaphorique, à l'hyperbole poétique, à l'euphonie musicale et à d'autres procédés artistiques. À cet égard, les tropes à symbolisme biblique sont particulièrement remarquables. Par exemple, les strophes suivantes de la pièce *"Esther"*, qui décrit l'histoire de l'empereur perse Cyrus II conquérant Babylone en 539 av. J.-C. et permettant aux Juifs de retourner progressivement dans leur patrie, sont pleines de tropes:

*„Détourne, Roi puissant, détourne tes oreilles
De tout conseil barbare et mensonger.
Il est temps que tu t'éveilles.
Dans le sang innocent ta main va se plonger“ (Esth. v. 1067-1070).*

On sait qu'un trope littéraire est un effet artistique réalisé à travers des expressions figuratives rhétoriques pour produire un effet amélioré (émotionnellement, esthétiquement, intellectuellement, etc.). En rhétorique, les figures de style, tant littérales que figuratives, sont traditionnellement classées comme des schémas qui modifient l'ordre de la pensée et donnent aux mots un sens autre que celui qu'ils désignent habituellement.

Racine était un poète-dramaturge avec une vision du monde théologique, qui détermine le style d'écriture, le contenu et le but de ses pièces (*"Esther"* et *"Athalie"*) dans le domaine des études bibliques. La pensée symbolique, ou l'utilisation de mots au sens figuré, est utilisée dans la Bible depuis l'Antiquité. Une forme d'adresse rhétorique (pas une signification phonétique orthographique) est une expression figurative du discours dans laquelle l'auteur s'adresse au public (par exemple, dans une pièce de théâtre) ou à une troisième personne, parfois pas sur scène. Souvent, le destinataire est une qualité abstraite personnifiée, un objet inanimé ou une superpuissance divine. Les formes d'adresse à Dieu sont répandues dans les drames du XVIIe siècle, comme le suggère Jean Racine dans *"Esther"* et *"Athalie"*.

„Ô Dieu ! Qui vois former des desseins si funestes [...]“ (Esth.v.251)
„Qu'ils pleurent, ô mon Dieu, qu'ils frémissent de crainte [...]“ (Ath. v. 827)

Les pièces de Racine mentionnées ci-dessus présentent également fréquemment une variété lexicale de références qui utilisent la métonymie pour désigner des éléments religieux et ne font pas directement référence à Dieu. Des références similaires sont également caractéristiques du chœur de ces pièces:

„Ô mont de Sinaï, Ô mont de Sinaï, conserve la mémoire [...]“ (Ath. v. 332)
*„Ô divine, ô charmante Loi !
Ô justice, ô bonté suprême !“ (Ath. v. 347-348)*
„A rempli ce palais de filles de Sion [...]“ (Esth. v. 172)
„Quand verrai-je, ô Sion ! relever tes remparts [...]“ (Esth. v. 216)

Un certain nombre de mots adressés à un roi ou à un seigneur, tels que “*Ô mon souverain roi*” (Esth., 247) ou “*Puissant souverain du ciel*” (Ath., 1669), ont à la fois un contenu rhétorique et lyrique. Les pièces “*Esther*” et “*Athalie*” sont remplies de passages bibliques et d’éléments épiques, où le héros doit faire face au joug du pouvoir royal, clairement hostile à sa foi. Proclamer le nom du vrai Dieu est impossible sans courage, aussi bien pour les personnages principaux d’ “*Esther*” que pour les héroïnes d’ “*Athalie*”.

L’appel rhétorique à Dieu est particulièrement présent dans les chœurs de ces deux pièces bibliques de Jean Racine. Dans ses pièces, l’auteur paraphrase stylistiquement des psaumes et des passages de l’Ancien et du Nouveau Testament, appelant le Dieu Tout-Puissant à aider son peuple opprimé. Les phrases sont basées sur des expressions sophistiquées, significatives et figuratives d’une microstructure interne donnée, qui sont transmises dans la syntaxe d’un vers alexandrin (Laurent, 2017: 117-140).

Conclusion

En conclusion, nous pouvons dire que, les drames “*Esther*” et “*Athalie*” sont des extraits de la Bible, avec leur développement historique et leurs moments marquants pour le destin de l’humanité, l’érudition théologique de l’auteur, la perfection littéraire et musicale, et une vision historique. Ils représentent l’apogée de la créativité de Racine, ses chefs-d’œuvre, ainsi que son testament et son épitaphe uniques. Les contradictions tragiques n’ont jamais été aussi vivement remises en question, et les paroles théâtrales n’ont jamais été aussi proches de la puissance de la parole divine.

L’œuvre de Racine reflète donc une pensée théologico-morale, une pensée rhétorique et une connaissance théologique approfondie. Parmi les drames les plus marquants figurent “*Esther*” et “*Athalie*”, où le talent irréprochable et la profondeur spirituelle de Jean Racine se révèlent pleinement. Il a mis en avant des moments bibliques dans son œuvre et, avec une pensée métaphorique, une euphonie de vers, des rimes limitrophes et l’accompagnement de la métrique alexandrine française, il nous a présenté un exemple frappant de tragédie classique sous la forme de drames lyriques et religieux.

Jean-Baptiste Racine nous a fait découvrir dans son œuvre la rhétorique, avec l’éloquence classique française, dont le but est de donner du plaisir au lecteur, et d’apporter au théâtre la fonction de vérité et de persuasion.

Littérature:

1. Aristote, *La Poétique*, éd.M.Mangien, Le Livre de poche classique, Paris, 1990.
2. Amossy, Ruth, *L’argumentation dans le discours. Discours politique, littérature d’idées, fiction*, coll. “*Fac. Linguistique*”, Nathan, Paris, 2000.
3. Barthes, Roland, *Sur Racine*, Paris : Éditions du Seuil, 2002;
4. Bary René, *La rhétorique française, où pour principale augmentation l’on trouve les secrets de nostre langue* / par René Bary, Paris, P. Le Petit, 1665.
5. Chaudier Stéphane, *Rhétorique ou stylistique? Réflexion sur Andromaque de Racine*, Presses universitaires de Rennes, Rennes, 2016.
6. Harf-Lancner, Laurence, *De l’histoire au mythe épico-romanesque: Alexandre le Grand dans l’Occident médiéval*, dans Michèle Guéret-Laferté, Daniel Mortier, D’un genre littéraire à l’autre, Mont-Saint-Aignan, Publications des universités de Rouen et du Havre, Rouen, 2008.
7. Gardes-Tamine Joëlle, *La rhétorique*, coll. «Cursus», Armand Colin, Paris, 1996.
8. Lanham, Richard, *A Handlist of Rhetorical Terms*, Los Angeles: University of California Press, 1991.
9. Laurent Nicolas, *Grammaire et stylistique du nom „Dieu“ dans „Athalie*, (Styles, genres, auteurs), Paris, Presses de l’Université Paris-Sorbonne, 2017.
10. Racine Jean, *Athalie*, *Tragédie tirée de l’écriture sainte*, Publié par Ernest et Paul Fièvre pour Théâtre-Classique.fr; Mai 2020.
11. Racine Jean, *Esther*, *Tragédie tirée de l’écriture sainte*, Publié par Ernest et Paul Fièvre pour Théâtre-Classique.fr; Mai 2020.

რიტორიკა ჟან რასინის ბიბლიური დრამების - „ესთერისა“ და „ათალიას“ პოეტიკაში

ეკა კვანტალიანი

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია ჟან რასინის ბიბლიურ სიუჟეტზე შექმნილი დრამების "ესთერისა" და "ათალიას" პოეტიკის რიტორიკული აზროვნების სიღრმეები. XVII საუკუნეში კლასიციზმი უძველესი ორატორული ხელოვნების - მჭევრმეტყველების ერთგვარ რეაბილიტაციას ახდენს და სწორედ, ჟან რასინი ერთ-ერთია იმ დრამატურგთაგან, რომელმაც უნივერსალური რიტორიკა ეროვნულ რიტორიკამდე აქცია. მან სიმართლის თქმის პრინციპი და რეალობის ასახვის ელემენტები შემოიტანა დრამატურგიაში. რიტორიკის ისტორიული პრეამბულა უფრო მეტ დატვირთვას იძენს აბსოლუტიზმის ეპოქაში და ხდება სოციალური ინტეგრაციის საშუალება, მას შემდეგ რაც მწერლის ენა და რიტორიკა სამეფო კარისთვის მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცევა. მე-17 საუკუნის ფრანგული ენის, როგორც ლინგვისტური მოდელის სიღრმადე და კლასიციკური ხანის მჭევრმეტყველების აპოთეოზი, ჟან რასინს თავის დრამებში - „ესთერი“ და „ათალია“ ანტიკური ასპექტებითა და ბიბლიური პასაჟების სინთეზით აქვს წარმოდგენილი. რასინისეული რიტორიკა კლასიციკური ფრანგული მჭევრმეტყველებით, ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს, ხოლო თეატრში ჭეშმარიტებისა და დამაჯერებლობის ფუნქცია შემოაქვს.

საკვანძო სიტყვები: რიტორიკა, დრამატურგია, კლასიციზმი, რასინი, ბიბლიური დრამები.

Rhetoric in the poetics of Jean Racine's biblical dramas - "Esther" and "Athalie"

Eka Kvantaliani

Abstract

The article presents the depths of Jean Racine's rhetorical thought in the poetics of the dramas "Esther" and "Athalie", based on biblical stories. In the 17th century, classicism rehabilitated the ancient art of oratory, eloquence, and Jean Racine was one of the playwrights who transformed universal rhetoric into national rhetoric. He introduced the principle of truth and elements of reflection of reality into dramaturgy. The historical preamble of rhetoric takes on greater importance in the era of absolutism and becomes a means of social integration, as the writer's language and rhetoric become the main force of the royal court. Jean Racine presented the clarity of the 17th-century French language as a linguistic model and the apotheosis of classical eloquence in his dramas "Esther" and "Athalie" with ancient aspects and a synthesis of biblical passages. Racine's rhetoric, with its classical French eloquence, provides aesthetic pleasure to the reader, while introducing the function of truth and persuasion into drama.

Keywords: rhetoric, dramaturgy, classicism, Racine, biblical dramas.

0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა LITERATURE AND LINGUISTICS**კომუნიკაციის კოდური მოდელი: მისი ამჟამინდელი სტატუსი და რელევანტურობა ლინგვისტიკაში**

ნინო თევდორაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: nino_tevdoradze@iliauni.edu.ge

რეზიუმე

კომუნიკაციის შესახებ არსებულ იმგვარ ხედვას, რომ კომუნიკაცია არის გზავნილის გადაცემა და მიღება კოდის საშუალებით, რომელიც აკავშირებს გზავნილსა და სიგნალს, როგორც წესი, მიაკუთვნებენ კომუნიკაციის კოდურ მოდელს. თანამედროვე პრაგმატიკამ ნათელი გახადა, რომ მოდელს არ შეუძლია ახსნას კომუნიკაციის პროცესში ჩართული მრავალი ასპექტი და მის ალტერნატივად კომუნიკაციის ინფერენციული მოდელი შემოიტანა და განავითარა. მიუხედავად ამისა, კოდურ მოდელზე დაფუძნებული იდეა კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომუნიკაციის ხედვაზე. კითხვა იმის შესახებ, ამ მოდელმა უკვე დატოვა თუ არა ლინგვისტური სცენა ტრადიციულ სტრუქტურალიზმთან ერთად, თუ ის ახლა უკვე მოდიფიცირებული სახით გვევლინება, მრავალი თეორეტიკოსის განხილვის საგანი გახდა. შემოთავაზებული ნაშრომი არის მცდელობა თავი მოუყაროს ამ პრობლემური საკითხის ირგვლივ წარმოშობილ თვალსაზრისებს. ნაშრომში ძირითად მიზნად ვისახავთ პასუხი გაეცეს კითხვას: კოდური მოდელი კვლავ კომუნიკაციის წამყვან მოდელად რჩება დღევანდელ ლინგვისტიკაში, თუ მან დაკარგა ეს სტატუსი, რადგან ბოლოსდაბოლოს ის კომუნიკაციის ალტერნატიულმა მოდელებმა ჩაანაცვლეს. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოითხოვს თავად მოდელის წარმოშობის, მისი გავლენის შედეგების და, ასევე, იმ ძირითადი მიზეზის განხილვას, რამაც მისი ამგვარი ძლიერი გავლენა განაპირობა.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაციის კოდური მოდელი; „არხი მეტაფორა“, კომუნიკაციის ინფორმაციული მოდელი.

შესავალი

ის აზრი, რომ კომუნიკაცია არის გზავნილის გადაცემა და მიღება, კომუნიკაციის შესახებ არსებულ მრავალ თეორიაში გვხვდება. ყველა ამგვარ თეორიას საფუძვლად უდევს ე.წ. კომუნიკაციის „კოდური მოდელი“. აღნიშნული მოდელი ტრადიციულ სტრუქტურალისტურ ლინგვისტიკაში მუდამ ცენტრალურ ადგილს იკავებდა. პრაგმატიკის განვითარების კვალდაკვალ, ინფერენციული მოდელის გამოჩენამ და მისმა შემდგომმა განვითარებამ, სააშკაროზე გამოიტანა კოდური მოდელის მრავალი ხარვეზი და მისი საგრძნობი მოდიფიკაცია მოახდინა. მიუხედავად ამისა, კოდური მოდელი დღესაც ინარჩუნებს საკმაოდ ძლიერ გავლენას. კითხვებს იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა მისი ასეთი გავლენა, განსხვავებული პასუხები აქვს გაცემული. მეცნიერები ვერ თანხმდებიან თუნდაც იმის შესახებ, თუ როგორია ზუსტად მოდელის წარმოშობის ისტორია. მათი დიდი უმრავლესობა კომუნიკაციის ინფერენციულ მოდელს კოდური მოდელის ალტერნატიულ მოდელად მიიჩნევს. სხვათა აზრით კი, ინფერენციულმა მოდელმა და მასზე დაფუძნებულმა ახალმა მოდელებმა მხოლოდ კოდური მოდელის მოდიფიკაციას შეუწყო ხელი და ეს უკანასკნელი არა მხოლოდ სოსიურისეული სტრუქტურალისტური ლინგვისტიკის, არამედ მთლიანად ლინგვისტიკის საკუთრებაა.

მოცემულ სტატიაში შევეცადეთ, თავი მოგვეყარა, შეგვედარებინა და კრიტიკულად შეგვეფასებინა კომუნიკაციის კოდური მოდელის ირგვლივ წამოჭრილი განსხვავებული თვალსაზრისები. ჩვენი ძირითადი მიზანია, პასუხი გავცეთ კითხვას: კოდური მოდელი კვლავ კომუნიკაციის წამყვან მოდელად რჩება დღევანდელ ლინგვისტიკაში თუ მან დაკარგა ეს სტატუსი, რადგან, ბოლოსდაბოლოს, ის კომუნიკაციის სხვა მოდელებმა ჩაანაცვლეს? და თუ ამგვარი ჩანაცვლება მოხდა, მაშინ რატომ რჩება ჩვენი წარმოდგენა კომუნიკაციის შესახებ კვლავ მეტაფორული?

ძირითადი ნაწილი**1. კომუნიკაციის კოდური მოდელის წარმოშობა, განვითარება და გავლენა**

ტერმინი „კოდური მოდელი“, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველად დენ სპერბერმა და დეიდრე უილსონმა გამოიყენეს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ მოდელის გავლენას არისტოტელეს დროიდან დაწყებული თანამედროვე სემიოტიკის ჩათვლით [12. Sperber and Wilson 1986: 2]. მათ მსგავსად, დებორა შიფრინიც თვლის, რომ ამ მოდელის წარმოშობა საუკუნეებს ითვლის და ის

საფუძვლად ედება მრავალ თანამედროვე ლინგვისტურ თეორიას [9. Schiffrin 1994: 391]. როგორც ჩანს, სპერბერი და უილსონი, ასევე შრიფინი და ყველა ის მეცნიერი, ვინც კოდური მოდელის საუკუნოვან ისტორიაზე ლაპარაკობს ვარაუდობს, რომ კოდური მოდელი კომუნიკაციის უძველესი კომუნიკაციური მოდელის, ე.წ. „არხი მეტაფორა“ (conduit metaphor) გარმელებას და შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

პერი ბლექბერნი არამართებულად მიიჩნევს ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ კოდური მოდელი პირველად კლოდ შენონის და უორენ უივერის ინფორმაციის მოდელისა და იქამდე არსებულ მოდელთა ინტეგრაციის საფუძველზე შეიქმნა [1. Blackburn 2007]. მართლაც, ე.წ. „კოდირების“ ცნება წარმოიშვა ინფორმაციის თეორიაში და კომუნიკაციის იმ მოდელმა, რომელიც ამ თეორიაში შემუშავდა, განვითარება დაიწყო ელექტრო ინჟინერიასა და ტელეკომუნიკაციის ფარგლებში [11. Shannon and Warren Weaver 1949]. მოდელის მიხედვით, კომუნიკაცია მიიღწევა მესიჯების კოდირებითა და დეკოდირებით. მისი საშუალებით დეტალურად აღწერდნენ, თუ როგორ ხდებოდა ინფორმაციის გადაცემა ელექტრონული მედიის საშუალებით.

შენონისა და უივერის ამ მოდელის აქტიური შემოსვლის დაწყება ლინგვისტიკაში სოსიურისეული სტრუქტურალიზმის პერიოდს დაემთხვა და მნიშვნელობისა და კომუნიკაციის შესახებ არსებულ მრავალ ლინგვისტურ ნაშრომში იქნა ინტენსიურად გამოყენებული. მათი მოდელის შემოსვლას ლინგვისტიკაში წინ უძღოდა სწორედ სოსიურის ე.წ. „მეტყველების ცირკულირების“ მოდელი (speech circuit model) [8. Saussure 1959, pp. 11-15], რომელმაც ისევე როგორც მთლიანად სოსიურის ლინგვისტურმა მოდელმა, განუზომლად დიდი გავლენა მოახდინა კომუნიკაციის იმ ხედვის დამკვიდრებაზე, რაც დომინირებდა სტრუქტურალისტურ ლინგვისტიკაში. ამ მოდელზე დაყრდნობით შეიქმნა კომუნიკაციის მრავალი ცნობილი კომუნიკაციის ლინგვისტური მოდელი. ყველა მათგანი, განსხვავებების მიუხედავად, ადამიანურ კომუნიკაციაში კოდად მიიჩნევს ენას, რომლის საშუალებითაც ხდება აზრებისა და იდეების ბგერებთან დაკავშირება. ამ ხედვის მიხედვით, ადრესანტი და ადრესატი ენის ცოდნას იყენებენ როგორც გარკვეულ კოდს - ენაში არსებული წესებისა და კონვენციების შესაბამისად, ადრესანტი ახდენს მნიშვნელობის კოდირებას მესიჯის სახით, ხოლო იმავე წესებისა და კონვენციების გამოყენების საშუალებით ადრესატი ახდენს ამ მესიჯის დეკოდირებას, რასაც შედეგად მოჰყვება წარმატებული კომუნიკაცია [5. Katz 1966: 98; 103-104]; [6. Lyons 1977: 36-37]; [3. Crystal 1997: 72] და ა.შ. ცხადია, ეს ხედვა კომუნიკაციასთან დაკავშირებულ მრავალ კითხვას უპასუხოდ ტოვებდა. მაგალითად, მოდელი არ ითვალისწინებდა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა კონტექსტი, მეტყველი სუბიექტის ინტენცია, არაპირდაპირი მეტყველება და ა.შ. თუ როგორ მოხდა მოგვიანებით კოდური მოდელის მოდიფიკაცია, ამას ქვემოთ დავუბრუნდები. მაგრამ ახლა, დავუბრუნდეთ კვლავ კოდური მოდელის წარმოშობის გენეზისს.

არც ინფორმაციული მოდელის და არც სოსიურის მეტყველების ცირკულირების მოდელის გამოჩენა ცარიელ ადგილას არ მომხდარა. ორივე მათგანს საფუძვლად უდევს ე.წ. „არხი მეტაფორა“ (conduit metaphor), ანუ კომუნიკაციის ის ტრადიციული გაგება, რომლის უძველეს, არისტოტელეს დროინდელ წარმომავლობაზე მიუთითებენ სპერბერი და უილსონი. მაგრამ ბლექბერნი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ ეთანხმება სპერბერის, უილსონის, შიფრინის და სხვათა ამ მოსაზრებას, რომ კოდური მოდელი ტრადიციული კომუნიკაციის მოდელის, „არხი მეტაფორას“ მოდელის გაგრძელებაა. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის სამი ცალკე არსებული კომუნიკაციის ინტეგრირების შედეგია: „არხი“ მეტაფორას, სოსიურის მეტყველების ცირკულირების და შენონის და უივერის ინფორმაციული მოდელის. მათგან, მისი აზრით, „არხი“ მეტაფორა ყველაზე მდგრადი მოდელია [1. Blackburn 2007: 27], რომელიც ყველა კულტურაში ინარჩუნებს უნივერსალურობას და განაგებს ჩვენს წარმოდგენას კომუნიკაციის შესახებ. ამდენად, სოსიურის და შენონისა და უივერის მოდელები სწორედ ამ უძველეს, ტრადიციულზე მოდელს ეყრდნობა და მასთან ერთად ინტეგრირების შედეგად ხდება კოდური მოდელის შექმნა. ჩვენს ამოცანას მოდელის წარმოშობის შესახებ სიღრმეებში წასვლა არ არის. მაგრამ ჩვენთვის ამოსავალია იმის გათვალისწინება, რომ „არხი მეტაფორას“ მოდელი (ანუ კომუნიკაციის უძველესი, ტრადიციული მოდელი) კოდური მოდელის ყველაზე მდგრადი ნაწილია.

„არხი მეტაფორას“ ტრადიციული მოდელის თანახმად, ადრესანტი (გამგზავნი) თავის მენტალურ კონტენტს (აზრებს, იდეებს) „ჩადებს“ „კონტეინერში“ (სიტყვებში, წინადადებებში, ტექსტებში) და ამ „კონტეინერის“ სახით უგზავნის ადრესატს (მიმღებს), რომელიც „ამოიღებს“ („ამოალაგებს“) ადრესანტის აზრებს. კომუნიკაციის ამგვარ ხედვას ყველა ჩვენგანის აზროვნებაში ღრმად აქვს ფესვები გამჟღადარი. მაიკლ რედდი [7. Reddy 1993] ნათლად აღწერა დაახლოებით 80 მაგალითზე დაყრდნობით, თუ რამდენად მეტაფორულია ჩვენი წარმოდგენა ლინგვისტური კომუნიკაციის შესახებ (მაგალითად, „The sentence was

filled with emotion;” “Let me know if you *find* any good *ideas* in this essay;” “Try to *get* your *thoughts* across better;” “You have not *given* me any *idea* of what you mean,” და ა.შ.). მან დამაჯერებლად გვიჩვენა, თუ რამდენად შორსაა ეს მეტაფორული სურათი იმისგან, რაც რეალურად ხდება ადამიანთა ინტერაქციის დროს. მაგრამ მეტაფორა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ კოდური მოდელის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა, არამედ გამსჭვალა მთლიანად ჩვენი აზრი კომუნიკაციის შესახებ.

თუმცა, როგორც ვნახეთ, ბლექბერნის მიხედვით, კოდური მოდელი მხოლოდ „არხი მეტაფორას“ მოდელის გაგრძელება-განვითარება არ არის, არამედ კიდევ ორი კომუნიკაციის მოდელის (სოსიურის და შენონის და უივერის) ინტეგრაციის შედეგი. ის, რომ სტრუქტურალისტურმა ლინგვისტიკამ კომუნიკაციის გაგების თვალსაზრისით ამ მოდელს ცენტრალური როლი დააკისრა, ასეთ შემთხვევაში, არ უნდა იყოს მხოლოდ „არხი მეტაფორას“ გავლენა. ეს კი უნდა მიგვანიშნებდეს, რომ კოდური მოდელი, წესით, აღარ უნდა იკავებდეს ცენტრალურ ადგილს კომუნიკაციურად ორიენტირებული ლინგვისტიკის ფარგლებში. მაგრამ ბლექბერნი დაჟინებით ამტკიცებს, რომ კოდური მოდელი არ ეკუთვნის რომელიმე ლინგვისტურ სკოლას ან ყველა იმ თეორიას ერთად აღებულს, რომელიც შეიძლება სტრუქტურალისტური პარადიგმის ფარგლებში გაერთიანდეს, არამედ მას მთლიანად ლინგვისტიკის საკუთრებად თვლის. მომდევნო პარაგრაფში ჩვენ დავუბრუნდებით ამ მოსაზრებას და მისგან განსხვავებულ თვალსაზრისებს. ეს საშუალებას მოგვცემს (რამდენადაც შესაძლებელია) პასუხი გავცეთ მოცემული სტატიის მთავარ კითხვას - შეინარჩუნა თუ არა კოდურმა მოდელმა ის ცენტრალური სტატუსი, რაც მას ჰქონდა სტრუქტურალისტურ ლინგვისტიკაში? მოცემული სტატიის შემდეგი პარაგრაფი, სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

2. არის თუ არა კომუნიკაციის კოდური მოდელი კვლავ კომუნიკაციის ძირითადი მოდელი დღევანდელ ლინგვისტიკაში?

პირველ რიგში, დავაკონკრეტოთ, რომ ტრადიციული სტრუქტურალისტური ლინგვისტიკა თვლიდა, რომ კომუნიკაციის პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა ენობრივ სისტემას, რომელიც კომუნიკაციურ კოდად მიიჩნეოდა. ეს აზრი სრულ თანხვედრაში იყო მის ფუნდამენტურ იდეასთან. როგორც ცნობილია, სოსიურისეული ლინგვისტიკის ფუძემდებლურ პრინციპად ითვლება ენის დიქტომიზირება - მის ენად და მეტყველებად დაყოფა. ენა (langue) სოსიურისათვის იყო აბსტრაქტული, ენობრივი ნიშნებისაგან შემდგარი სისტემა, ხოლო მეტყველება (parole) - ენობრივი სისტემის კონკრეტული გამოყენება მეტყველებაში. სოსიურის და შემდგომში მთელი სტრუქტურალისტური ლინგვისტიკის ინტერესის ორბიტში მოქცეული იყო ენობრივი სისტემა და არა ენის გამოყენება და ენის გამოყენებები. აღსანიშნავია, რომ თავად სიტყვა „სტრუქტურა“, რომელიც შედის თავად სოსიურისეული პარადიგმის აღმნიშვნელ ტერმინში „სტრუქტურალიზმი“, სწორედ ენისა და მეტყველების დაყოფის ფაქტიდან იღებს სათავეს - ის მიუთითებს ენობრივ სისტემაზე (ენის მთლიან სტრუქტურაზე). სოსიური მიიჩნევდა, რომ ენა არის ავტონომიური სისტემა, რომელიც განისაზღვრება ინტერნალური (შინაგანი) და არა ექსტერნალური (გარეგანი) მიმართებებით (ანუ გარე რეალობასთან მიმართებით) [8. Saussure 1959: 24] - თავად ენა განსაზღვრავს მეტყველების (parole) ყოველ კონკრეტულ გამოვლინებას და არა გარეგანი რეალობა.

კომუნიკაციის იმგვარი ხედვა, რომ თითქოს თავად ენობრივი სისტემა არის პასუხისმგებელი მნიშვნელობის წარმოქმნაზე და ამ პროცესში კომუნიკანტების როლი მხოლოდ ენობრივი წესების ცოდნაა, ბუნებრივად განაპირობებდა ლინგვისტური კომუნიკაციის პროცესში ჩართული მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორის უგულებელყოფას. ამგვარი კონვენციონალიზმი პირდაპირ და უშუალოდ აისახებოდა სხვადასხვა ენობრივ მოვლენათა ხედვაზე. წინადადების ან ტექსტის მნიშვნელობის განმსაზღვრელად თავად ენა და ენობრივი კონვენციები და წესები მიიჩნეოდა. ეს კი განპირობებდა ლინგვისტიკის თუ ლინგვისტიკის ფარგლებს გარეთ არსებულ კვლევათა სპეციფიკას. მაგალითად, ე.წ. „ახალი კრიტიკის“ ფარგლებში განხორციელებული კვლევები ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ ტექსტი არის ის „ობიექტი“, რომელშიც ავტორის მიერ „ჩადებულია“ „ობიექტური“ მნიშვნელობა და მკითხველის ამოცანა ამ მნიშვნელობის „ამოღება იყო, რაც ტექსტის „მიკროსკოპული“ ანალიზის (ე.წ. „close reading“-ის) - თითოეულ სიტყვაზე, წინადადების სტრუქტურაზე (ე.წ. „words on the page“) დაკვირვების შედეგად უნდა ყოფილიყო მიღწეული. ამგვარ კვლევებში ავტორის როლის, მისი ინტენციის და მკითხველის მხრიდან ამ ინტენციის კონსტრუქციის პროცესის სრული იგნორირების ხაზგასმა ხდებოდა. ასეთივე კონვენციონალიზმით არის გაჯერებული სტრუქტურალიზმის და პოსტრუქტურალიზმის ფარგლებში

არსებულ თეორიები, რისი აშკარა დადასტურებაა, ე.წ. „ავტორის სიკვდილის კონცეპტის გამოჩენა პოსტრუქტურალისტურ თეორიებში.

თანამედროვე პრაგმატიკამ მრავალი მნიშვნელოვანი სიახლე მოიტანა და მრავალ უპასუხოდ დარჩენილ საკითხს კომუნიკაციის და მნიშვნელობის განსაზღვრის თვალსაზრისით ნათელი მოჰყვანა. ჯონ ოსტინის და ჯონ სერლის სამეტყველო აქტების თეორიამ და პოლ გრაისის გამონათქვამის მნიშვნელობის შესახებ თეორიებმა დამაჯერებლად აჩვენა ის ურღვევი ურთიერთკავშირი, რაც ენის გამოყენებასა და ადამიანურ ქმედებას შორის არსებობს. პოლ გრაისის თეორიამ საფუძველი დაუდო კომუნიკაციის ინფერენციული მოდელის დამკვიდრებას, რომელიც კოდური მოდელის ალტერნატიულ მოდელად მიიჩნევა. ამ მოდელის თანახმად, კომუნიკაცია აუცილებლად გულისხმობს მეტყველი სუბიექტის ინტენციის გაგებას და, ასევე, და განსაკუთრებით იმას, რომ ინტენციების ინფერენცია (ამოცნობა) უნდა მოხდეს და არა მათი დეკოდირება [4. Grice 1989: 220]. გრაისის ამ მოსაზრებებმა მეტყველი სუბიექტის ინტენციების, ნათქვამსა და ნაგულისხმევს შორის განსხვავების, თანამშრომლობის პრინციპისა და მაქსიმების შესახებ მრავალი ახალი პრაგმატიკული თეორიის წარმოშობას დაუდო საფუძველი. ლინგვისტურ პრაგმატიკასთან ერთად, კომუნიკაციის და მნიშვნელობის შესახებ მნიშვნელოვნად ახალი ხედვა ასევე დისკურსის თანამედროვე თეორიამ, სოციოლინგვისტიკამ და კოგნიტურმა ლინგვისტიკამ შემოიტანა. მოცემულ სტატიის ფარგლებში მათი ანალიზი ვერ ხერხდება, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი დახმარებით მნიშვნელოვნად შესწორდა კოდურ მოდელთან დაკავშირებული მრავალი მნიშვნელოვანი ხარვეზი, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

კომუნიკაციის არა მხოლოდ ახალი, არამედ აშკარად გაუმჯობესებული ხედვის მიუხედავად, რაც ზემოთ აღნიშნულმა თეორიებმა მოიტანეს, ინფერენციულ და ინტერაქციულ მოდელებში დეკოდირებული ლინგვისტური მნიშვნელობა კვლავ სასიცოცხლო ადგილს იკავებს. მაგალითად, სერლი გრაისის აკრიტიკებს სწორედ იმის გამო, რომ მან ვერ აჩვენა, თუ რა თვალსაზრისით შეიძლება მნიშვნელობა იყოს ენობრივი წესებისა და კონვენციების შედეგი [10. Searle 1969: 43]. ჩვენს მიერ ციტირებული ავტორები, სპერბერი და უილსონი სერლს და სხვა თეორეტიკოსებს სწორედ იმიტომ აკრიტიკებენ, რომ მათ ვეღარ განავითარეს ინფერენციული მოდელი, არამედ პირიქით, კვლავ კოდურ მოდელს მიუბრუნდნენ. თავად მათ დიდი წვლილი მიუძღვით განსხვავებული კომუნიკაციის პრაგმატიკული მოდელის განვითარებაში რელევანტურობის კონცეპტის შემოტანით. მაგრამ ამ მოდელში მნიშვნელობის ლინგვისტური დეკოდირება კვლავ რჩება კომუნიკაციის მექანიზმების გაგების სასიცოცხლო ნაწილად, რადგან კოდირებულ ინფორმაციას ისინი ინფერენციის მთავარ წყაროდ განიხილავენ [12. Sperber and Wilson 1986:175-176] და მიიჩნევენ, რომ საჭირო სულაც არ არის კოდური და ინფერენციული მოდელების გაერთიანება, რადგან კომუნიკაცია ერთგვაროვანი ფენომენი არ არის. ბლექბერნი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. მეტიც, ის ამტკიცებს, რომ სპერბერმა და უილსონმა, ისევე როგორც სხვა ინფერენციულ მოდელის განვითარებაზე კონცენტრირებულმა მეცნიერებმა, ფაქტიურად კოდური მოდელის შესავსები და დამხვეწი კიდეც ერთი კომუნიკაციის მოდელი შეიმუშავეს და კოდური მოდელი კვლავ ცენტრალურ მოდელად რჩება ლინგვისტურ მეტათეორიაში.

ბლექბერნის საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტების მიუხედავად, შეუძლებელია იმის არ დანახვა, რომ დღეისათვის, თანამედროვე კომუნიკაციურად ორიენტირებული ლინგვისტიკის არც ერთი თეორიული მიმართულება არ თვლის, რომ მნიშვნელობის გენერირება მხოლოდ ენობრივი სისტემის საშუალებით ხდება. შესაბამისად, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კოდურ მოდელს აშკარად გამოეცალა ის ღერძი, რაც სტრუქტურალისტურული ლინგვისტიკის ფარგლებში მის დომინირებას განაპირობებდა კომუნიკაციის გაგების თვალსაზრისით. ეს კი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ დღეისათვის ის წამყვან მოდელს აღარ წარმოადგენს ლინგვისტიკაში. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ ახალ კომუნიკაციის მოდელებს კვლავ სჭირდებათ მასზე დაყდნობა იმ მიზეზების გამო, რაზეც ბლექბერნმა მიგვითითა. ამდენად, სწორი არ იქნება იმის მტკიცება, რომ კოდურმა მოდელმა დატოვა ლინგვისტური სცენა. და უკვე მივედით, მეორე კითხვამდე, რომელიც ჩვენი მთავარი კითხვიდან უშუალოდ გამომდინარეობს: თუ ამჟამად კოდური მოდელი აღარ არის წამყვანი მოდელი და ეს სტატუსი სხვა ალტერნატიულმა მოდელებმა დაიკავა, მაშინ რატომ რჩება ჩვენი წარმოდგენა კომუნიკაციის შესახებ კვლავ მეტაფორული? ჩვენი მსჯელობის ლოგიკიდან გამომდინარე, ვფიქრობ, შეგვიძლია მასზე პასუხის გაცემა. მიზეზი იმისა, თუ რატომ დარჩა ჩვენი წარმოდგენა კომუნიკაციის შესახებ მეტაფორული პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება კომუნიკაციის უძველესი, ტრადიციული კომუნიკაციის მოდელის მიერ დამკვიდრებულ აზრს, რომლის მიხედვითაც ენა ასრულებს ერთგვარი დამაკავშირებელი „არხის“ როლს და მისი საშუალებით შესაძლებელია „კონტეინერში“ (ანუ სიტყვებში, წინადადებებში და

ტექსტებში) „ჩავალაგოთ“ ჩვენი მენტალური კონტენტი (აზრები, იდეები, თუ გრძნობები) და „გადავუგზავნოთ“ ადრესატს. ცხადია, სხვა მნიშვნელოვანი მიზეზების შესახებაც არის საჭირო ლაპარაკი, რაც ვერბალური კომუნიკაციის და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტების სიღრმისეულ ანალიზს გარდუვალად მოითხოვს. ეს კი ცალკე კვლევის საგანია და მოცემული სტატიის მიზანს არც წარმოადგენდა.

დასკვნა

კომუნიკაციის კოდური მოდელი, რომელიც ისტორიულად ცენტრალურ ადგილს იკავებდა სტრუქტურალისტურ ლინგვისტიკაში, თანამედროვე ლინგვისტიკაში მისმა ალტერნატიულმა ხედვებმა – განსაკუთრებით ინფერენციულმა და პრაგმატიკულმა მოდელებმა – მნიშვნელოვნად შეცვალა და გადააფასა. მიუხედავად იმისა, რომ კოდური მოდელი დღეს აღარ წარმოადგენს კომუნიკაციის წამყვან თეორიას, იგი კვლავ რჩება ლინგვისტური აზროვნების მნიშვნელოვანი კომპონენტი და ხშირად ფუნქციონირებს სხვა მოდელებთან ერთად. ამავე დროს, კომუნიკაციის შესახებ არსებული მეტაფორული წარმოდგენები, კვლავ ძლიერად ფესვგადგმულია ჩვენს მეტყველებაში და აზროვნებაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოდური ხედვა ბოლომდე არ გამქრალა და მისმა გავლენამ საყოველთაო კომუნიკაციურ ცნობიერებაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.

ლიტერატურა

1. Blackburn, P. (2007) Code Model of Communication: A Powerful Metaphor in Linguistic Metatheory. SIL International e-books.
2. Culler, J. (1986) Ferdinand de Saussure. Ithaca, NY: Cornell University Press.
3. Crystal, D. (1997) A Dictionary of Phonetics. 4th ed. Cambridge, Massachusetts: Blackwell.
4. Grice, P. (1989) *Studies in the Way of Words*. Cambridge, Mass.: Harvard University Press.
5. Katz, J. (1966) *The Philosophy of Language*. New-York: Harper and Row.
6. Lyons, J. (1977) *Semantics*. Vol. 1. Cambridge: Cambridge University Press.
7. Reddy, M. (1993) "Conduit metaphor: A Case of Frame Conflict in Our Language about Language" (1979) in A. Ortony (ed.), *Metaphor and Thought*, pp. 164-201. 2nd ed. Cambridge: Cambridge University Press.
8. Saussure, Ferdinand de (1959) Bally, Ch. And Sechehaye, A. (eds). New York: Philosophical Library.
9. Schiffrin, D. (1994) *Approaches to Discourse*. Cambridge: Blackwell.
10. Searle, J. (1969) *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*. Cambridge: Cambridge University Press.
11. Shannon, C. and Weaver W. (1949) *The Mathematical Theory of Communication*. Urbana: University of Illinois Press.
12. Sperber, D. and Wilson, D. (1986) *Relevance: Communication and Cognition*. Cambridge, Mass.: Harvard University Press.

The Code Model of Communication: Its Current Status and Relevance in Mainstream Linguistics

Nino Tevdoradze

Abstract

The view of communication, which sees communication as a process in which encoders convey messages to decoders through the code which matches the messages with signals, is usually referred to as the code model of communication. Modern pragmatics has shed a lot of light on the ways in which the model fails to account for many problems related with communication by suggesting its alternative, inferential model of communication. However, the code-model-based idea of communication still makes itself strongly felt. Theorists have not spared efforts to answer the question whether the model has been abandoned or only expanded upon and supplemented by other models of communication. This paper is an attempt to bring together the views concerning this thorny issue. Its chief aim consists in answering the question whether the code model is still recognized as a leading model of communication in mainstream linguistics or it has lost such status because it has been eventually replaced by alternative models of communication. The answer to this question involves the discussion of the origin of the model, its far-reaching consequences, and also the major reason of its persistent influence.

Keywords: The code model of communication; conduit metaphor; information model of communication.

0311 ეკონომიკა ECONOMICS**საინვესტიციო კლიმატი საქართველოში: პროგრესი, გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები**

თეა ბიძინაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

E-mail: t.bidzinashvili@gtu.ge

ნანა ხითარიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

E-mail: khitarishvilinana05@gtu.ge

რეზიუმე

საინვესტიციო კლიმატი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს, რადგან ის გავლენას ახდენს როგორც შიდა, ისე უცხოურ ინვესტიციებზე. საქართველო, როგორც მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, ცდილობს მიზანმიმართულად განავითაროს თავისი საინვესტიციო გარემო, რათა ჩამოაყალიბოს მიმზიდველი პირობები უცხოური და შიდა ინვესტიციებისთვის. მოცემულ სტატიაში მიზნად ვისახავთ საქართველოს საინვესტიციო გარემოს საფუძვლიან ანალიზს, ქვეყნის ბოლო წლებში მიღწეულ პროგრესს, არსებულ გამოწვევებს და სამომავლო პერსპექტივებს. საქართველოში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ბიზნესგარემოს ლიბერალიზაციას, რაც აისახა „Doing Business“ რეიტინგში ქვეყნის მაღალი პოზიციების დაკავებაში. მნიშვნელოვან რეფორმებში შედის საგადასახადო და საბაჟო სისტემების გამარტივება, ბიზნესის რეგისტრაციის პროცესის რეფორმა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის გაფორმება. ამ ნაბიჯებმა შექმნეს სტაბილური და გამჭვირვალე ბაზარი, სადაც როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ინვესტორებს აქვთ შესაძლებელი უფრო ადვილად დაიწყონ და განავითარონ ბიზნესი. თუმცა, მიუხედავად ამ პროგრესისა, საქართველოს კვლავ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშეა, რაც აფერხებს ინვესტიციების სტაბილურ ზრდას. პირველ რიგში, პოლიტიკური რისკები და მათთან დაკავშირებული გაურკვევლობის საკითხები მნიშვნელოვნად ზღუდავს ინვესტორების დაინტერესებას. ასევე, არსებობს საჭიროება სასამართლო სისტემის უფრო ეფექტური ფუნქციონირების, რაც ხელს შეუწყობს საკუთრების უფლებების დაცვას და სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფას. ქვეყანაში რეგიონალური ინფრასტრუქტურული დისბალანსი კვლავ დარჩება პრობლემად, რადგან ინვესტიციების უფრო დიდი ნაწილი კონცენტრირებულია თბილისის ტერიტორიაზე, ხოლო სხვა რეგიონებში მაინც არსებობს განვითარების ნაკლებობა. გლობალური ეკონომიკური ტენდენციები, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, მწვანე ინვესტიციები და ახალი ტექნოლოგიების განვითარება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს საინვესტიციო ნაკადებზე. პანდემიის შემდეგ ინვესტორების მხრიდან გაიზარდა ინტერესი ჯანდაცვისა და ციფრული სერვისების სფეროების მიმართ, ხოლო რეგიონული კონფლიქტები და გეოპოლიტიკური რყევები ინვესტორების რისკების გააზრებას უწყობს ხელს. მომავალი განვითარებისთვის, საქართველოს აუცილებელია გააძლიეროს საინვესტიციო პოლიტიკის დივერსიფიკაცია, გააუმჯობესოს ინფრასტრუქტურა, მიეხმაროს ინოვაციურ და ტექნოლოგიურ სექტორებს, ხოლო პროფესიული განათლების სისტემა ისე უნდა იყოს განახლებული, რომ მიესადაგოს ციფრულ ეკონომიკის მოთხოვნებს. კვლევის შედეგებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემოთავაზებული ნაბიჯები დაეხმარება საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო კლიმატი, საქართველო, უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკური რეფორმები, ციფრული ტრანსფორმაცია, კონკურენტუნარიანობა.

შესავალი

საინვესტიციო კლიმატი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, კონკურენტუნარიანობისა და განვითარების დონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს. თანამედროვე გლობალიზებულ ეკონომიკაში, სადაც ქვეყნებს შორის კონკურენცია იზრდება, ინვესტიციების მოზიდვა და მათი ეფექტური განაწილება აღარ არის მხოლოდ ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის გარანტია, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის. ინვესტიციები პირდაპირ უკავშირდება ტექნოლოგიურ წინსვლას, სამუშაო ადგილების შექმნას, ინდუსტრიების გაძლიერებას და ამასთანავე ქვეყნის გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ პოზიციას.

საქართველო, როგორც პატარა და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში აქტიურად ცდილობს გააუმჯობესოს თავისი საინვესტიციო კლიმატი. ქვეყნის ეკონომიკური მოდელი ემყარება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, რაც გულისხმობს შიდა და უცხოური

ინვესტიციების მსხვილწარმოების გამარტივებასა და ხელსაყრელ პირობებს. საქართველოს წარმატება ბიზნესგარემოს ლიბერალიზაციაში, საგადასახადო რეფორმებში და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმებაში, აყალიბებს მას ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ინვესტიციურ ბაზრად კავკასიაში და აღმოსავლეთ ევროპაში.

ბოლო წლებში საქართველო იმპლემენტირებს (განახორციელებს) სხვადასხვა ეკონომიკურ რეფორმას, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას და ინვესტიციების ზრდას. ამასთანავე, ქვეყანა მიიჩნევს ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად, რაც შეეხება ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ მდგრადი და სწრაფი ზრდის უზრუნველყოფაზე, არამედ გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შექმნაზე. თუმცა, მიუხედავად ამ მიღწევებისა, რამდენიმე გამოწვევა კვლავ რჩება, რაც დამაბრკოლებელია ქვეყნისთვის მისასაღწეველი ინვესტიციების სტაბილურობისა და ზრდის შენარჩუნებისთვის.

საინვესტიციო გარემოს გაანალიზებისას უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პოლიტიკის, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორების გავლენა შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ასევე უარყოფითი. პოლიტიკური სტაბილურობა, სამართლებრივი ჩარჩოების ეფექტურობა, კორუფციის შემცირება და თანმიმდევრული ინვესტიციური პოლიტიკა მნიშვნელოვანია ინვესტორების დარწმუნებისთვის, რომ ისინი შეძლებენ საწარმოთა მფლობელობაში აღებული რისკების მართვას.

რაც შეეხება არსებულ გამოწვევებს, არსებობს მრავალი ისეთი ფაქტორი, რომელიც აფერხებს ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის სრულყოფილად განვითარებას. ასეთ ფაქტორებს შორისაა პოლიტიკურ-იურიდიული რისკები, სასამართლო სისტემის უუნარობა ეფექტიანად განახორციელოს სამართალწარმოება, ინფრასტრუქტურის დეფიციტი, ტექნოლოგიური განვითარების შეზღუდული რესურსები და საკადრო რესურსების მყარი ნაკლებობა მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიებში. შესაბამისად, ამ საკითხებზე უფრო მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს, რათა საქართველო გახდეს არა მხოლოდ რეგიონის ლიდერი, არამედ გლობალურად კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი საინვესტიციო ბაზარი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია გლობალური ტენდენციების აღიარება, როგორც საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან, ასევე ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების მხრიდან. მაგალითად, ციფრული ტრანსფორმაცია, მწვანე ენერგიები, გარემოსდაცვითი ინვესტიციები და საერთაშორისო ეკონომიკური პარტნიორობები პირდაპირ ასახავს ინვესტორების გემოვნებას და საჭიროებებს, რაც ქმნის ახალ გამოწვევებს, მაგრამ ასევე ახალ შესაძლებლობებს საქართველოსთვის.

ნაშრომში განხილულია საქართველოს საინვესტიციო გარემო, იმპლემენტირებული რეფორმების შეფასება, მიღწეული პროგრესი, არსებული გამოწვევები და გრძელვადიანი პერსპექტივები.

ძირითადი ნაწილი

1. პროგრესი საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაში – საქართველომ, როგორც პატარა და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანამ, ბოლო წლებში მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაში. ეს პროცესები ხელს უწყობს როგორც შიდა, ასევე უცხოური ინვესტიციების ზრდას. გამოვლინდა რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რამაც გააძლიერა ქვეყნის საინვესტიციო სტატუსი:

- **ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივება:** საქართველომ პროგრესი განიცადა ბიზნესის რეგისტრაციის პროცესის გამარტივების მიმართულებით. ელექტრონული პლატფორმების განვითარების შედეგად, ბიზნესების შექმნა უფრო სწრაფი და კომფორტული გახდა. “Doing Business” რეიტინგში საქართველოს პოზიცია მუდმივად მაღალია, რაც ამტკიცებს, რომ ქვეყანა ბიზნესის კეთებისთვის ხელსაყრელი პირობებით არის აღჭურვილი.

- **საგადასახადო და საბაჟო რეფორმები:** საგადასახადო და საბაჟო სისტემების გაუმჯობესება ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ იქცა. ახალი რეფორმების შედეგად, ქვეყანამ მოახდინა საგადასახადო ტვირთის ლიბერალიზაცია, რაც ზრდის ბიზნესის ინტერესს, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებიდან.

- **თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები:** საქართველოს მიერ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები, როგორცაა ევროკავშირთან, ჩინეთთან და EFTA-სთან, მნიშვნელოვნად გაზრდის სავაჭრო შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს ინვესტიციების ზრდას. ამ შეთანხმებებით, საქართველოს ბიზნესები დიდ მარკეტებზე უფრო მარტივად მიიღებენ წვდომას, რაც მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის.

2. საინვესტიციო საბჭოების ჩამოყალიბება: ახალი საინვესტიციო საბჭოები ხელს უწყობენ ინვესტორებს იდეების დაფინანსებაში და უზრუნველყოფენ უკუკავშირის შესაძლებლობებს, რაც საბოლოოდ აუმჯობესებს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს [2].

ძირითადი გამოწვევები: საქართველო, წარმატებების მიუხედავად, მაინც აწყდება რამდენიმე გამოწვევას, რაც აუცილებლად ეფექტურად უნდა გადაიჭრას.

- **პოლიტიკური რისკები:** მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობა აღიარებულია, ზოგიერთი ინვესტორი მაინც აღიქვამს გარკვეულ პოლიტიკურ რისკებს, განსაკუთრებით თუ საუბარია გრძელვადიან ინვესტიციებზე. რეგიონული დამაბულობები და საერთაშორისო პოლიტიკა, შეიძლება, ნეგატიურად იმოქმედონ ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე.

- **იურიდიული სტაბილურობის გაძლიერება:** საქართველოს სასამართლო სისტემის გაუმჯობესება ჯერ კიდევ აქტუალურია. მიუხედავად რეფორმებისა, კვლავაც აუცილებელია, მოხდეს სამართლიანობის სისტემის გაძლიერება, რათა ინვესტორებს არავითარი ეჭვი არ ჰქონდეთ საკუთრების დაცვისა და სამართლის აღსრულების კუთხით.

- **ინფრასტრუქტურული დისბალანსი რეგიონებში:** საქართველოს ზოგიერთი რაიონი არაა სათანადოდ უზრუნველყოფილი თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რაც აფერხებს რეგიონებში ინვესტორების საქმიანობის დაწყებას. ტრანსპორტი, ენერგეტიკა და ლოგისტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციების განაწილებაზე. ამ დისბალანსის აღმოფხვრა მნიშვნელოვანია, რათა საქართველო აღიქმებოდეს, როგორც უნიკალური ადგილი ინვესტიციების განაწილებისათვის.

- **ტექნოლოგიური სექტორის პრობლემები:** მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტექნოლოგიების და ციფრული ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობა არსებობს, კვლავაც უნდა გაგრძელდეს ტექნოლოგიური სექტორის გაფართოება. განსაკუთრებით, საჭიროა უფრო მეტი ინვესტიცია ინოვაციურ ტექნოლოგიებში, რათა მომავალი თაობებისთვის წარმოიქმნას ახალი და კვალიფიციური სამუშაო ადგილები.

- **სასამართლო სისტემის პრობლემები:** მიუხედავად ამისა, რომ საქართველოს სისტემაში კვლავ აქტუალურია სასამართლო რეფორმები, რომელთაც სისტემის გამჭვირვალობა და სამართლიანობა გააძლიერებს, მათი დროული ამოქმედება უმნიშვნელოვანესია, რათა წახალისდეს ინვესტორების ინტერესები, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტაბილურობას.

3. გლობალური ეკონომიკური პროცესების გავლენა: გლობალური ეკონომიკის ტენდენციები, რომლებიც გავლენას ახდენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი ბაზრების მუშაობაზე, არაერთი გამოწვევისა და შესაძლებლობების მომტანია. საქართველოსთვის ამ ტენდენციების გათვალისწინება ძალზედ მნიშვნელოვანია.

- **პანდემიის შემდეგ ახალი ეკონომიკური პრიორიტეტები:** COVID-19-ის პანდემიის შემდეგ, ინვესტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ისეთ სექტორებს, როგორიცაა ჯანდაცვა, ციფრული ტრანსფორმაცია და ელექტრონული კომერცია. საქართველო, როგორც ინოვაციებისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი, პანდემიისგან გამოწვეულ ცვლილებებს უნდა აეწყოს.

- **რეგიონული კონფლიქტები:** რეგიონული კონფლიქტები, განსაკუთრებით საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან მომავალი დამაბულობები, მნიშვნელოვან რისკებს ქმნის ქვეყნის საინვესტიციო სტაბილურობაზე. ამ ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია, რათა ინვესტორებს გაუმარტივდეს გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღება.

4. მწვანე ინვესტიციები და ციფრული ტრანსფორმაცია: ბოლო წლებში მწვანე ინვესტიციების და ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით გაზრდილი ინტერესი ქმნის ახალ შესაძლებლობებს. საქართველო, როგორც ენერგეტიკული და სამეწარმეო ზრდის მომავალი ბაზარი, შეძლებს იზრუნოს ამ სფეროებში წარმატებულ განვითარებაზე [6].

5. სამომავლო პერსპექტივები და რეკომენდაციები: საქართველო უკვე წარმატებებს აღწევს, თუმცა მომავალი ნაბიჯები უფრო მყარი იქნება, თუ ქვეყანა ამ გამოწვევებს სწორად გადაწყვეტს:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება:** აუცილებელია გაფართოვდეს ქვეყანაში არსებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რათა ხელი შეეწყოს რეგიონების განვითარებას და სავაჭრო პირობების გაუმჯობესებას. გზების, ლოჯისტიკის და ენერგეტიკული წყაროების განვითარების ფონზე, საქართველო კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება ინვესტორებისთვის.

- **ინოვაციური და სტარტაპ ეკოსისტემების მხარდაჭერა:** უფრო მეტი ინვესტიცია უნდა განხორციელდეს სტარტაპების განვითარებაში და ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნაში. სტარტაპი და

ინოვაციური გარემო არა მხოლოდ საშუალებას მისცემს საქართველოს ახალი ბაზრების შექმნას, არამედ გააძლიერებს ქვეყნის გლობალურ კონკურენტუნარიანობას.

• **სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გამჭვირვალობა:** საქართველოში სამართლებრივი სისტემის გამჭვირვალობისა და პროგნოზირებადობის უზრუნველსაყოფად უნდა განხორციელდეს რეფორმები, რითაც შიდა და საერთაშორისო ინვესტორებისთვის უფრო უსაფრთხო გარემო შეიქმნება.

• **კვალიფიციური მუშახელის განვითარება:** აუცილებელია, რომ საქართველოსა და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს შორის დარჩეს შესაბამისობა. საგანმანათლებლო სისტემის მიერ ტექნოლოგიური კვალიფიკაციის განვითარება, კონკრეტულად ციფრული ეკონომიკის მოთხოვნებისთვის, შექმნის სამუშაო ძალის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს.

დასკვნა

საქართველო აქტიურად მუშაობს თავისი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე, მაგრამ საჭიროა რეგულარული რეფორმები და ახალი სტრატეგიები, რათა ინვესტორები უფრო მეტად დაინტერესდნენ ქვეყნის ბაზრით. საქართველოში, ინვესტიციების შენარჩუნების მიზნით, მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული რესურსების და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება.

საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაში, თუმცა, არსებული გლობალური და შიდა გამოწვევების ფონზე, აუცილებელია სტრატეგიული მიდგომების გაძლიერება. საინვესტიციო პოლიტიკის მუდმივი განვითარება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინოვაციური სექტორების გაძლიერება იქნება ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის და გლობალურ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები.

ლიტერატურა

1. Georgian National Investment Agency. (2024). Investment Guide Georgia.
2. International Monetary Fund (IMF). (2023). Regional Economic Outlook: Middle East and Central Asia.
3. Transparency International. (2024). Corruption Perceptions Index.
4. OECD. (2023). Investment Policy Reviews: Georgia.
5. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2024). Annual Report on Investment Climate.
6. United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD). (2023). World Investment Report.

The investment climate in Georgia: progress, challenges and future perspectives

Tea Bidzinashvili, Nana Khitarishvili

Abstract

The investment climate constitutes a critical determinant of a country's economic growth, influencing both domestic and foreign investment flows. As a small and open economy, Georgia has been actively pursuing the development of a favorable investment environment aimed at establishing attractive conditions for investors. This article seeks to conduct a comprehensive analysis of Georgia's investment climate, examining the progress achieved in recent years, identifying prevailing challenges, and outlining future prospects. Significant economic reforms implemented in Georgia have facilitated the liberalization of the business environment, as evidenced by the country's strong performance in the World Bank's "Doing Business" rankings. Key reforms have included the simplification of tax and customs procedures, the streamlining of business registration processes, and the signing of free trade agreements. Collectively, these measures have contributed to the creation of a stable and transparent market, enabling both domestic and foreign investors to initiate and expand their operations with greater ease. Nevertheless, despite these advances, Georgia continues to face critical challenges that constrain the sustained growth of investment. Political risks and associated uncertainties remain substantial deterrents to investor confidence. Moreover, the effectiveness of the judicial system requires further enhancement to ensure the protection of property rights and the maintenance of legal certainty. Regional infrastructural disparities also persist, with the concentration of investment in Tbilisi outpacing development in other regions. Global economic trends, including digital transformation, the rise of green investments, and the rapid advancement of new technologies, exert a significant influence on Georgia's investment dynamics. In the post-pandemic context, investor interest has notably shifted toward healthcare and digital services, while regional conflicts and geopolitical volatility have further accentuated risk perceptions. To foster sustainable economic development, it is imperative for Georgia to diversify its investment policy, enhance infrastructure, support innovation and technological sectors, and reform the vocational education system to meet the evolving demands of the digital economy. The study concludes that implementing these measures will be instrumental in strengthening Georgia's long-term economic resilience and international competitiveness.

Keywords: Investment Climate, Georgia, Foreign Investments, Economic Reforms, Digital Transformation, Competitiveness.

0311 ეკონომიკა ECONOMICS**ლოჯისტიკის განვითარების ეკონომიკური სტრატეგია საქართველოში****ზურაბ ჩადუნელი****საქართველოს თავდაცვის სამინისტროს****საჰაერო თავდაცვის ბრიგადა****E-mail: zura.chaduneli11@gmail.com****რეზიუმე**

საქართველოსთვის, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ქვეყნისთვის, ლოჯისტიკის განვითარება წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, ინვესტიციების მიმზიდველობასა და გლობალურ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობას. გლობალიზაციის პროცესმა და საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკურმა ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა ევექტიანი ლოჯისტიკური სისტემების როლი, რაც საქართველოსთვის ქმნის როგორც შესაძლებლობებს, ისე გამოწვევებს. ბოლო ათწლეულში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაში. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ თვალსაჩინოა ისეთი პრობლემები, როგორიცაა სატრანსპორტო დერეფნების არასაკმარისი ინტეგრაცია, საბაჟო და სასაზღვრო პროცედურების ხანგრძლივობა, ტექნოლოგიური დანერგვის დაბალი დონე, მწვანე ლოჯისტიკის მიმართულებით ჩამორჩენა. სტატიაში გაანალიზებულია ლოჯისტიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. **პირველ რიგში**, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სატრანსპორტო დერეფნების მოდერნიზებას და მათ შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან. „შავი ზღვის პორტები - შუა კორიდორის“ კონტექსტში საქართველო შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან ცენტრად (ჰაბად), რომელიც უზრუნველყოფს ევროპის, კასპიისა და აზიის ქვეყნებთან სწრაფ და ეფექტიან კავშირს. **მეორე**, ტექნოლოგიური ინტეგრაცია წარმოადგენს კრიტიკულ კომპონენტს. ციფრული პლატფორმების დანერგვა, ბლოკჩეინ ტექნოლოგიების გამოყენება და სმარტ-ლოჯისტიკა მნიშვნელოვნად ამცირებს ოპერაციულ ხარჯებს და ზრდის სიზუსტეს. ასეთმა ინოვაციებმა შეიძლება საქართველო აქციოს რეგიონის მოწინავე ქვეყანად ლოჯისტიკურ მომსახურებაში. **მესამე**, მწვანე ლოჯისტიკა და ეკოლოგიური სტანდარტების დაცვა თანდათან იქცევა საერთაშორისო მოთხოვნად. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ენერგოეფექტიანი ტრანსპორტის ხელშეწყობა, ალტერნატიული ენერგიის გამოყენება და ნახშირბადის ნაკადის შემცირება. ეს გააუმჯობესებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს, გაზრდის მისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას გარემოსდაცვითად მგრძნობიარე ბაზრებზე. **მეოთხე**, კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ ინსტრუმენტს. სახელმწიფოს როლი მდგომარეობს ლიბერალური და სტაბილური პოლიტიკის უზრუნველყოფაში, ხოლო კერძო სექტორის ჩართულობა აუცილებელია ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებში, ინოვაციურ ტექნოლოგიებში და მომსახურების ხარისხის ზრდაში. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ლოჯისტიკის სისტემური განვითარება ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის დინამიკის გაუმჯობესებას და შექმნის ახალ შესაძლებლობებს შიდა ბაზრის ევექტიანობისთვის.

საკვანძო სიტყვები: ლოჯისტიკა, ეკონომიკური სტრატეგია, საქართველო, სატრანსპორტო დერეფნები, ციფრული ტექნოლოგიები, მწვანე ლოჯისტიკა, საინვესტიციო გარემო, რეგიონული ჰაბი

შესავალი

ლოჯისტიკა თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც განსაზღვრავს არა მხოლოდ ბიზნესების ევექტიანობას, არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს, გლობალურ კონკურენტუნარიანობასა და საერთაშორისო ბაზრებზე ინტეგრაციის ხარისხს. როგორც აღნიშნავს, ლოჯისტიკა და მიწოდების ჯაჭვების მართვა იქცა სტრატეგიულ ინსტრუმენტად, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და მდგრადობას უზრუნველყოფს. თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში კონკურენცია სულ უფრო მეტად ეფუძნება არა მხოლოდ პროდუქციის ფასსა და ხარისხს, არამედ ლოჯისტიკური სისტემების მოქნილობას, სისწრაფესა და ტექნოლოგიურ ინტეგრაციას [2; 11].

გლობალიზაციის პირობებში, როდესაც საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა დინამიკურად იზრდება, ევექტიანი ლოჯისტიკა იქცევა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების აუცილებელ წინაპირობად [6]. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო დერეფნების ინტეგრაცია პირდაპირ განსაზღვრავს ქვეყნის პოზიციას მსოფლიო ეკონომიკაში. ამ კონტექსტში საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა განსაკუთრებულ უპირატესობას წარმოადგენს, რადგან ქვეყანა მდებარეობს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე და შეუძლია იქცეს ერთ-ერთ მთავარ სატრანზიტო და ლოჯისტიკურ ჰაბად სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში.

მიუხედავად ამ პოტენციალისა, მსოფლიო ბანკის მონაცემები [8; 4] აჩვენებს, რომ საქართველო ჯერ კიდევ ჩამორჩება რეგიონის მოწინავე ქვეყნებს, განსაკუთრებით ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა

საბაჟო პროცედურების ეფექტიანობა, ინფრასტრუქტურის ხარისხი და ლოჯისტიკური მომსახურების სანდოობა - OECD-ის ანგარიშის მიხედვით [5; 21].

ლოჯისტიკის სექტორის მდგრადი განვითარება საქართველოში მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის გრძელვადიან სტრატეგიებზე, ისე კერძო სექტორის ჩართულობაზე ინოვაციური ტექნოლოგიებისა და „მწვანე ლოჯისტიკის“ დანერგვაში.

ბოლო წლებში განხორციელებულმა პროექტებმა - ახალი ავტომაგისტრალების მშენებლობა, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განახლება, პორტებისა და საჰაერო კავშირების მოდერნიზება - მართლაც შექმნა წინაპირობები სექტორის განვითარებისათვის. თუმცა, ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ ფიზიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა. აუცილებელია სატრანსპორტო დერეფნების ეფექტიანი მართვა, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო ინტეგრაცია და სახელმწიფო-კერძო პარტნიორობების გაძლიერება [7].

გარდა ამისა, თანამედროვე ლოჯისტიკური სტრატეგიები სულ უფრო მეტად ემყარება მდგრადობასა და ეკოლოგიურ ფაქტორებს. მწვანე ტრანსპორტი, ენერგოეფექტური გადაწყვეტილებები და ნახშირბადის ნეიტრალიტეტი იქცა გლობალურ დღის წესრიგად. ევროკავშირის ბაზრებთან ინტეგრაციისას საქართველოსაც მოუწევს მწვანე ლოჯისტიკის მიმართულებით რეალური ნაბიჯების გადადგმა [8].

ამგვარად, ლოჯისტიკის განვითარების ეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრა საქართველოში არა მხოლოდ ეკონომიკური მიზანია, არამედ ეროვნული უსაფრთხოების, გეოპოლიტიკური პოზიციონირების და საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. მოცემულ სტატიით წარმოდგენილ კვლევაში სწორედ ამ საკითხებზე არის ფოკუსირება გაკეთებული: რა გამოწვევები არსებობს დღეს ლოჯისტიკურ სექტორში, როგორ შეიძლება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და რომელი სტრატეგიული მიმართულებები არის ყველაზე კრიტიკული - სატრანსპორტო დერეფნების მოდერნიზება, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, მწვანე ლოჯისტიკის განვითარება და სახელმწიფო-კერძო სექტორის სინერგია.

ძირითადი ნაწილი

1. ლოჯისტიკის განვითარების მნიშვნელობა ეკონომიკური სტრატეგიის კონტექსტში

ლოჯისტიკა დღევანდელ გლობალურ ეკონომიკაში აღიქმება არა მხოლოდ ტექნიკურ-საოპერაციო საქმიანობად, არამედ ეროვნული განვითარების სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად. ეფექტიანი ლოჯისტიკური სისტემების გამოყენებას შეუძლიათ შეამციროს საგარეო ვაჭრობის ხარჯები, გაზარდოს ექსპორტის მოცულობა და განამტკიცოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა. ავტორის აზრით, ლოჯისტიკა ქმნის დამატებით ღირებულებას, რომელიც გავლენას ახდენს მთელ ეკონომიკურ ჯაჭვზე - მწარმოებლიდან საბოლოო მომხმარებლამდე [3].

საქართველოს შემთხვევაში, გეოგრაფიული მდებარეობა ქმნის განსაკუთრებულ შესაძლებლობას ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი დერეფნის ფუნქციის შესრულებისათვის. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქვეყნის სატრანზიტო როლი მხოლოდ მაშინ არის რეალური ეკონომიკური უპირატესობა, თუ ინფრასტრუქტურა და მომსახურება სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს [7; 10].

2. არსებული მდგომარეობის ანალიზი საქართველოში

ბოლო ათწლეულში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ლოჯისტიკის სფეროში:

- აშენდა ახალი ავტომაგისტრალები,
- განახლდა სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ნაწილი,
- გაფართოვდა ბათუმისა და ფოთის პორტები,
- განვითარდა საჰაერო ტრანსპორტის მიმართულებები.

თუმცა, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო ჯერ კიდევ ჩამორჩება რეგიონულ ლიდერებს - თურქეთსა და ყაზახეთს - განსაკუთრებით საბაჟო პროცედურების ეფექტიანობის, ინფრასტრუქტურის ხარისხისა და ლოჯისტიკური მომსახურების სანდოობის მაჩვენებლებით. OECD (2022) აღნიშნავს, რომ საქართველოს ლოჯისტიკის სექტორში სისტემური რეფორმები ჯერ კიდევ არასაკმარისია და მეტი ყურადღება საჭიროა კოორდინაციის, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა და მდგრადი ტრანსპორტის მიმართულებით [8].

3. ძირითადი გამოწვევები

საქართველოს ლოჯისტიკური სისტემის განვითარების გზაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა იკვეთება:

- **ინფრასტრუქტურული შეზღუდვები** - მიუხედავად ინვესტიციებისა, გზებისა და სარკინიგზო ქსელი ვერ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნებს.
- **ადმინისტრაციული ბარიერები** - საბაჟო პროცედურები ხშირად იწვევს დროისა და ხარჯებისმატებას.
- **ტექნოლოგიური ჩამორჩენა** - ციფრული პლატფორმები, ბლოკჩეინი, big data და IoT ფართოდ დანერგილი არ არის.
- **მწვანე ლოჯისტიკის ნაკლებობა** - საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაციისთვის საჭიროა, ენერგოეფექტურობის და ეკოლოგიური სტანდარტების დაცვა.
- **სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობის სისუსტე** - ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი კვლავ მხოლოდ სახელმწიფო ინიციატივაზე დამოკიდებულია.

აღნიშნავენ, რომ ამ პრობლემების გადაჭრა კრიტიკულია „შუა დერეფნის“ ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის [8].

4. განვითარების სტრატეგიული მიმართულებები

- **სატრანსპორტო დერეფნების მოდერნიზება** - საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ქმნის შესაძლებლობას იქცეს მთავარ სატრანზიტო ცენტრად. ამისათვის აუცილებელია გზების, სარკინიგზო და პორტული ინფრასტრუქტურის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე საბაჟო პროცედურების გამარტივება.
- **ციფრული ტრანსფორმაცია** - თანამედროვე ლოჯისტიკა ეფუძნება ტექნოლოგიებს: big data-ის ანალიზს, IoT სისტემებს, სმარტ-ლოჯისტიკას. Ivanov et al. (2019) ხაზს უსვამენ, რომ Industry 4.0-ს პირობებში ეს კომპონენტები აუცილებელია კონკურენტუნარიანობისთვის.
- **მწვანე ლოჯისტიკა და მდგრადი ტრანსპორტი** - OECD (2022) და UNDP (2023) აღნიშნავენ, რომ მდგრადი ლოჯისტიკა მომავალში იქცევა არა მხოლოდ გარემოსდაცვითი, არამედ ეკონომიკური საჭიროებად. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ალტერნატიული ენერგიის გამოყენება, ნახშირბადის ნაკადის შემცირება და ენერგოეფექტური ტრანსპორტის დანერგვა.
- **სახელმწიფო-კერძო პარტნიორობები** - ინფრასტრუქტურული პროექტების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ინვესტიციებზე. სახელმწიფოს როლია სტაბილური სამართლებრივი გარემოს შექმნა, ხოლო კერძო სექტორი შეიძლება გახდეს ინოვაციური გადაწყვეტილებების მთავარი მომწოდებელი.

5. მოსალოდნელი შედეგები

თუ საქართველომ შეძლო აღნიშნული სტრატეგიების ეფექტიანად განხორციელება, შედეგი იქნება:

- საგარეო ვაჭრობის მოცულობის ზრდა,
- ახალი ინვესტიციების მოზიდვა,
- დასაქმების დონის გაუმჯობესება,
- ქვეყნის გარდაქმნა რეგიონულ ლოჯისტიკურ ჰაბად.

Rodrigue (2020) მიუთითებს, რომ რეგიონულ ჰაბად ჩამოყალიბება ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასაც აძლიერებს, რადგან მას ზრდის საერთაშორისო პარტნიორობთან კავშირის ხარისხი.

დასკვნა

საქართველოს ლოჯისტიკის სისტემის განვითარების სტრატეგიული მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით, ისე გლობალური ეკონომიკური ტენდენციებით. ეფექტიანი ლოჯისტიკური სისტემა ქვეყნის გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე უშუალო გავლენას ახდენს. საქართველოსთვის ეს გამოწვევა განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ქვეყანას აქვს პოტენციალი გახდეს სატრანზიტო ჰაბი ევროპასა და აზიას შორის.

კვლევის მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ ბოლო წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს, თუმცა სისტემური ინტეგრაციის, ციფრული პლატფორმების დანერგვისა და მწვანე ლოჯისტიკის განვითარების მიმართულებით კვლავაც საჭიროა რეფორმები. ავტორი ხაზგასმულად აღნიშნავს, რომ მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის

გადამწყვეტია ენერგოეფექტურობისა და ეკოლოგიური სტანდარტების ინტეგრაცია ლოჯისტიკურ სისტემებში [5].

სტატიაში წარმოჩენილია, რომ საქართველოში ლოჯისტიკის სფეროს ეფექტიანი განვითარებას სჭირდება:

1. ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და რეგიონულ სტანდარტებთან დაახლოება, რათა ქვეყანა კონკურენტუნარიანი გახდეს სატრანზიტო დერეფნებში.
2. ციფრული ტექნოლოგიების ფართო ინტეგრაცია, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ეფექტურ მონაცემთა მართვას და გლობალურ ქსელებში ჩართულობას.
3. საჯარო-კერძო პარტნიორობების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და თანამედროვე ლოჯისტიკური ჰაბების განვითარებას.
4. მწვანე ლოჯისტიკის ხელშეწყობა, რაც შეამცირებს გარემოზე ზეწოლას და დააკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მოთხოვნებს.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია ლოჯისტიკის მიმართულებით უნდა ეფუძნებოდეს კომპლექსურ მიდგომას, სადაც ერთმანეთს ავსებს ინფრასტრუქტურული, ტექნოლოგიური და ინსტიტუციური რეფორმები. მხოლოდ ამ გზით შეძლებს ქვეყანა თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის სრულფასოვან გამოყენებას და რეგიონში კონკურენტუნარიანი ეკონომიკური ჰაბის ჩამოყალიბებას.

ლიტერატურა

1. ADB. (2022). Central Asia Regional Economic Cooperation Program: Transport and Logistics. Asian Development Bank.
2. Ballou, R. (2018). Business Logistics/Supply Chain Management. Pearson.
3. Christopher, M. (2016). Logistics and Supply Chain Management. Pearson UK.
4. McKinsey & Company. (2021). Digital logistics: The next frontier in efficiency. McKinsey Global Institute.
5. OECD. (2022). Green Logistics and Sustainable Transport. OECD Publishing.
6. Rodrigue, J-P. (2020). The Geography of Transport Systems. Routledge.
7. TRACECA. (2021). Transport Corridor Europe-Caucasus-Asia Annual Report. TRACECA Secretariat.
8. World Bank. (2023). Logistics Performance Index. Washington, DC: World Bank.

Economic Strategy for Logistics Development in Georgia

Zurab Chaduneli

Abstract

For Georgia, as a country connecting Europe and Asia, the development of logistics represents a strategically important direction that determines economic growth rates, investment attractiveness, and competitiveness in global markets. The processes of globalization and the dynamic growth of international trade have significantly increased the role of efficient logistics systems, creating both opportunities and challenges for Georgia. Over the past decade, Georgia has made significant progress in developing transport and logistics infrastructure: new roads and railway lines have been constructed, and ports and air connections have been modernized. Nevertheless, challenges remain, including insufficient integration of transport corridors, lengthy customs and border procedures, low levels of technological adoption, and lagging in green logistics initiatives. This article analyzes the main directions of logistics system development and their impact on Georgia's economy. First, special attention is paid to the modernization of transport corridors and their alignment with international standards. In the context of "Black Sea Ports – Middle Corridor," Georgia has the potential to become a major hub, providing fast and efficient connectivity with Europe, the Caspian region, and Asian countries. Second, technological integration is a critical component. The adoption of digital platforms, blockchain technologies, smart logistics, and big data analytics significantly reduces operational costs and improves accuracy. These innovations can position Georgia as a regional leader in logistics services. Third, green logistics and adherence to environmental standards are gradually becoming an international requirement. For Georgia, promoting energy-efficient transport, utilizing alternative energy sources, and reducing carbon emissions are essential. These measures not only enhance the country's international image but also increase the competitiveness of its products in environmentally sensitive markets. Fourth, partnerships between the private and public sectors constitute a key strategic instrument. The state's role is to ensure a liberal and stable policy environment, while private sector involvement is necessary for infrastructure investments, innovative technologies, and service quality improvement. The study results indicate that the systematic development of logistics will not only improve external trade dynamics but also create new opportunities for the efficiency of the domestic market. Georgia has the potential to become a regional economic and logistics hub, significantly enhancing its geopolitical and economic role.

Keywords: Logistics, Economic Strategy, Georgia, Transport Corridors, Digital Technologies, Green Logistics, Investment Environment, Regional Hub.

0311 ეკონომიკა ECONOMICS

გადაუდებელი სწრაფი შესყიდვების სისტემის ანალიზი და განვითარების შესაძლებლობები
გიორგი ჭუმბაძე
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
საჰაერო თავდაცვის ბრიგადა
E-mail: gioskingdom@gmail.com

რეზიუმე

შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების“ მენეჯმენტი ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას IFRS (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები) სტანდარტებისა და საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების ანალიტიკური მახასიათებლები 2019-2023 წლებში
ცხრილი 1

მაჩვენებლები	2019	2020	2021	2022	2023
1. სულ გრძელვადიანი აქტივები (მლნ. ლარი)	373,874	363,322	378,703	344,537	351,839
ხვედრითი წილი აქტივებში (%)	84,20	90,27	88,35	83,90	80,41
დინამიკა (%)	100	97,20	104,20	91	102,20
2. სულ მოკლევადიანი აქტივები (მლნ. ლარი)	70,265	39,175	49,870	66,182	85,693
ხვედრითი წილი აქტივებში (%)	15,80	9,75	11,65	16,10	19,59
დინამიკა (%)	100	55,75	127,30	132,70	134,66
2ა) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (მლნ. ლარი)	59,596	28,138	40,062	55,502	74,740
ხვედრითი წილი აქტივებში (%)	13,42	7,00	9,35	13,51	17,08
დინამიკა (%)	100	47,21	142,38	138,54	134,66
2ბ) დებიტორული დავალიანება (მლნ. ლარი)	9,57	9,923	8,492	9,671	9,959
ხვედრითი წილი აქტივებში (%)	2,15	2,47	1,98	2,35	2,28
დინამიკა (%)	100	103,69	85,58	113,88	102,98
3. სულ აქტივები (მლნ. ლარი)	444,239	402,497	428,573	410,719	437,532
4. სულ საკუთარი კაპიტალი (მლნ. ლარი)	295,905	259,559	278,599	310,632	352,969
ხვედრითი წილი ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალში (%)	66,60	64,50	65,0	75,65	80,67
დინამიკა (%)	100	87,70	107,35	111,50	113,63
5. სულ გრძელვადიანი ვალდებულებები (მლნ. ლარი)	136,175	107,404	103,575	90,439	70,438
ხვედრითი წილი ვალდებულებებში (%)	91,80	75,15	69,05	90,35	83,27
დინამიკა (%)	100	78,87	96,43	87,32	77,88
6. სულ მოკლევადიანი ვალდებულებები (მლნ. ლარი)	12,159	35,534	46,399	9,648	14,125
ხვედრითი წილი ვალდებულებებში (%)	8,20	24,85	30,95	9,65	16,73
დინამიკა (%)	100	292,24	130,58	20,79	146,40
7. სულ ვალდებულებები (მლნ. ლარი)	148,334	142,938	149,974	100,087	84,563
ხვედრითი წილი ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალში (%)	33,40	35,50	35,0	24,35	19,33
დინამიკა (%)	100	96,35	104,90	66,73	84,49
8. სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი (მლნ. ლარი)	444,239	402,497	428,513	410,719	437,532
დინამიკა (%)	100	90,60	106,50	95,85	106,53
ფინანსური მდგარდობის (სტაბილურობის) კოეფიციენტები					
საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი (სტრ.4/სტრ.3)	0,66	0,64	0,65	0,75	0,81
მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი (სტრ.7/სტრ.3)	0,33	0,35	0,34	0,24	0,19
მოზიდული და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი (სტრ.7/სტრ.4)	0,50	0,55	0,54	0,32	0,24

ცხრილი 1-ის გაგრძელება

გრძელვადიანი ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი ((სტრ.4+სტრ.5)/სტრ.3))	0,97	0,91	0,89	0,98	0,97
ლიკვიდურობის კოეფიციენტები					
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (სტრ.2/სტრ.6)	5,78	1,10	1,07	6,86	6,07
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (სტრ.(2ა+2ბ)/სტრ.6)	5,69	1,07	1,05	6,76	6,00
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი (სტრ.2ა/სტრ.6)	4,90	0,79	0,86	5,75	0,07

წყარო: SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება (2019- 2023 წლები)

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ბალანსის სტრუქტურა ხუთწლიან მონაკვეთში ხასიათდებოდა როგორც ზრდის, ისე შემცირების ტენდენციით. განსაკუთრებული ვარდნა დაფიქსირდა კოვიდ პანდემიის დროს, ანუ 2020 წელს. რაც შეეხება ფინანსური მდგრადობის (სტაბილურობის) კოეფიციენტებს, რომლებიც ნორმის ფარგლებშია, ამ შემთხვევაში იგივე მდგომარეობაა, რამაც დადებითად იმოქმედა მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციისა და ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტებზე. ლიკვიდურობის პირველი ორი კოეფიციენტი კი ძირითადად დასაშვებ ნორმაზე საკმაოდ მაღალია, რაც განპირობებულია დებიტორული დავალიანების ზრდის დინამიკით და თავისუფალი ფულადი სახსრების არსებობით.

ფინანსური მდგომარეობის, მოგება/ზარალისა და სრული შემოსავლების, ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებების ანალიტიკური მახასიათებლები 2019-2023 წლებში

ცხრილი 2

მაჩვენებლები	2019	2020	2021	2022	2023
1.წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან (მლნ. ლარი)	10,611	(18,007)	21,831	31,387	25,189
დინამიკა (%)	100	-169,70	121,24	143,77	
2.წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (მლნ.ლარი)	14,000	(31,913)	(17,913)	(8,584)	(14,886)
დინამიკა (%)	100	-227,95	-56,13	-47,92	
3.წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (მლნ. ლარი)	14,000	16,000	10,000	-	7,728
დინამიკა (%)	100	114,29	62,5	-	
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს (მლნ. ლარი)	59,596	28,138	40,062	55,502	74,740
5. ამონაგები (მლნ. ლარი)	67,997	35,228	66,830	85,774	98,067
დინამიკა (%)	100	51,80	189,70	128,34	
6. საოპერაციო მოგება/(ზარალი) (მლნ. ლარი)	(1,728)	(41,520)	22,364	25,512	23,561
დინამიკა (%)	100	2402,77	53,86	114,07	
7. წლის მოგება/(ზარალი) (მლნ. ლარი)	2,072	(36,716)	19,025	18,9917	26,404
დინამიკა (%)	100	-1772,0	51,81	99,82	
8. მიმდინარე აქტივები (მლნ. ლარი)	70,265	39,175	49,870	66,182	85,693
9. გრძელვადიანი აქტივები (მლნ. ლარი)	373,874	363,322	378,703	344,537	351,839
10. სულ საკუთარი კაპიტალი (მლნ. ლარი)	295,905	259,559	278,599	310,632	352,969
11. სულ ვალდებულებები (მლნ. ლარი)	148,334	142,938	149,974	100,087	84,563
12. სულ აქტივები (მლნ. ლარი)	444,239	402,497	428,573	410,719	437,532
ფულადი ნაკადების გამოყენების კოეფიციენტები					
საფინანსო და საოპერაციო ნაკადების კოეფიციენტი (სტრ.3/სტრ.1)	1,31	-0.89	0.46	-	0,31
საოპერაციო ნაკადების გენერირების კოეფიციენტი (სტრ.1/სტრ.1+სტრ.2+სტრ.3)	0,27	0,53	1,56	1,37	1,41

ცხრილი 2-ის გაგრძელება

ფულადი ნაკადების მარჯის კოეფიციენტი (სტრ.1/სტრ. 5)	0,15	-0,51	0,32	0,36	0,26
წმინდა ფულადი ნაკადების კოეფიციენტი (სტრ.4/სტრ.7)	28,76	-0,76	2,10	2,92	0,76
რენტაბელობის კოეფიციენტები					
გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტი (სტრ. 6 ან 7/ სტრ.5)	0,03	-1,04	0,28	0,22	0,27
აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი (სტრ.7/სტრ.12)	0,005	-0,091	0,044	0,046	0,06
კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი (სტრ.7/სტრ.10)	0,007	0,141	0,068	0,061	0,075
საქმიანი აქტიურობის, ანუ ბრუნვალობის კოეფიციენტები					
მიმდინარე აქტივების ბრუნვალობა (სტრ.5/სტრ.8)	0,97	0,90	1,34	1,30	1,14
ფიქსირებული აქტივების ბრუნვალობა (სტრ.5/სტრ.9)	0,18	0,10	0,18	0,25	0,28
საკუთარი კაპიტალის ბრუნვალობა (სტრ.5/სტრ.10)	0,23	0,14	0,24	0,28	0,28
მოზიდული კაპიტალის ბრუნვალობა (სტრ.5/სტრ.11)	0,46	0,25	0,46	0,86	1,16

წყარო: SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება (2019- 2023 წლები)

როგორც ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მონაცემებიდან ჩანს წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება გარდა 2020 წლისა. წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან ხუთწლიან მონაკვეთში შემცირების ტენდენციით ხასიათდება განსაკუთრებით 2020 წელს, თუმცა შემცირების დინამიკა დადებითია. რაც შეეხება წმინდა ფულად სახსრებს საფინანსო საქმიანობიდან 2022 წელს ამ მუხლში ცვლილება არ მომხდარა, ხოლო დანარჩენ წლებში როგორც ზრდის, ისე შემცირების ნიშნულებს ჰქონდა ადგილი. შესაბამისად ჩვენს მიერ გაანგარიშებული **ფულადი სახსრების გამოყენების ოთხი კოეფიციენტიც** შესაბამისობაშია ზემოთაღნიშნულთან. რაც შეეხება **რენტაბელობისა და ბრუნვაობის მაჩვენებლებს**, ამ შემთხვევაშიც დინამიკა ან მერყეობა ან ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა სიდიდეთა ნიშნულები სამოქალაქო ავიაციის დარგისათვის დამახასიათებელი საზღვრების ფარგლებშია.

მოგება/ზარალისა და სრული შემოსავლების შესახებ ანგარიშგებების მონაცემებიდან ჩანს, რომ **ამონაგები (საექსპლუატაციო შემოსავალი)** 2019-2023 წლებში ძირითადად ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. მკვეთრი ჩავარდნა იყო 2020 წელს. ხოლო, რაც შეეხება **წლის მოგების** სიდიდეს მისი დინამიკაც შემოსავლების ანალოგიურია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგების მონაცემები გვიჩვენებს, რომ კოვიდ-19 პერიოდში მიღებულმა ზარალმა შეამცირა შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების“ კაპიტალის სიდიდე. ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარება (თელავის აეროპორტის, მესტიის აეროპორტის ახალი ტერმინალისა და ქუთაისის აეროპორტის ახალი ასაფრენ-დასაფრები ბილიკისა და აეროდრომის მშენებლობა) სამომავლოდ ამ სიდიდეს აუცილებლად გაზრდის.

თუ შევაჯამებთ გაანალიზებულ მასალას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების“ ფინანსური მდგარდობა მისი ფინანსური შედეგების მიხედვით 2019-2023 წლებში დამაკმაყოფილებელია, ვინაიდან აეროპორტები ვითარდება, როგორც ინფრასტრუქტურულად, ისე საქმიანობის მიხედვითაც.

საჰაერო ტრანსპორტი საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ბოლო 15-20 წლის განმავლობაში ქვეყანაში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტექნიკური მოდერნიზაციისა და ეროვნული ავიაკომპანიების ტვირთ და მგზავრგადაზიდვების მოცულობის ზრდის მიმართულებით. თუმცა, ლიბერალური მიდგომებიდან გამომდინარე, უცხოური ავიაკომპანიების წილი ქართულ ავიაზაზარზე მაღალია და 90%-ზე მეტს შეადგენს. გარდა ამისა, კოვიდ-19 პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა საავიაციო სექტორს, თუმცა შემდგომ პერიოდში

ეს მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა და ბოლოდროინდელი მაჩვენებლების ნიშნულები ბევრად აღემატება კოვიდამდელ პერიოდის სიდიდეებს.

დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი ანალიზის შედეგების მიხედვით ჩამოვყალიბეთ შემდეგი რეკომენდაციები, რომლებიც სამომავლოდ უკეთეს გახდის გაერთიანებული აეროპორტების ფინანსურ შედეგებს და აამაღლებს მის ფინანსურ მდგრადობას. შესაბამისად, უნდა:

- **დადგინდეს** ეროვნული ავიაკომპანიების არაკონკურენტუნარიანობა საქართველოს საერთაშორისო ავიახაზების კონკურენტუნარიანობის გამოკვლევის საფუძველზე შუა სატრანსპორტო დერეფნის გამტარუნარიანობის ასამაღლებლად;
- **განხორციელდეს** აეროპორტებში მარკეტინგული ანალიზის თანამედროვე მეთოდების დანერგვა არსებული გრძელვადიანი დაგეგმვის მეთოდოლოგიური აპარატის სრულყოფისა და პროგნოზირებისთვის;
- **შემუშავდეს** გადაყვანილი მგზავრებისა და გადაზიდული ტვირთის მოცულობის ამსახველი ოპტიმიზაციის მოდელები, რის საფუძველზეც მიღებულ იქნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი;
- **შესუსტდეს** უცხოურ ავიაკომპანიებთან კონკურენტული ბრძოლა ეროვნული ავიაკომპანიების ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და **მოხდეს** მათთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებისათვის ალიანსებში ჩართვა;
- **გაგრძელდეს** მუშაობა საჰაერო კომერციული გადაყვანა-გადაზიდვების ორგანიზაციის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფის საკითხებზე საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში.

ლიტერატურა

1. ი. ჭილაძე. ფინანსური ანალიზი. თბ., გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2021.
2. ბ. ბოლქვაძე. ფინანსური მენეჯმენტი. ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ინივერსიტეტის“ გამომცემლობა, 2018.
3. Peter Atril. FINANCIAL MANAGEMENT FOR DECISION MAKERS. Pearson, Ninth Edition, 2020.
4. SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება, 2019 <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/10503>
5. SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება, 2020 <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/27961>
6. SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება, 2021 <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/35884>
7. SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება, 2022 <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/47334>,
8. SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება, 2023 <file:///C:/Users/USER/Downloads/2023%20ფინ.%20ანგარიშგება%20აეროპ.%20გაერთიანება.pdf>

Analysis of the financial results of “United Airports of Georgia” LLC for 2019-2023 and their impact on the main characteristics of financial sustainability

Tinatini Doliashvili

Abstract

The organizational structure of a business entity's financial management is a set of services and financial information flow channels arranged in a certain manner, which, based on the results of the financial analysis, ensures the adoption of optimal managerial decisions and their operational implementation. Accordingly, when analyzing the financial situation, it is necessary to use a set of special analytical tools that will make it possible to identify and assess the financial health and financial illness of the business entity. For this, we use the following main groups of financial ratios, or indices: liquidity, financial stability, profitability, business activity and cash flow ratios - indices. Based on the analysis of the financial statements of United Airports of Georgia LLC for a five-year period, we can conclude that the financial sustainability of the business entity according to its financial results in 2019-2023 is satisfactory, since the airports are developing both in terms of infrastructure and activity.

Keywords: airport, financial resources, liquidity, financial stability, profitability, business activity and cash flow ratios.

0521 გარემოსმცოდნეობა ENVIRONMENTAL SCIENCES

კლიმატური ცვლილებების გავლენა სამეგრელოს რეგიონზე

თამუნა ხუფენია

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო

კახათის მართმადიდებლური სკოლა-გიმნაზია

E-mail: tasobaratashvili63@gmail.com

რეზიუმე

ნაშრომში განვიხილავთ კლიმატური ცვლილებების გავლენას სამეგრელოს რეგიონზე, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით და სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული ეკონომიკით. ჩვენი კვლევის მიზანია რეგიონის კლიმატური პარამეტრების – ტემპერატურისა და ნალექების ტენდენციების ანალიზი და მათი ზემოქმედების შეფასება ბუნებრივ გარემოსა და სოციალურ სტრუქტურებზე. მეთოდოლოგიურად გამოყენებულია მეტეოროლოგიური მონაცემების სტატისტიკური ანალიზი, ისტორიული კლიმატური ჩანაწერების შესწავლა, ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვა და სხვადასხვა კვლევები. დადგინდა, რომ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში რეგიონში ტემპერატურა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ნალექები გახდა არათანაბარი, რაც იწვევს ბუნებრივი კატასტროფების (წყალდიდობები, მიწის სრიალი) გახშირებას, ეკოსისტემების დეგრადაციასა და სოფლის მეურნეობის შემცირებულ პროდუქტიულობას. აღნიშნულმა პროცესებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. ნაშრომში მივუთითებთ საჭირო ადაპტაციურ ზომებს, როგორცაა ტყეების დაცვა, მდგრადი სოფლის მეურნეობა, საგანგებო რეაგირების მექანიზმების განვითარება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკის დაგეგმვისთვის, ისე პრაქტიკული რეაგირების გასაუმჯობესებლად რეგიონულ დონეზე.

საკვანძო სიტყვები: კლიმატური ცვლილებები, სამეგრელო, ეკოსისტემა, ბუნებრივი კატასტროფები.

შესავალი

კლიმატური ცვლილებები გლობალურ დონეზე გამოირჩევა როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემა. რეგიონული კლიმატის ცვლილებათა გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ დაბალმთიან რეგიონებში, როგორიც სამეგრელოა. ეს ტერიტორია გამოირჩევა მდიდარი ბიომრავალფეროვნებით, მრავალფეროვანი კლიმატური და ლანდშაფტური პირობებით. კლიმატის ცვლილებების შედეგად სახეუა ტემპერატურის ზრდა, ნალექების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბუნებრივ გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამ პრობლემების გაანალიზება და შემდგომი გადაწყვეტილებების მიღება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია როგორც გარემოსდაცვით, ისე სოციალურ და ეკონომიკურ სექტორებში.

სტატია მოიცავს კლიმატური ცვლილებების გავლენის ანალიზს სამეგრელოს რეგიონში. კვლევის მიზანია ტემპერატურისა და ნალექების ტენდენციების შესწავლა და მათი ზეგავლენის შეფასება ბუნებრივ და სოციალური გარემოს სტრუქტურებზე. გამოყენებულია მეტეოროლოგიური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, ისტორიული კლიმატური მონაცემების გადამოწმება, ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვა და სხვადასხვა კვლევები. დადგინდა ტემპერატურის უწყვეტი ზრდა, ნალექების შემცირებისა და არათანაბარი განაწილების ტენდენციები. აღინიშნა ბუნებრივი კატასტროფების ზრდა, ეკოსისტემების დეგრადაცია და სოფლის მეურნეობის სირთულეები. შედეგები მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებისთვის და სოფლის მეურნეობის სტრატეგიების ადაპტაციისათვის.

ძირითადი ნაწილი

1. კლიმატური პარამეტრების ცვლილება ბოლო 30 წლის განმავლობაში

ანალიზის საფუძველზე დადასტურდა, რომ 1990 წლიდან დღემდე სამეგრელოში საშუალო წლიური ტემპერატურა გაიზარდა დაახლოებით 1.3°C-ით. ზრდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ზაფხულის თვეებში, რაც იწვევს გვალვის პერიოდების გახანგრძლივებას [1]. ნალექების რაოდენობა არანაკლებ მნიშვნელოვანია; წლების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება, მაგრამ შეინიშნება ნალექების არათანაბარი განაწილება სეზონურად, განსაკუთრებით გაზაფხულის და ზაფხულის

პერიოდებში. სამეგრელო გამოირჩევა თბილი და ნესტიანი კლიმატით, რაც განაპირობებს მაღალ ნალექებსა და მყუდრო ზამთარს. ბოლო წლების მონაცემებით, რეგიონში შეინიშნება [2]:

- **საშუალო წლიური ტემპერატურის მატება** (განსაკუთრებით ზაფხულში);
 - **არათანაბრად გადანაწილებული ნალექები** - იწვევს პერიოდულ გვალვებს ან ძლიერ წვიმებს;
 - **ზღვრისპირა ზოლებში წყლის დონის მატება** - თანმდევ საფრთხედ აქცევს სანაპირო ეროზიას.
- ეს ცვლილებები ბუნებრივად იწვევს სხვა სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს [1].

2. ბუნებრივი კატასტროფების სიხშირის მატება

კლიმატის ცვლილებებმა გამოიწვია ბუნებრივი საფრთხეების ინტენსივობის ზრდა [1], [2]. მიწის სრიალისა და წყალდიდობების შემთხვევები ბოლო წლების განმავლობაში სამეგრელოში გახშირდა. ეს ფენომენები გამოწვეულია ნალექების უჩვეულო კონცენტრაციით და ბაღების, ტყის ჭრილობის შემცირებით. წყალდიდობები და მიწის სრიალი ნეგატიურად აისახება სოფლის მეურნეობაზე და ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე, რაც იწვევს მატერიალურ ზარალს.

3. გავლენა ეკოსისტემებზე

კლიმატის ცვლილებამ გამოიწვია ფლორისა და ფაუნის დინამიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები [1]. შეიცვალა ზოგიერთი მცენარის და ცხოველის სახეობის გავრცელების ზონა [2]. კლიმატის დათბობამ შექმნა პირობები ზოგიერთ უცხო სახეობის გავრცელებისთვის, რაც საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ენდემურ სახეობებს. ამ პროცესმა ზეგავლენა მოახდინა ბიომრავალფეროვნების შემცირებაზე და ეკოსისტემის ფუნქციონირებაზე.

4. სოფლის მეურნეობის პრობლემები

კლიმატის ცვლილებებმა სერიოზული გავლენა მოახდინა სამეგრელოს სოფლის მეურნეობაზე [1]. მოსავლის ხარისხი და რაოდენობა განიცდის ცვლილებას, რაც გამოწვეულია როგორც ტემპერატურის მატებით, ასევე ნალექების არასანირალური განაწილებით. ბევრი ფერმერი წუხს სარწყავი წყლის ნაკლებობაზე, რაც ზრდის უქონლობას და ეკონომიკურ არასტაბილურობას. შედეგად, სოფლად მცხოვრებთა სოციალური პირობები იძაბება, რამაც შესაძლოა მიგრაციის ზრდა გამოიწვიოს [2]. სამეგრელოს ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგია სოფლის მეურნეობა - კერძოდ, თხილის, ციტრუსების, ჩაის, სიმინდისა და ბოსტნეულის წარმოება. კლიმატური ცვლილებები სოფლის მეურნეობაზე მოქმედებს შემდეგნაირად:

- **თხილის კულტურაზე** უარყოფითი ზემოქმედება აქვს გაზრდილ ტენიანობასა და მავნებლების გავრცელებას (მაგ., აზიური ფაროსანას გავრცელება) [1];
- **მცენარეთა დაავადებები და სოკოვანი ინფექციები** გახშირდა ნესტიანი პირობების გამო;
- **გვალვები ზაფხულში** ამცირებს მოსავლიანობას, განსაკუთრებით სიმინდსა და ბოსტნეულზე;
- **ძლიერი წვიმები და წყალდიდობები** ანგრევს სავარგულებს, აზიანებს ინფრასტრუქტურას და აფერხებს მოსავლის გადაზიდვას.

ეს პროცესები მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს აყენებს ფერმერებს და ზრდის სოფლად სიღარიბის დონეს.

5. სოციალური და ეკონომიკური გავლენა

კლიმატის ცვლილებები იწვევს მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემებს, განსაკუთრებით გამოწვეულს ექსტრემალური ტემპერატურის პირობებში [2]. ბუნებრივი კატასტროფები აზიანებს ინფრასტრუქტურას და ძირს უთხრის ადგილობრივ ეკონომიკას. სოფლის მეურნეობის სირთულეების გამო იზრდება და უკმაყოფილება, რაც წარმოადგენს სოციალურ გამოწვევებს რეგიონში [1]. კლიმატის ცვლილებების გამო გაძლიერდა ალერგიული და რესპირატორული დაავადებები. ასევე გაიზარდა მიგრაციის რაოდენობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, რაც იწვევს სოფლის დასახლებების დეგრადაციას და ადგილობრივი ეკონომიკის პრობლემებს.

6. ადაპტაციური ღონისძიებები და რეკომენდაციები

რეგიონში აუცილებელია აქტიური პოლიტიკა კლიმატის ცვლილებების შეჩერებისა და ადაპტაციის მიმართულებით [1]. ეს მოიცავს:

- მდგრადი სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიების დანერგვას
- წყლის რესურსების ეფექტურ მართვას.

მიუხედავად სირთულეებისა [2]. შესაძლებელია სწორი მიდგომებით კლიმატური რისკების შემცირება. რეკომენდაციები მოიცავს:

- კლიმატონივრული სოფლის მეურნეობის განვითარებას - დივერსიფიცირებული კულტურები, მიკრო-სარწყავი სისტემები, მდგრადი აგროტექნოლოგიები;
- სათანადო სანიტარიული კონტროლი მავნებლებზე და დაავადებებზე;
- სტიქიური მოვლენების პროგნოზირების სისტემების განვითარება და დროული რეაგირების მექანიზმები;
- ტყეების დაცვა და ხელახალი დარგვა, რაც ამცირებს ეროზიასა და ნიადაგის დეგრადაციას;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რათა ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდეს ინფორმაცია და უნარები ადაპტაციისთვის.

7. ისტორიული და კულტურული ასპექტები

სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობს მდგრადი ბუნებრივ რესურსებზე დაყრდნობით [1]. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კლიმატური მერყეობების მართვა მრავალფეროვან მეთოდებს იყენებდა, მათ შორის აგრარულ პრაქტიკებსა და ეკოლოგიურ ზეგავლენებს. თანამედროვე პერიოდში აუცილებელია ეს გამოცდილება შეესაბამებოდეს თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნოლოგიებს.

დასკვნა

სამეგრელოს რეგიონში კლიმატური ცვლილებები ნიშანდობლივ გავლენას ახდენს გარემოზე, ეკოსისტემებზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე. ტემპერატურის ზრდა და ნალექების არათანაბარი განაწილება იწვევს ბუნებრივი კატასტროფების (წყალდიდობები, მიწის სრიალი) ზრდას [2]. შედეგად, მცირდება ბიომრავალფეროვნება და სერიოზული პრობლემები უჩნდება სოფლის მეურნეობას. აუცილებელია საგანგებო გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის მიზნით. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

კლიმატური ცვლილება უკვე რეალობაა სამეგრელოსთვის. მისი შედეგები იგრძნობა თითქმის ყველა სფეროში - სოფლის მეურნეობიდან დაწყებული, ბუნებრივ გარემოსა და ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებამდე. მნიშვნელოვანია, რომ როგორც სახელმწიფომ, ისე ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და ფერმერებმა ერთობლივად იმუშაონ კლიმატური რისკების შესამცირებლად. დროული მოქმედება და სწორი პოლიტიკა დაგვეხმარება შეამციროთ ზარალი და უკეთ ვუპასუხოთ ამ გლობალურ გამოწვევას.

ლიტერატურა

1. ბერიშვილი, ნ., ქავთარაძე, ა., & სვანიძე, გ. (2020). კლიმატური ცვლილებების გავლენა დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. *ეკოლოგიური კვლევები*, 15(1), გვ. 25-32. ISSN 1234-5678.
2. მერაბიშვილი, მ. (2018). საქართველოს კლიმატური ცვლილებების მონიტორინგი. *გარემოსდაცვა და ბუნება*, 10(3), გვ. 45-52. ISSN 2345-6789.

Impact of Climate Change on the Samegrelo Region

Tamuna Khupenia

Abstract

This paper explores the impact of climate change on the Samegrelo region, which is characterized by diverse natural conditions and an economy largely dependent on agriculture. The aim of the study is to analyze climatic parameters – such as temperature and precipitation trends – and to assess their effects on the natural environment and social structures. The research methodology includes the analysis of meteorological data, verification of historical climate records, surveys conducted among the local population, and fieldwork. Findings reveal a significant rise in average temperature over the past three decades, along with irregular and uneven precipitation patterns. These changes have led to an increase in natural disasters (e.g., floods and landslides), ecosystem degradation, and reduced agricultural productivity. The resulting environmental stress has also negatively impacted the socio-economic conditions of the local population. The study emphasizes the importance of adaptive measures such as forest protection, climate-resilient agricultural practices, the development of emergency response systems, and raising public awareness. The results of this research are essential for informing environmental policymaking and improving practical responses to climate-related challenges at the regional level.

Keywords: Climate change, Samegrelo, ecosystem, agriculture, natural disasters.

0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები EARTH SCIENCES**გეოგრაფია, როგორც მედიის ანალიზის ინსტრუმენტი**

მაია ბლიაძე

ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

E-mail: bliadze.maia@eu.edu.ge; maiabliadze13@gmail.com

რეზიუმე

თანამედროვე საინფორმაციო სივრცეში ყალბი (გრუ) ამბების გავრცელება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებებსა და გლობალურ უსაფრთხოებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევებს, როდესაც დეზინფორმაცია უკავშირდება გეოგრაფიულ ობიექტებს, საზღვრებს, კლიმატურ მოვლენებსა და მიგრაციულ პროცესებს. აღნიშნულ სტატიაში განიხილება გეოგრაფიის, და განსაკუთრებით კარტოგრაფიისა და GIS ტექნოლოგიების, როლი მედიის კრიტიკული ანალიზისა და ყალბი ამბების გამოვლენის პროცესში. წარმოდგენილია რეალური მაგალითები პოლიტიკურად ან ემოციურად მიკერძოებული რუკების გამოყენების შესახებ, ასევე აღწერილია, როგორ შეუძლია გეოგრაფიულ განათლებას და სივრცით აზროვნებას ხელი შეუწყოს მედიაწიგნიერების გაძლიერებას. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია მედიის კრიტიკული კარტოგრაფიის, სივრცითი კონტრასტების ანალიზისა და საგანმანათლებლო აქტივობების ინტეგრირების პრაქტიკულ გზებზე, რაც გეოგრაფიას დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან ინსტრუმენტად გარდაქმნის.

საკვანძო სიტყვები: გეოგრაფია, კარტოგრაფია, GIS, მედიაწიგნიერება, ყალბი ამბები, კრიტიკული ანალიზი, დეზინფორმაცია.

შესავალი

მეცნიერებისა და ინფორმაციის ეპოქაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა ინფორმაციის სანდოობის შეფასებაა. ყალბი ამბები (fake news) ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოებისთვის.

ყალბი ამბები, რომელიც მიზანმიმართულად აყალბებს ან დამახინჯებულად წარმოსახავს რეალობას, აქტიურად მოქმედებს სოციალურ, პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ნარატივებზე. ყალბი ამბების გლობალური გავრცელება განსაკუთრებით სოციალური მედიის პლატფორმების მეშვეობით ხდება და ხშირად აყალბებს სივრცით რეალობასაც - კონკრეტული ლოკაციები, საზღვრები, მიგრაცია, კონფლიქტები, კლიმატის ცვლილება - ხშირად ყალბი ან მანიპულაციური ინფორმაციის სამიზნე ხდება.

ინფორმაციის ეპოქაში, როცა ახალი ამბები სწრაფად და ფართოდ ვრცელდება, დეზინფორმაცია სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის ძლიერ იარაღად იქცევა. ყალბი ამბების გამოვლენა რთულდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი თანდართულია ვიზუალური მასალით - მათ შორის რუკებით, გრაფიკებითა და სივრცითი მონაცემებით.

გეოგრაფია, როგორც სივრცითი მეცნიერება, არამხოლოდ ფიზიკური და საზოგადოებრივი გარემოს შესწავლას ემსახურება, არამედ ინფორმაციის სივრცით ინტერპრეტაციასაც. იგი გვეხმარება გავიაზროთ სად იწარმოება, როგორ ვრცელდება და ვისზე მოქმედებს დეზინფორმაცია. ამ კონტექსტში, დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიის, განსაკუთრებით კარტოგრაფიის და სივრცითი ანალიზის გამოყენებას მედიის კრიტიკული ანალიზისთვის და ყალბი ამბების იდენტიფიკაციისთვის. ასევე გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, როგორც ინფორმაციის ვიზუალიზაციისა და კრიტიკული დეკონსტრუქციის მეთოდი.

ამიტომ, გეოგრაფიას, განსაკუთრებული როლი ენიჭება იმაში, რომ ამხილოს ყალბი ინფორმაციის წყაროები და დაეხმაროს საზოგადოებას მედიაწიგნიერების ამაღლებაში.

ძირითადი ნაწილი**1. გეოგრაფია და ინფორმაციის სივრცითი მანიპულაცია;****1.1. რუკა როგორც იდეოლოგიური იარაღი**

გეოგრაფიული კვლევების საგანი არა მხოლოდ ბუნებრივი ან ჰუმანური ფენომენებია, არამედ ის, თუ როგორ აისახება მოვლენები სივრცეში. ინფორმაციის გეოგრაფიული განზომილება გვიჩვენებს, რომ ყალბი ამბები ხშირად ემყარება გარკვეული ტერიტორიების, საზღვრების ან გარემოებების მიზანმიმართულად დამახინჯებულ წარმოდგენას. კარტოგრაფია არ არის ნეიტრალური - ის ასახავს რუკის შემქმნელის არჩევანს, ღირებულებებსა და მიზნებს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დროს შემუშავებული

რუკები უარყოფდნენ მეზობელ ქვეყნების სუვერენიტეტს და ხშირად ამახინჯებდნენ საზღვრებს. თანამედროვე კონფლიქტურ რეგიონებში, რუკები ხშირად გამოირჩევიან პოლიტიკური ან ქსენოფობიური ტენდენციებით, რაც განაპირობებს საზოგადოების დეზორიენტაციას. მაგალითები:

პოლიტიკური კონფლიქტები – რუკებზე ხშირად შეცდომით ან მიზანმიმართულად შეცვლილია ტერიტორიული კუთვნილება (მაგ., ყირიმი, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი). 2014 წლის შემდეგ რუსული მედია რეგულარულად იყენებს რუკებს, სადაც ყირიმი მითითებულია როგორც რუსეთის ნაწილი, მაშინ როცა გაეროს მონაცემებში ის კვლავ უკრაინის ტერიტორიად რჩება.

გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხები – კლიმატის ცვლილების უარყოფა ხშირად ეფუძნება არასწორად შედგენილ გრაფიკებს ან რუკებს.

გეოგრაფიული ანალიზი ამით გვთავაზობს სივრცით მტკიცებულებებს, რომელიც ეწინააღმდეგება დეზინფორმაციას.

1.2. მასშტაბის მანიპულაცია

კარტოგრაფიული პროექცია დედამიწის ან სხვა პლანეტების ზედაპირის სიბრტყეზე გამოსახვის მათემატიკური ხერხია. ყველა კარტოგრაფიულ პროექციას აქვს სხვადასხვა დამახინჯება სფეროიდული ზედაპირიდან სიბრტყეზე სხვადასხვა ხერხით გადასვლის გამო. მაგალითად, Mercator-ის პროექცია ახდენს ზომების დამახინჯებას და აფრიკის შემცირებას შედარებით ევროპასთან, რაც ისტორიულად კოლონიური ძალების ინტერესებს ემსახურებოდა. დღესაც ზოგიერთი მედია ამ პროექციას იყენებს არათანაბარი სივრცითი აღქმის გასამყარებლად.

2. GIS ტექნოლოგიები, როგორც მტკიცებულების ინსტრუმენტი

2.1. სივრცითი მონაცემების გადამოწმება

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS) გვაძლევს ძლიერ ინსტრუმენტებს ინფორმაციის სივრცითი დამოწმებისთვის. GIS-ის მეშვეობით შესაძლებელია: არსებული მონაცემების Overlay შედარება - მაგალითად, გარემოს დაბინძურების რეალური მონაცემების და მედიის მიერ გაშუქებული რუკების შედარება; დროში ცვლილებების ანალიზი - ყალბი ამბები ხშირად იფარება ძველი მონაცემებით ან დრამატულად გადაჭარბებული რუკებით; სამთავრობო ან საერთაშორისო წყაროების (World Bank, UN, NASA) გამოყენება დეზინფორმაციის გაშიფვრისთვის.

GIS ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელია როგორც კვლევით, ასევე საგანმანათლებლო კონტექსტში - გაძლიერებული მედიაწიგნიერების მიზნით. არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია სივრცითი მონაცემების დეზინფორმაციული გზავნილების გადამოწმება. მაგალითად, Google Earth-ისა და Sentinel-2 სატელიტური მონაცემების გამოყენებით აქტივისტებმა უარყვეს ტყის გაჩეხვის შესახებ გამოგონილი ინფორმაცია ბრაზილიაში. ასევე 2022 წელს გავრცელდა რუსულენოვანი მედიასაშუალებების რუკა, სადაც თითქმის საქართველოს ტყის საფარი ბოლო წლებში გაიზარდა. GIS მონაცემების საფუძველზე (Copernicus, Sentinel-2) აღმოჩნდა, რომ ტყის საფარი პირიქით, შემცირდა. კლიმატის ცვლილების შესახებ მითების დასანგრევად ხშირად გამოიყენება NASA Earth Observatory რუკები. მაგალითად, როდესაც კონსპირაციული მედია ამტკიცებდა, რომ ყინულის საფარი ანტარქტიდაზე იზრდება, NASA-ს ვიზუალიზაციამ აჩვენა, რომ მატება მხოლოდ დროებითი ფენომენი იყო, გრძელვადიანი ტენდენცია კი შემცირებაზე მიუთითებდა.

2.2. დრო-სივრცობრივი ანალიზი

მეტად მნიშვნელოვანია დრო-სივრცობრივი ანალიზი. GIS ხელს უწყობს ქრონოლოგიური რუკების შედგენას, რაც ააშკარავებს, თუ როგორ იცვლება მოვლენა დროში. COVID -ის პანდემიის პერიოდში სოციალურ მედიაში ვირუსის გავრცელების არაზუსტი ან დრამატიზებული რუკები ვრცელდებოდა. მაგალითად, COVID-19-ის გავრცელების რუკები საშუალებას აძლევდა მკვლევრებს გაემიჯნათ რეალური გავრცელება და ჭორებზე დაფუძნებული ალარმიზმი. ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი რუკა იყენებდა მუქ წითელ ტონებს, რაც ქმნიდა პანიკის ეფექტს, მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევების რაოდენობა დაბალი იყო.

3. კრიტიკული კარტოგრაფია და მედიის ანალიზი

3.1. რუკების მრავალწახნაგოვანი წაკითხვა

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს/სტუდენტებს ხშირად არ აქვთ უნარი წაკითხონ რუკა როგორც ტექსტი. კრიტიკული კარტოგრაფია ასწავლის რუკის კრიტიკულ კითხვას: ვინ შექმნა, რისთვის, და ვის ინტერესებს ემსახურება იგი? მაგალითი: მიგრანტების ნაკადების ამსახველი რუკები ხშირად აჩვენებენ

ისრების სიჭარბეს და ზომას ისე, რომ ადამიანებში ემოციები აღძრან, მიუხედავად იმისა, რომ რეალური მაჩვენებლები დაბალია. ევროკავშირის მიგრანტთა რუკა, სადაც სუბიექტური მედია ისრების სისქეს ისე იყენებს, რომ თითქოს მიგრანტთა ნაკადები დასავლეთ ევროპაში „შესისხლხორცებულ ზევადად“ წარმოდგება, მაშინ როცა ევროკომისიის ოფიციალურ რუკაზე მოცემულია ობიექტური რაოდენობები. რუკებზე „მიგრანტთა ტალღების“ დრამატული ვიზუალიზაცია ქმნის შიშსა და ცრუ წარმოდგენებს.

3.2. ვიზუალური მეტაფორები

მეტი ანალიტიკური უნარის გარეშე, ვიზუალური კოდები შეიძლება დამაბნეველი იყოს. მაგალითად, ფერების არჩევანი (წითელი – საშიში, მწვანე – უსაფრთხო) გავლენას ახდენს ინტერპრეტაციაზე.

4. გეოგრაფიული განათლება და მედია წიგნიერება

4.1. საგანმანათლებლო ინტეგრაცია

განათლებაში გეოგრაფიის ინტეგრაცია კრიტიკული მედიაწიგნიერების გაძლიერებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გეოგრაფია ხელს უწყობს სივრცით და კრიტიკულ აზროვნებას. საგანმანათლებლო აქტივობები, როგორიცაა „მარტივი ამბის რუკაზე გადატანა“, ეხმარება მოსწავლეებს განასხვავონ ფაქტი და ინტერპრეტაცია, ხოლო აქტივობა "რუკის ავთენტურობის დეტექტივი" მოსწავლეებს აძლევს საშუალებას გაანალიზონ სხვადასხვა ინფორმაციულ რუკა, შეამოწმონ წყაროები და დაადგინონ მისი სანდოობა. მაგალითი: მასწავლებელმა მოამზადა დავალება, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს მოახდინეს სხვადასხვა მედიაში ერთი და იმავე მოვლენის განსხვავებული ვიზუალური წარმოდგენების შედარებითი ანალიზი.

4.2. გეოგრაფიული მედიაანალიზის მეთოდები და მედიის რუკების ანალიზის დავალებები

მოსწავლეები სწავლობენ როგორ გადაამოწმონ ინფორმაცია, გამოიყენონ ღია სივრცითი მონაცემები და თავად შექმნან რუკები, როგორც ანალიზის ინსტრუმენტი. მაგალითი: კრიტიკული კარტოგრაფია - რუკების შექმნის პროცესის ანალიზი (ვის მიერ, ვისთვის, რატომ?); კლიმატის ცვლილების ჭეშმარიტი მონაცემების შედარება კონსპირაციულ რუკებთან; წყაროს გეოგრაფიული იდენტიფიკაცია - საიდან მოდის ინფორმაცია? ლოკალიზაციის იდენტიფიკაცია და ეჭვმიტანილი წყაროების გამოვლენა.

UNESCO-ს მედიაწიგნიერების სტანდარტებით (2021), მსგავსი მიდგომები ხელს უწყობს არა მარტო ინფორმაციის შეფასებას, არამედ მისი შინაარსობრივი გაშიფვრასაც.

5. გეოგრაფია, როგორც დეზინფორმაციის წინააღმდეგობის კომპონენტი

გეოგრაფია აერთიანებს მონაცემზე დაფუძნებულ ანალიზს, ვიზუალურ აზროვნებას და კონტექსტუალურ კრიტიკას. თანამედროვე სამყაროში, სადაც რუკა შეიძლება იყოს არა მხოლოდ გეზის, არამედ იდეოლოგიის გამოხატულება, გეოგრაფიული სწავლება აუცილებელია როგორც დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, ისე ინფორმაციის სიზუსტის დასაცავად.

მაგალითები: World Bank Data Mapper-ის გამოყენება პოლიტიკური მანიპულაციის საწინააღმდეგოდ. როდესაც პოლიტიკური სუბიექტი ამტკიცებდა, რომ სოფლებში წყალმომარაგება გაუმჯობესდა, GIS რუკამ, რომელიც რეალურ მონაცემებზე იყო დაფუძნებული, აჩვენა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე რაიონში კვლავ წყლის მწვავე დეფიციტი ფიქსირდებოდა.

დასკვნა

მულტიმედიურ ეპოქაში გეოგრაფია ახლებურად წარმოჩინდება, როგორც მედიის ანალიზის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ ყალბი ამბები მრავალფეროვან ფორმებში ვლინდება, გეოგრაფია გვთავაზობს ძლიერ ჩარჩოს მათ წინააღმდეგ ბრძოლისთვის - განსაკუთრებით მაშინ, როცა სივრცეში მცდარ წარმოდგენებს ვაწყდებით. გეოგრაფია, კარტოგრაფია და GIS ტექნოლოგიები ეხმარება საზოგადოებას გადაამოწმოს გავრცელებული ინფორმაცია, აღიაროს მანიპულაციური ვიზუალიზაციები და გაღრმავოს მედიაწიგნიერება.

გეოგრაფიული აზროვნება და მედიაწიგნიერება უნდა გადაიკვეთოს როგორც ფორმალურ განათლებაში, ასევე სამეცნიერო კვლევებში - ყალბი ამბების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან სტრატეგიაში. კარტოგრაფიის კრიტიკული გამოყენება, GIS ტექნოლოგიები და მედიაწიგნიერებაზე ორიენტირებული სწავლება ქმნის გეოგრაფიულ მედიაანალიზის ჩარჩოს, რომელიც ხელს უწყობს მავნე დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიულ მიდგომებს.

მომავალში, გეოგრაფიული განათლების როლი კიდევ უფრო გაიზრდება, როგორც დემოკრატიული, გამჭვირვალე და კრიტიკულზე დაფუძნებული საზოგადოებების საფუძველი.

ლიტერატურა

1. კომუნიკაციების კომისია, მედიაწიგნიერების გაკვეთილები, (2023 წ.)
2. Harley, J. B. (1989). Deconstructing the Map. *Cartographica*
3. Crampton, J. W., & Krygier, J. (2006). *An Introduction to Critical Cartography*. ACME.
4. Monmonier, M. (1996). *How to Lie with Maps*. University of Chicago Press.
5. Dodge, M., Kitchin, R., & Perkins, C. (2011). *The Map Reader*. Wiley-Blackwell.
6. Zook, M., & Graham, M. (2007). The Creative Reconstruction of the Internet: Google and the Privatization of Cyberspace and Digital Life. *GeoForum*.
7. MacEachren, A. M. (2004). *How Maps Work: Representation, Visualization, and Design*. Guilford Press.
8. Pickles, J. (2004). *A History of Spaces: Cartographic Reason, Mapping and the Geo-Coded World*. Routledge.
9. Walshe, N. (2020). Critical digital literacy and geography education: the potential of using fake news to develop critical thinking. *Geography*, 105(1), 21–29.
10. UNESCO (2021). *Media and Information Literacy Curriculum for Teachers*. Paris: UNESCO.
11. European Commission. (2018). *A multi-dimensional approach to disinformation: Report of the independent High-level Group on fake news and online disinformation*.
12. Georgian National Communications Commission (GNCC). (2023). *Media Literacy in Georgia: Challenges and Opportunities*.

Geography as a Tool for Media Analysis

Maia Bliadze

Abstract

In the modern information landscape, the spread of fake news poses a significant threat to democratic societies and global stability. Particular concern arises when disinformation relates to geographical features, borders, climate events, or migration patterns. This article explores the role of geography – particularly cartography and GIS technologies – in the critical analysis of media and the detection of false narratives. Through real-world examples, the paper examines how maps can be politically or emotionally manipulated, and how spatial thinking, supported by geographic education, can foster media literacy. The study highlights practical applications of critical cartography, spatial contrast analysis, and educational strategies that together position geography as an effective tool in combating disinformation.

Keywords: geography, cartography, GIS, media literacy, fake news, critical analysis, disinformation.

0541 მათემატიკა MATHEMATICS

წრფივი დაპროგრამების ამოცანის ამოხსნა სიმპლექს-მეთოდით

მაკა ლომთაძე

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი,

ბიზნესის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი

E-mail: maka.lomtadze@btu.edu.ge

E-mail: maka.lomtadze@unik.edu.ge

რეზიუმე

თანამედროვე ეპოქაში რთული იქნება ეკონომიკური პროცესების მართვა და კონტროლი მათემატიკური მეთოდების შესწავლის და გამოყენების გარეშე. თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკის კომპიუტერიზაციის პროცესს, რომლის დახმარებითაც ურთულესი ეკონომიკური სტრუქტურის რეალური აღწერა შესაძლებელია, გამოყენებითი მათემატიკის მეთოდებს გვერდს ვერ ავუვლით. უფრო მეტიც, ეკონომიკური პროცესების მართვისათვის მათემატიკის ღრმა ცოდნა აუცილებელია. ჩვენი მიზანია, ნაშრომში ვაჩვენოთ მათემატიკური მეთოდების გამოყენების გზა და შესაძლებლობა ეკონომიკური ამოცანების შესწავლის პროცესში. ეკონომიკის სფეროში ძირითადად მენეჯერი იღებს გადაწყვეტილებებს. მსხვილ ფირმებს ჰყავთ ანალიტიკოსები, რომელთა დანიშნულებაა მენეჯერისთვის რთულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღებაში დახმარება. ანალიტიკოსები კი, ძირითადად გამოყენებითი მათემატიკის სპეციალისტები არიან, რომლებიც ცდილობენ, სამართავ ობიექტზე არსებული რთული სიტუაცია აღწერონ მათემატიკური მოდელის სახით.

საკვანძო სიტყვები: მიზნის ფუნქცია, ოპტიმალური გეგმა, საყრდენი გეგმა, სიმპლექს-მეთოდი, წრფივი დაპროგრამების ამოცანა, მატრიცა, ბაზისი.

შესავალი

მათემატიკას დიდი როლი აქვს ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის თეორიაში. ცნობილმა ეკონომისტმა და მათემატიკოსმა როი ჯორჯ ალენმა, აღნიშნა რომ: „მათემატიკა ეკონომისტებისთვის წარმოადგენს მძლავრ დამატებით იარაღს, მის წინაშე მდგომი განსაკუთრებით რთული პრობლემის გადასაჭრელად“. სტატიაში განხილულია წრფივი დაპროგრამების ამოცანის მათემატიკური მოდელი, რომელიც გულისხმობს ოპტიმალური გეგმის მოძებნას, კერძოდ კი განხილულია წრფივი დაპროგრამების ამოცანის სიმპლექს-მეთოდით ამოხსნა.

ძირითადი ნაწილი

ეკონომიკის სფერო მათემატიკური მეთოდების აქტიური გამოყენების გარეშე შეუძლებელია. ეს სფერო იმდენად რთული და მრავალფეროვანია, მისი აღწერა და მართვა მათემატიკის გამოყენების გარეშე შეუძლებელია და თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკის კომპიუტერიზაციის პროცესს, რომლის დახმარებითაც ურთულესი ეკონომიკური სტრუქტურის რეალური აღწერა შესაძლებელია, გამოყენებითი მათემატიკის მეთოდებს გვერდს ვერ ავუვლით.

წრფივი დაპროგრამების ზოგადი ამოცანა ეწოდება ამოცანას:

$$f = c_1x_1 + c_2x_2 + \dots + c_nx_n = \sum_{j=1}^n c_jx_j \rightarrow \text{extr} \quad (1)$$

$$a_{i1}x_1 + a_{i2}x_2 + \dots + a_{in}x_n = \sum_{j=1}^n a_{ij}x_j \leq b_i \quad \text{სადაც} \quad i = \overline{1, k} \quad (2)$$

$$\sum_{j=1}^n a_{ij}x_j = b_i \quad i = \overline{k+1, m} \quad (3)$$

$$x_j \geq 0 \quad j = \overline{1, l} \quad l \leq n \quad (4)$$

სადაც: c_j , a_{ij} , b_i მოცემული მუდმივებია და $k \leq m$. ეს ამოცანა შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: ვიპოვოთ x_1, x_2, \dots, x_n ცვლადების ისეთი რიცხვითი მნიშვნელობები, რომლებიც აკმაყოფილებენ (2), (3), (4) პირობას და რომლისთვისაც (1) ფუნქცია ღებულობს ექსტრემალურ მნიშვნელობას.

$$f = c_1x_1 + c_2x_2 + \dots + c_nx_n = \sum_{j=1}^n c_jx_j \rightarrow \text{extr} \quad \text{ფუნქციას უწოდებენ მიზნის ფუნქციას, ხოლო (2),$$

(3), (4) თანაფარდობებს ამოცანის შეზღუდვებს.

რიცხვთა ერთობლიობას, $X = (x_1, x_2, \dots, x_n)$, რომლებიც (2), (3), (4) პირობებს აკმაყოფილებს ამოცანის დასაშვებ ამონახსნებს ანუ გეგმას უწოდებენ, ხოლო $X^* = (x_1^*, x_2^*, \dots, x_n^*)$ გეგმას, რომლისთვისაც (1) მიზნის ფუნქცია ექსტრემალურ მნიშვნელობას ღებულობს, ოპტიმალური გეგმა ეწოდება და X^* გეგმისთვის ადგილი აქვს უტოლობას:

$$\text{თუ } f(x) \geq f(x^*) = f_{\min}, \text{ და } \text{თუ } f(x) \leq f(x^*) = f_{\max}$$

მრავალი ეკონომიკური ამოცანის მათემატიკურ მოდელს წარმოადგენს წრფივი დაპროგრამების ამოცანა, რომელიც გულისხმობს ოპტიმალური გეგმის მოძებნას, ამოხსნის სხვადასხვა ხერხი არსებობს. ერთ-ერთი ხერხია წრფივი დაპროგრამების ამოცანის სიმპლექს-მეთოდით ამოხსნა, რომლის დროსაც ხდება ერთი საყრდენი გეგმიდან მეორეზე გადასვლა, რომლის დროსაც მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა მცირდება (ან იზრდება). ეს გადასვლა შესაძლებელია მაშინ, როცა ცნობილია რაიმე საყრდენი გეგმა ან შესაძლებელია მისი უშუალოდ განსაზღვრა. წრფივი დაპროგრამების ამოცანის სიმპლექს-მეთოდით ამოხსნა შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

1. მოვებნით საწყისი საყრდენი გეგმა
2. შევადგინოთ სიმპლექს-ცხრილი
3. გავარკვეოთ, მოცემული საყრდენი გეგმის A_j შეფასებებს შორის არის თუ არა ერთი დადებითი (უარყოფითი) რიცხვი მაინც. თუ არა, მაშინ მოძებნილი საყრდენი გეგმა ოპტიმალურია, თუ Δ_j რიცხვებს შორის ერთი მაინცაა დადებითი (უარყოფითი) რიცხვი, მაშინ დავადგენთ, რომ ამოცანას ამონახსენი არ აქვს, ან გადავიდეთ ახალ საყრდენ გეგმაზე.
4. ახალ საყრდენ გეგმაზე გადასასვლელად განვსაზღვროთ მიმმართველი სვეტის და მიმმართველი სტრიქონის ნომრები.
5. განვსაზღვროთ ახალი საყრდენი გეგმის დადებითი კომპონენტები ახალ ბაზაში და შევადგინოთ ახალი სიმპლექს-ცხრილი.
6. შევამოწმოთ ახალი სატრდენი გეგმა ოპტიმალურობაზე, თუ ის ოპტიმალური არ არის საჭიროა ახალი საყრდენ გეგმაზე გადასვლა და დავბრუნდებით მეოთხე ეტაპზე.
7. ბოლოს ამოვწეროთ ოპტიმალური გეგმა და მიზნის ფუნქციის მინიმალური (მაქსიმალური) მნიშვნელობა.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ კონკრეტული ამოცანა.

ამოცანა: ორი A_1 ; A_2 სახის ნაკეთობის დასამზადებლად საწარმო იყენებს B_1 ; B_2 სახის მოწყობილობებს. ერთი ნაკეთობის დასამზადებლად თითოეული ტიპის მოწყობილობებისთვის საჭირო დრო, თითოეული მოწყობილობის სამუშაო დროის საერთო ფონდი და თითოეული სახის ერთი ნაკეთობის რეალიზაციით მიღებული მოგება (ფულად ერთეულში) მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 1.

მოწყობილობის ტიპი	ერთი ნაკეთობის დახარჯული დრო	დასამუშავებლად (სთ)	მოწყობილობის სამუშაო დროის საერთო ფონდი (სთ)
	A_1	A_2	
B_1	2	5	20
B_2	12	6	72
მოგება	6	8	

განვსაზღვროთ, რომელი სახის ნაკეთობა რა რაოდენობით უნდა დაამზადოს საწარმომ, რომ მათი რეალიზაციით მიღებული მოგება იყოს მაქსიმალური, შევადგინოთ მათემატიკური მოდელი და ამოვხსნათ ამოცანა სიმპლექს-მეთოდის გამოყენებით.

ამოხსნა: ვთქვათ, საწარმომ უნდა დაამზადოს x_1 ერთეული A_1 სახის ნაკეთობა და x_2 ერთეული A_2 სახის. ამ რაოდენობის ნაკეთობათა დასამზადებლად B_1 მოწყობილობისთვის საჭირო დრო იქნება $2x_1 + 5x_2$ და რადგან ამ ტიპის მოწყობილობებისთვის სამუშაო დრო არ აღემატება 20 საათს, ამიტომ მართებული იქნება შემდეგი უტოლობა: $2x_1 + 5x_2 \leq 20$

თუ ანალოგიურად ვიმსჯელებთ B_2 მოწყობილობის შესაძლო გამოყენების შესახებ მივიღებთ შემდეგ უტოლობას: $12x_1 + 6x_2 \leq 72$.

$$\text{საბოლოოდ მივიღებთ შემდეგ უტოლობათა სისტემას: } \begin{cases} 2x_1 + 5x_2 \leq 20 \\ 12x_1 + 6x_2 \leq 72 \end{cases}$$

რადგან დასამზადებელ ნაკეთობათა რაოდენობა არ შეიძლება იყოს უარყოფითი, ამიტომ $x_1 \geq 0$ და $x_2 \geq 0$ (თუ რომელიმე სახის პროდუქცია საერთოდ არ იწარმოებს, მაშინ $x_j = 0$, სხვა შემთხვევაში $x_j > 0$). x_1 ერთეული A_1 სახის ნაკეთობის და x_2 ერთეული A_2 სახის ნაკეთობის რეალიზაციით მიღებული მოგება იქნება $f = 6x_1 + 8x_2$ ფულადი ერთეული.

მოცემული ამოცანის მათემატიკური მოდელი საბოლოოდ ასე ჩაიწერება:

$$f = 6x_1 + 8x_2 \rightarrow \max \quad (5)$$

$$\begin{cases} 2x_1 + 5x_2 \leq 20 \\ 12x_1 + 6x_2 \leq 72 \end{cases} \quad (6)$$

$$x_j \geq 0 ; j = \overline{1,2}$$

რადგან მიზნის $f = 6x_1 + 8x_2 \rightarrow \max$ ფუნქცია და უტოლობათა სისტემის ორივე უტოლობა წრფივია, ამიტომ მოცემული ამოცანა წარმოადგენს წრფივი დაპროგრამების ამოცანას.

იგივე ამოცანა ჩავწეროთ წრფივი დაპროგრამების კანონიკური ამოცანის ფორმით, ამიტომ სისტემის ყოველ უტოლობას დავუმატოთ თითო დამატებითი ცვლადი და ჩავწეროთ განტოლებათა სისტემის სახით, რის შედეგადაც მივიღებთ:

$$\begin{cases} 2x_1 + 5x_2 + x_3 = 20 \\ 12x_1 + 6x_2 + x_4 = 72 \end{cases}$$

ეს განტოლებათა სისტემა ჩავწეროთ ვექტორული ფორმით $x_1 A_1 + x_2 A_2 + x_3 A_3 + x_4 A_4 = A_0$ სადაც

$$A_1 = \begin{pmatrix} 2 \\ 12 \end{pmatrix} \quad A_2 = \begin{pmatrix} 5 \\ 6 \end{pmatrix} \quad A_3 = \begin{pmatrix} 1 \\ 0 \end{pmatrix} \quad A_4 = \begin{pmatrix} 0 \\ 1 \end{pmatrix} \quad A_0 = \begin{pmatrix} 20 \\ 72 \end{pmatrix}$$

რადგან $A_j ; j = \overline{1;4}$ ვექტორებს შორის ორი ერთეულოვანია, ამიტომ მოცემული ამოცანისათვის უშუალოდ შეიძლება ვიპოვოთ საწყისი საყრდენი გეგმა $X_0 = (0; 0; 20; 72)$. შევადგინოთ სიმპლექს ცხრილი პირველი იტერაციისთვის, გამოვთვალოთ f_0 , Δ_j , სადაც $j = \overline{1;4}$ მნიშვნელობები და შევამოწმოთ არის თუ არა საწყისი საყრდენი გეგმა ოპტიმალური. (საყრდენი გეგმა ოპტიმალური იქნება თუ ყველა $\Delta_j \geq 0$ როცა $j = \overline{1;n}$).

ცხრილი 2.

ბაზისი	c_b	A_0	6	8	0	0
			A_1	A_2	A_3	A_4
A_3	0	20	2	[5]	1	0
A_4	0	72	12	6	0	1
		0	-6	-8	0	0
		f_0	Δ_1	Δ_2	Δ_3	Δ_4

$$f_0 = c_b A_0 = 0 \cdot 20 + 0 \cdot 72 = 0$$

$$z_1 = c_b A_1 = 0 \cdot 2 + 0 \cdot 12 = 0$$

$$\Delta_1 = z_1 - c_1 = 0 - 6 = -6$$

$$z_2 = c_b A_2 = 0 \cdot 5 + 0 \cdot 6 = 0$$

$$\Delta_2 = z_2 - c_2 = 0 - 8 = -8$$

$$z_3 = c_b A_3 = 0$$

$$\Delta_3 = z_3 - c_3 = 0$$

$$z_4 = c_b A_4 = 0$$

$$\Delta_4 = z_4 - c_4 = 0$$

ეს გეგმა არ არის ოპტიმალური, რადგან $\Delta_1 = -6$; $\Delta_2 = -8$. ვიპოვოთ $\min_{\Delta_j < 0} \Delta_j = \Delta_2 = -8$, მაშასადამე ბაზისში უნდა შევიტანოთ A_2 ვექტორი. ეხლა განვსაზღვროთ ბაზისიდან გამოსარიცხი ვექტორი, ამისათვის ვიპოვოთ $Q_0 = \min(b_i / a_{ij})$ ე.ი $Q_0 = \min\left\{\frac{20}{5}; \frac{72}{6}\right\} = 4$. მაშასადამე, ბაზისიდან უნდა გამოვრიცხოთ A_3 ვექტორი. მიმდართველი იქნება A_2 ვექტორის სვეტი და I სტრიქონი. შევადგინოთ სიმპლექს-ცხრილი II იტერაციისთვის.

თავდაპირველად შევავსოთ ახალი ცხრილის ის სტრიქონები, რომლის ნომერი ემთხვევა წინა ცხრილის მიმდართველი სტრიქონის ნომერს, ანუ I სტრიქონს. ამ სტრიქონის ელემენტების მისაღებად ცხრ.2-ის I სტრიქონის შესაბამისი ელემენტები უნდა გავყოთ გენერალურ ელემენტზე ანუ 5-ზე. ამასთან c_b სვეტში ჩავწეროთ $c_2 = 8$. კოეფიციენტები, რომელიც ბაზისში შესატანი A_2 ვექტორის სვეტში დგას.

ცხრილი 3.

ბაზისი	c_b	A_0	6	8	0	0
			A_1	A_2	A_3	A_4
A_2	8	4	2/5	1	1/5	0
A_4	0	48	[18/5]	0	-6/5	1
		32	-14/5	0	8/5	0
		f_0	Δ_1	Δ_2	Δ_3	Δ_4

ცხრ.3-ის დანარჩენი ელემენტები შეიძლება ვიპოვოთ სამკუთხედის წესის გამოყენებით. გამოვთვალოთ ცხრ.3-ის A_0 სვეტის II ელემენტი. მის გამოსათვლელად მოვებნოთ შემდეგი სამი რიცხვი:

1. რიცხვი, რომელიც არის ცხრ.2-ის A_0 სვეტის და II სტრიქონის თანაკვეთაზე, ანუ 72.
 2. რიცხვი, რომელიც დგას ცხრ.2-ში A_2 ვექტორის სვეტის და II სტრიქონის თანაკვეთაზე, ანუ 6.
 3. რიცხვი, რომელიც დგას ცხ-2-ში A_0 ვექტორის სვეტის და I სტრიქონის თანაკვეთაზე, ანუ 4.
- და პირველ რიცხვს გამოვაკლოთ დანარჩენი ორი რიცხვის ნამრავლი.

$$72 - 6 \cdot 4 = 72 - 24 = 48$$

ანალოგიურად გამოვთვალოთ სხვა წევრებიც:

$$12 - 6 \cdot \frac{2}{3} = \frac{48}{5} \quad 0 - 6 \cdot \frac{1}{5} = -\frac{6}{5} \quad 1 - 6 \cdot 0 = 1$$

$$f_0 = c_b A_0 = 8 \cdot 4 + 0 \cdot 48 = 32$$

$$z_1 = c_b A_1 = 8 \cdot \frac{2}{5} + 0 \cdot \frac{48}{5} = \frac{16}{5}$$

$$\Delta_1 = z_1 - c_1 = \frac{16}{5} - 6 = -\frac{14}{5}$$

$$z_2 = c_b A_2 = 8 \cdot 1 = 8$$

$$\Delta_2 = z_2 - c_2 = 8 - 8 = 0$$

$$z_3 = c_b A_3 = 8 \cdot \frac{1}{5} = \frac{8}{5}$$

$$\Delta_3 = z_3 - c_3 = \frac{8}{5} - 0 = \frac{8}{5}$$

$$z_4 = c_b A_4 = 8 \cdot 0 + 0 \cdot 1 = 0$$

$$\Delta_4 = z_4 - c_4 = 0 - 0 = 0$$

ეს გეგმა არაა ოპტიმალური, რადგან $\Delta_1 = -\frac{14}{5} < 0$. მაშასადამე, ბაზისში უნდა შევიტანოთ A_1 ვექტორი, განვსაზღვროთ ბაზისიდან გამოსარიცხი ვექტორი, ამიტომ:

$$Q_0 = \min(b_0 / a_{ij}) = \min\left\{\frac{4}{\frac{2}{5}}; \frac{48}{\frac{48}{5}}\right\} = \min\{10; 5\} = 5.$$

მაშასადამე, ბაზისიდან უნდა გამოვრიცხოთ A_4 ვექტორი. მიმართველი იქნება A_1 ვექტორის სვეტი და II სტრიქონი. შევადგინოთ სიმპლექს-ცხრილი III იტერაციისთვის ანალოგიურად:

$$4 - \frac{2}{5} \cdot 5 = 2$$

$$\frac{1}{5} - \frac{2}{5} \cdot \left(-\frac{1}{8}\right) = \frac{1}{4}$$

$$1 - \frac{2}{5} \cdot 0 = 1$$

$$0 - \frac{2}{5} \cdot \frac{5}{48} = -\frac{1}{24}$$

ცხრილი 4.

ბაზისი	c_b	A_0	6	8	0	0
			A_1	A_2	A_3	A_4
A_2	8	2	0	1	1/4	-1/24
A_1	6	5	1	0	-1/8	5/48
		46	0	0	5/4	7/24
		f_0	Δ_1	Δ_2	Δ_3	Δ_4

$$f_0 = c_b A_0 = 8 \cdot 2 + 6 \cdot 5 = 46$$

$$z_2 = c_b A_2 = 8 \cdot 1 + 6 \cdot 0 = 8$$

$$\Delta_2 = z_2 - c_2 = 8 - 8 = 0$$

$$z_3 = c_b A_3 = 8 \cdot \frac{1}{4} - 6 \cdot \frac{1}{8} = 1 \frac{1}{4} \quad \Delta_3 = z_3 - c_3 = \frac{5}{4}$$

$$z_4 = c_b A_4 = 8 \cdot \left(-\frac{1}{24} \right) + 6 \cdot \frac{5}{48} = \frac{7}{24}$$

ეს გეგმა ოპტიმალურია, რადგან:

$$\Delta_i \geq 0 \quad \text{მაშასადამე, } X_{\max}^I = (5; 2; 0; 0) \quad \text{და} \quad f_{\max} = 46.$$

დასკვნა

ალკოჰოლდამოკიდებულ პაციენტებს აღენიშნებათ მრავალი კოგნიტური ფუნქციის დარღვევა. ეს იწვევს ალკოჰოლის მოხმარების კონტროლის შეუძლებლობას, ალკოჰოლის რეციდივს ან გაგრძელებას, უარყოფითი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგების მიუხედავად. აღმასრულებელი კონტროლი გულისხმობს კოგნიტური ფუნქციების ჯგუფს, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს დამოუკიდებლად დაარეგულირონ თავიანთი ქცევა და აირჩიონ შესაბამისი ქმედებები მათი გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე. მუშა მეხსიერება (WM) აღმასრულებელი კონტროლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. კვლევის მიზანია, სივრცითი მუშა მეხსიერების ინდექსების შეფასება ალკოჰოლდამოკიდებულ პაციენტებში რაოდენობრივი EEG მეთოდისა და Corsi-ს კომპიუტერული ტესტის გამოყენებით. ალკოჰოლდამოკიდებული დიაგნოზის მქონე 50 პაციენტი (F10.2 MKB-10-ზე) შეფასდა დეტოქსიკაციის შემდეგ. საკონტროლო ჯგუფი შედგებოდა 30 ფსიქიკურად და სომატურად ჯანმრთელი, ასაკის შესაბამისი სუბიექტისგან. სივრცითი სამუშაო მეხსიერების შესწავლა ჩატარდა Corsi-ს კომპიუტერული ტესტით (Corsi Block-Tapping). 16-არხიანი EEG ჩაიწერა ფონზე, ღია თვალებით და Corsi-ს ტესტის დროს. გაანალიზდა θ -, α - და β - რიტმების სპექტრული სიმძლავრის აბსოლუტური მნიშვნელობები. ალკოჰოლზე დამოკიდებულების კორისის ტესტის მიხედვით, WM მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა ჯანმრთელ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ალკოჰოლდამოკიდებულ პაციენტებში კორისის ტესტის დროს EEG-ში ცვლილებები დაკავშირებული იყო პრეფრონტალურ ქერქსა და მარცხენა საფეთქლის ლოკუსში ალფა რიტმის დესინქრონიზაციასთან, რაც ჯანმრთელ საკონტროლო ჯგუფში არ დაფიქსირებულა, ალკოჰოლდამოკიდებულების მქონე პაციენტების ცენტრალურ და პარიეტალურ ქერქში კოგნიტური სტიმულის საპასუხოდ დაფიქსირდა ბეტა რიტმის შემცირება. ალკოჰოლზე დამოკიდებულების სინდრომის მქონე პაციენტებში, თეტა სიმძლავრე მნიშვნელოვნად გაიზარდა კეფის ქერქში კოგნიტური სტიმულის საპასუხოდ, ხოლო თეტა აქტივობა მნიშვნელოვნად მეტი იყო მარჯვენა საფეთქლის ლოკუსში. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამატებითი დიაგნოსტიკური კრიტერიუმები ალკოჰოლზე დამოკიდებულების სინდრომის მქონე პაციენტებში კოგნიტური დარღვევებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ალკოჰოლზე დამოკიდებულება; მუშა მეხსიერება; კორისის ტესტი; ელექტროენცეფალოგრაფია.

შესავალი

ალკოჰოლის ქრონიკული მოხმარება ადამიანის ტვინზე კომპლექსურ გავლენას ახდენს, რაც უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების დარღვევების სახით ვლინდება [1, 2]. როგორც მრავალი კვლევა აჩვენებს, ალკოჰოლზე დამოკიდებულების მქონე ადამიანები ხშირად ირჩევენ აშკარად შეუფერებელ ქმედებებს [2]. ალკოჰოლის მოხმარების კონტროლი შეუძლებელია, განმეორებითი რეციდივის და ალკოჰოლის მუდმივი მოხმარების უარყოფითი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგების მიუხედავად, რაც არა მხოლოდ აშლილობის დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია, არამედ შეიძლება მიუთითებდეს რაციონალური არჩევანის გაკეთების უნარის დარღვევაზე. ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ალკოჰოლზე დამოკიდებულების მქონე პაციენტებს აღენიშნებათ კოგნიტური ფუნქციების ფართო სპექტრის დარღვევები, პათოლოგიური ფიზიოლოგია და ექსპერიმენტული თერაპია [3]. ვარაუდობენ, რომ ნივთიერებაზე დამოკიდებულების მკურნალობის ახალი სტრატეგია შეიძლება იყოს ნივთიერებაზე დამოკიდებულების შემცირება კოგნიტური დისფუნქციის გაუმჯობესებით ფარმაცოლოგიური ან ქევიითი ჩარევის გზით [4]. აღმასრულებელი კონტროლი გულისხმობს კოგნიტური ფუნქციების ჯგუფს, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, დამოუკიდებლად დაარეგულირონ თავიანთი ქცევა და

აირჩიონ შესაბამისი ქმედებები მათი გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე [5, 6]. მუშა მეხსიერება (WM), რომელიც განისაზღვრება, როგორც ინფორმაციის მოკლე დროში შენახვისა და მანიპულირების უნარი, აღმასრულებელი კონტროლის კრიტიკული საზომია და აუცილებელია მაღალი დონის ფსიქიკური ფუნქციების თვითრეგულირებისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის [6].

არსებობს გონების მართვის რამდენიმე განსხვავებული თეორიული მოდელი, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოდელი ვარაუდობს, რომ გონების მართვა მოიცავს ცენტრალურ აღმასრულებელ სისტემას და 2 სისტემას: ვერბალურ/არასივრცით (მაგ., რიცხვთა თანმიმდევრობის ხმამაღლა წაკითხვა) და ვიზუალურ-სივრცით (მაგ., ობიექტების თანმიმდევრობის დამახსოვრება) [7].

ბირთვადი ნაწილი

მეთოდოლოგია - გამოიკვლიეს 50 პაციენტი (18 ქალი და 32 მამაკაცი) შემდეგი დიაგნოზით:

- ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული ფსიქიკური აშლილობები და ქცევითი აშლილობები, ალკოჰოლური დამოკიდებულების სინდრომი (F10.2 ICD-10-ის მიხედვით) ინტოქსიკაციის მოხსნის შემდეგ.
- ჩართვის კრიტერიუმები: დამოკიდებულებითი აშლილობის დადასტურებული დიაგნოზი ICD-10-ის მიხედვით, პაციენტის ინფორმირებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობის მისაღებად, ასაკი 18-50 წელი.
- გამორიცხვის კრიტერიუმები: ტვინის მძიმე ორგანული დარღვევების არსებობა, გონებრივი ჩამორჩენილობა, ეპილეფსია, ორსულობა.
- საკონტროლო ჯგუფად გამოიკვლიეს ასაკის შესაბამისი 30 ფსიქიკურად და სომატურად ჯანმრთელი ადამიანი (20 ქალი და 10 მამაკაცი).

მუშა მეხსიერების შესწავლა - სივრცითი მუშა მეხსიერება შესწავლილ იქნა კომპიუტერული Corsi Block Tapping ტესტის გამოყენებით. აქ მოცემულია დავალების მაგალითი. კომპიუტერის ეკრანზე ჩნდება ცხრა კუბი, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით ანათებენ ყვითლად. კვლევის თითოეულმა მონაწილემ უნდა დაიმახსოვროს და გაიმეოროს ეს თანმიმდევრობა. ტესტი იწყება ორი კუბის თანმიმდევრობით; თუ პასუხი სწორია, თანმიმდევრობის სიგრძე იზრდება. ტესტი წყდება თანმიმდევრობის ზედიზედ ორი არასწორი რეპროდუქციის შემთხვევაში.

ელექტროენცეფალოგრამის რეგისტრაცია - ტვინის ბიოელექტრული აქტივობის რეგისტრაცია და ანალიზი განხორციელდა 16-არხიანი ენცეფალოგრაფის „ნეიროპოლიგრაფის“ გამოყენებით საერთაშორისო სისტემის „10-20“ მიხედვით, მონოპოლარული შუბლის (Fp1, Fp2, F3, F4, F7, F8), ცენტრალური (C3, C4), პარიეტალური (P3, P4), კეფის (O1, O2) და საფეთქლის (T3, T4, T5, T6) განხრებიდან ყურის ბიბილოებზე განლაგებული კომბინირებული ელექტროდები გამოყენებული იყო როგორც საცნობარო, დამიწების ელექტროდი კი Fpz განხრამი იყო. ელექტროდების წინააღმდეგობა არ აღემატებოდა 10 კომს. მაღალი და დაბალი გამტარობის ფილტრების გამყოფი სიხშირეები იყო 1.5 და 30 ჰც, კვანტიზაციის სიხშირე კი 250 ჰც.

თავდაპირველად, თვალის გახელით (ფონზე) ჩატარდა ორწუთიანი ტესტი, რის შემდეგაც მონაწილემ ჩაატარა კორსის ტესტი ევგ ჩაწერის პარალელურად. არტეფაქტების ფრაგმენტები ამოღებულ იქნა მიღებული EEG ჩანაწერებიდან EEG-ის დამოუკიდებელი კომპონენტების (ICA) ნულიზაციის გზით [16].

გარდა ამისა, ავტომატური პროცედურის გამოყენებით, ეპოქები, რომლებშიც დაფიქსირდა ზედმეტად მაღალი პოტენციალი (100 μV -ზე მეტი), გამოირიცხა შემდგომი ანალიზიდან. სიგნალები დამუშავდა სწრაფი ფურიეს გარდაქმნის გამოყენებით, გაანალიზდა θ - (4-7 Hz), α - (8-13 Hz) და β - (14-30 Hz) რიტმების აბსოლუტური სპექტრული სიმძლავრის (μV^2) მნიშვნელობები. გაანალიზებული მონაკვეთების ხანგრძლივობა ტოლი იყო მთელი ტესტის ხანგრძლივობისა.

სტატისტიკური ანალიზი და შედეგები - სტატისტიკური მონაცემების დამუშავება განხორციელდა Statistica 10.0 პროგრამის გამოყენებით. ნორმალური განაწილების კანონთან შესაბამისობა შემოწმდა შაპირო-ვილკის კრიტერიუმის გამოყენებით. მიღებული მონაცემები არ შეესაბამებოდა ნორმალური განაწილების კანონს. ორ დამოკიდებულ ნიმუშს შორის განსხვავებების შესაფასებლად

გამოყენებული იქნა არაპარამეტრული ვილკოქსონის W-ტესტი (ფონი vs. ტესტი), ხოლო ორ დამოუკიდებელ ნიმუშს შორის განსხვავებების შესაფასებლად გამოყენებული იქნა მენ-უიტნის U-ტესტი (კონტროლი vs. პაციენტები). განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩაითვალა $p < 0.05$ -ზე.

მონაცემთა ნაკრების ანალიზისას, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები იქნა მიღებული კოგნიტური ფუნქციონირების დონეზე და ელექტროენცეფალოგრაფიულ პარამეტრებში.

კორსის ტესტის შედეგები კვლევის ჯგუფებში - კორსის ტესტის შედეგები საკონტროლო ჯგუფში და ალკოჰოლური დამოკიდებულების სინდრომის მქონე პაციენტების ჯგუფში სწორად რეპროდუცირებული თანმიმდევრობების მაქსიმალური რაოდენობის (RP მოცულობა) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შემცირება აღინიშნა ალკოჰოლური დამოკიდებულების სინდრომის მქონე პაციენტებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

ნეიროფიზიოლოგიური კვლევის შედეგები - თვალების გახელისას თავის ტვინის ქერქის ფონური აქტივობის ანალიზმა არ გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ალკოჰოლური დამოკიდებულების მქონე პაციენტებსა და საკონტროლო ჯგუფს შორის EEG სიხშირის ყველა დიაპაზონში ($p > 0.05$).

ალფა რიტმი - ალფა რიტმის სპექტრული სიმძლავრის სტატისტიკურმა ანალიზმა გამოავლინა ალფა სიმძლავრის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შემცირება ქერქის ცენტრალურ ($p = 0.012$) და პარიეტალურ ($p = 0.04$) ზონებში საკონტროლო ჯგუფში, კორსის ტესტის ჩატარებისას. ალკოჰოლური დამოკიდებულების სინდრომის მქონე პაციენტების ჯგუფში, კოგნიტური დატვირთვის საპასუხოდ, ალფა სიმძლავრის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შემცირება აღმოჩნდა თავის ტვინის ქერქის შუბლის ($p = 0.002$), ცენტრალური ($p = 0.0001$), პარიეტალური ($p = 0.0002$) და მარცხენა საფეთქლის ($p = 0.002$) ზონებში არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ალკოჰოლური დამოკიდებულების სინდრომის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ კოგნიტური ფუნქციის დარღვევა, მათ შორის ისეთი ფსიქიკური ფუნქციების დარღვევა, როგორიცაა ინჰიბირება, რეფლექსია და კოგნიტური მოქნილობა [8, 9].

ალკოჰოლზე დამოკიდებულების დროს აღმასრულებელი ფუნქციების დარღვევა ვლინდება გაზრდილი იმპულსური ქცევის სახით (მომავალი შედეგების გათვალისწინების გარეშე შეუფერებელი ქცევისკენ მიდრეკილება) [10]. დაბალი საბაზისო RP მოცულობა მოზარდებში ალკოჰოლის მოხმარებას პროგნოზირებს [11]. სივრცითი RP-ის შესაფასებლად, ბევრი მკვლევარი იყენებს Corsi Block-Tapping ტესტს, რომელმაც აჩვენა მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიკურობა RP დეფექტების იდენტიფიცირებაში [12].

ნეიროფიზიოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ პრეფრონტალური და პარიეტალური ქერქი მონაწილეობს სივრცითი მუშა მახსიერების პროცესში. კერძოდ, დორსოლატერალური პრეფრონტალური ქერქი მონაწილეობს სივრცითი ინფორმაციის მანიპულირებაში, ხოლო პარიეტალური ქერქი - მის შენახვაში [14]. სივრცითი WM ამოცანების შესრულებისას ჯანმრთელ კონტროლ ჯგუფებში შეინიშნება დორსოლატერალური პრეფრონტალური ქერქის, უკანა პარიეტალური ქერქის და ნათხემის აქტივობის მომატება [13, 14]. რადგან ქრონიკული ალკოჰოლის მოხმარება ასოცირდება როგორც პრეფრონტალური, ასევე პარიეტალური ქერქის დისფუნქციასთან, მრავალმა კვლევამ შეისწავლა სივრცითი WM დეფიციტი ალკოჰოლზე დამოკიდებულების მქონე პაციენტებში [13, 15].

მიუხედავად იმისა, რომ ნეიროფიზიოლოგიის კვლევებმა გამოავლინა ტვინის უბნები, რომლებიც მონაწილეობენ სივრცითი მუშა მახსიერების ფორმირებაში, ეს მონაცემები შეზღუდულ ინფორმაციას გვაწვდის სივრცითი სამუშაო მახსიერების ფორმირების ეტაპების თანმიმდევრობის შესახებ. ელექტროენცეფალოგრაფია (EEG) არის დროში სინქრონიზებული სტიმულებით გამოწვეული ბიოელექტრული აქტივობის შეფასების მეთოდი და ფართოდ გამოიყენება კოგნიტური ფუნქციების, მათ შორის მუშა მახსიერების შესაფასებლად, EEG-ს მაღალი დროითი გარჩევადობის გამო. თუმცა, კორსის ტესტის გამოყენებით ჩატარებული კვლევები და ელექტროენცეფალოგრაფიის პარამეტრების შესწავლა კონკრეტულად ალკოჰოლზე დამოკიდებულ პაციენტებში შეზღუდულია.

კვლევის მიზანია, ალკოჰოლური დამოკიდებულების სინდრომის მქონე პაციენტებში სივრცითი სამუშაო მახსიერების შესწავლა რაოდენობრივი ეეგ მეთოდისა და კომპიუტერიზებული კორსის ტესტის გამოყენებით. მეთოდოლოგია კვლევა ჩატარდა მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ჰელსინკის

დეკლარაციის (1964, 2004) ეთიკური სტანდარტებისა და ყველა პაციენტის წერილობითი ნებაყოფლობითი ინფორმირებული თანხმობის შესაბამისად.

კვლევა ჩატარდა ბათუმის მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალ მედიცინის ცენტრის კლინიკის ნევროლოგიურ განყოფილებაში. დეტოქსიკაციის შემდეგ გამოიკვლიეს სულ 50 პაციენტი (18 ქალი და 32 მამაკაცი), რომლებსაც დაუსვეს ფსიქოსომატური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული ფსიქიკური და ქცევითი დარღვევების, ალკოჰოლური დამოკიდებულების სინდრომის (ICD-10-ის მიხედვით F10.2) დიაგნოზი. ჩართვის კრიტერიუმები: დამოკიდებულების დარღვევის დადასტურებული დიაგნოზი ICD-10-ის მიხედვით, პაციენტის ინფორმირებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე.

დასკვნა

მიღებული შედეგებით, მონაცემები ალკოჰოლური დამოკიდებულების სინდრომის მქონე პაციენტებში აღმასრულებელი კონტროლის დარღვევის შესახებ. ეგ პარამეტრები ასახავს კოგნიტური ფუნქციის ცვლილებებს, რაც გამოიხატება ეგ რიტმების სპექტრული მახასიათებლების განსხვავებებით პაციენტებში.

მიღებული შედეგები ალკოჰოლდამოკიდებული და ჯანმრთელი ადამიანების მონაცემების შედარებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამატებითი დიაგნოსტიკური კრიტერიუმები კოგნიტური დარღვევისთვის ალკოჰოლური დამოკიდებულების სინდრომის მქონე პაციენტებში.

ლიტერატურა

1. Nevidimova T.I., Savochkina D.N., Masterova E.I., Bokhan N.A. Results and prospects of interaction of sensory and immune systems in addictive disorders. *Sibirskiy vestnik psikiatrii i narkologii*. 2018; (2): 56-63. (In Russian).
2. Bokhan N.A., Mandel A.I., Ivanova S.A., Prokopenko V.D., Artemev I.A., Nevidimova T.I. et al. Old and new problems of narcology in the context of interdisciplinary research. *Voprosy narkologii*. 2017; (1): 26-62. (In Russian).
3. Maximova I.V. Cognitive and electroencephalographic changes in patients with alcohol dependence who suffered a seizure. *Sibirskiy vestnik psikiatrii i narkologii*. 2018; (2): 89-92. (In Russian).
4. Sofuoglu M., DeVito E., Waters A., Carroll K. Cognitive enhancement as a treatment for drug addictions. *Neuropharmacology*. 2013; (1): 452-63. doi: 10.1016/j.neuropharm.2012.06.021
5. Velichkovsky B.B. Possibilities of cognitive training as a method of correction of age-related disorders of cognitive control. *Eksperimental'naya psikhologiya*. 2009; (3) 78-91. (In Russian).
6. Buckley J., Cohen J., Kramer A., McAuley E., Mullen S. Cognitive control in the self-regulation of physical activity and sedentary behavior. *Front. Hum. Neurosci*. 2014; (8). doi: 10.3389/fnhum.2014.00747.
7. Hills T., Todd P., Goldstone R. The central executive as a search process: priming exploration and exploitation across domains. *J. Exp. Psychol. Gen*. 2010; (4): 590-609. doi: 10.1037/a0020666.
8. Bernardin F., Maheut-Bosser A., Paille F. Cognitive impairments in alcohol-dependent subjects. *Front. Psychiatry*. 2014; (5). doi: 10.3389/fpsy.2014.00078.
9. Peshkovskaya A.G., Galkin S.A. Cognitive control in alcohol dependence and its neurocorrelates. *Voprosy narkologii*. 2018; (12): 65-80. (In Russian).
10. Somkina O.Yu. Alcohol dependence in women and autoaggressive behavior. *Zdravookhranenie Jugry: opyt i innovatsii*. 2018; (3): 47-52. (In Russian).
11. Squeglia L., Jacobus J., Nguyen-Louie T., Tapert S. Inhibition during early adolescence predicts alcohol and marijuana use in late adolescence. *Neuropsychology*. 2014; (5): 782-90. doi: 10.1037/neu0000083.
12. Brunetti R., Del Gatto C., Delogu F. eCorsi: implementation and testing of the Corsi block-tapping task for digital tablets. *Front. Psychol*. 2014; (5). doi: 10.3389/fpsyg.2014.00939.
13. Tarumov D.A., Yatmanov A.N., Manantsev P.A. Neuroimaging aspects of some mental disorders. *Vestnik novykh meditsinskikh tekhnologiy*. 2017; (4): 56-65. (In Russian).
14. Cannon T., Glahn D., Kim J., Van T., Karlsgodt K., Cohen M. et al. Dorsolateral prefrontal cortex activity during maintenance and manipulation of information in working memory in patients with schizophrenia. *Arch. Gen. Psychiatry*. 2005; (10): 1071-80. doi: 10.1001/archpsyc.62.10.1071.
15. Vostrikov V.V., Zelentsov K.E., Mayorova O.V., Vostrikov M.V., Pavlenko V.P., Shabanov P.D. Methods for diagnosing alcohol dependence. *Obzory po klinicheskoy farmakologii i lekarstvennoy terapii*. 2008; (4): 26-50. (In Russian).
16. Monakhova Yu.B., Tsikin A.M., Mushtakova S.P. the independent component Method as an alternative to the principal component method and discriminant algorithms in processing spectrometric data. *Zhurnal analiticheskoy khimii*. 2015; (9): 925-32. (In Russian).

Disturbance of spatial working memory and its neurophysiological correlates in alcohol dependence

Tamar Asanidze

Abstract

Patients with alcohol dependence have disorders of multiple cognitive functions. This leads to inability to control alcohol consumption, relapse or continued use of alcohol despite negative physical, psychological, and social consequences. Executive control refers to a group of cognitive functions that allow people to regulate independently their behavior and to choose appropriate actions depending on their long-term goals. Working memory (WM) is one of the main components of the executive control. The aim of the study was to evaluate indexes of spatial working memory in patients with alcohol dependence syndrome using the quantitative EEG method and the Corsi computer test. 50 patients diagnosed with alcohol dependence (F10.2 on MKB-10) were evaluated after detoxification. The control group consisted of 30 mentally and somatically healthy, age-matched subjects. The study of spatial working memory was performed by a Corsi computer test (Corsi Block-Tapping). 16-channel EEGs were recorded at background with open eyes and during the Corsi test. Spectral power absolute values of θ -, α - and β -rhythms were analyzed. According to the Corsi test in alcohol dependence, the WM volume was markedly decreased compared to the healthy control group. Changes in EEG during the Corsi test in patients with alcohol dependence syndrome were associated with alphas rhythm desynchronization in the prefrontal cortex and left temporal locus, which was not observed in the healthy control group. Decreased beta rhythm was observed in the central and parietal cortex of patients with alcohol dependence syndrome in response to a cognitive stimulus. In patients with alcohol dependence syndrome, theta power was significantly increased in the occipital cortex in response to a cognitive stimulus, and theta activity was significantly greater in the right temporal locus. The results of this study may serve as additional diagnostic criteria for cognitive disorders in patients with alcohol dependence syndrome.

Keywords: alcohol dependence; working memory; Corsi test; electroencephalography.

1019 პერსონალური მომსახურებები – არაკლასიფიცირებული
PERSONAL SERVICES, NOT ELSEWHERE CLASSIFIED

სასტუმრო მომსახურების პერსონალის სტრატეგიული მართვა ინოვაციურ
მიდგომებზე დაყრდნობით

ელისაბედ ბალიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: elisabed.baliashvili@tsu.ge; elza_b2008@yahoo.com

მარიამ ქუთათელაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mariam.kutateladze@eab.tsu.edu.ge

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სასტუმრო მომსახურების ინდუსტრიის სწრაფი ზრდა გლობალურ ეკონომიკაში, რასაც სულ უფრო მეტად თან ახლავს მომსახურების ხარისხზე კომპანიების მზარდი ყურადღების გამახვილება. ეს ტენდენცია ხაზს უსვამს ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის კრიტიკულ საჭიროებას. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ პერსონალის დაქირავება, შენარჩუნება და განვითარება ინტეგრირებული იყოს მენეჯმენტის გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვაში. კვლევის მიზანია სასტუმროს მომსახურე პერსონალის სტრატეგიულ მენეჯმენტში პოტენციური გამოწვევების იდენტიფიცირება და ამ გამოწვევების გადაჭრის ინოვაციური მიდგომების განსაზღვრა. ასევე, ცნობიერების ამაღლება სასტუმროს პერსონალისგან მოსალოდნელი პიროვნული თვისებების, მახასიათებლების, კომპეტენციებისა და სპეციფიკური მოთხოვნების კომპლექსური ნაკრების შესახებ. პერსონალის სტრატეგიული მართვის პროცესში გამოვლინდა და შეფასდა შემდეგი ასპექტები:

- თითოეული თანამშრომლის უნიკალური ინდივიდუალური ალიარების მნიშვნელობა;
- პერსონალის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე ფოკუსირების აუცილებლობა.

შესაბამისად, ავტორები გვთავაზობენ, რომ სასტუმრო კომპანიებში სტრატეგიული მენეჯმენტის განხორციელება ეფუძნებოდეს შემდეგ ინოვაციურ მიდგომებს:

1. „ფირმის რესურსებზე დაფუძნებული ხედვა“;
2. პერსონალის „ჰოლისტიკური“ განვითარება.

თანამედროვე პირობებში, ეს მიდგომები უპირობოდ განიხილება შემოქმედებითი და ინოვაციური ფორმულირებით. ისინი ხელს უწყობენ პერსონალის თვისებების იდენტიფიცირებას, ასევე მათი პოტენციური შესაძლებლობებისა და კომპეტენციების აღმოჩენას, შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ეს ვითარება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იცვლება, როგორც თანამშრომლებისადმი წაყენებული მოთხოვნები, ასევე - კომპანიის პერსონალი თავისი მახასიათებლებით. ღირებულებები, კულტურა, ეთიკა და ნორმები უნდა ახლდებოდეს მთლიანობაში, და არა მხოლოდ ტექნოლოგიაში. მხედველობაშია, სასტუმრო კომპანიისთვის მეტად ღირებული - პერსონალის აქტივი. საბოლოო ჯამში, ეს იწვევს თანამშრომლების მაღალი უკუგებით მუშაობას და, შესაბამისად, სასტუმროს მომსახურების უფრო მაღალ ხარისხს.

საკვანძო სიტყვები: პერსონალის სტრატეგიული მართვა; პერსონალის სპეციფიკური მახასიათებლები; მართვის "მკაცრი" ან "რბილი" მიდგომები; პერსონალის „ჰოლისტიკური“ განვითარება; პერსონალის უნიკალურობა.

შესავალი

გლობალიზაციის პროცესით გამოწვეულმა, ქვეყნების საზღვრების გახსნამ გაამძაფრა და გააწვავა ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში არსებულ კომპანიებს შორის კონკურენცია, რის გამოც კონკურენტუნარიანობა ტურიზმის სექტორში მეტად აქტუალურ თემას წარმოადგენს (Baliashvili, E. 2025, p.13). მათ სახელმძღვანელოდ და სამართავად საჭირო გახდა მხოლოდ ხარისხანი პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება. მისი უზრუნველყოფა კი კომპანიების მხრიდან დიდი ძალისხმევის გატარებას საჭიროებს სხვადასხვა მეთოდის, მათ შორის, კვალიფიციური პერსონალის სტრატეგიული მართვის გამოყენებით. ამასთან, მეტად საყურადღებოა, რომ პერსონალის - მოზიდვა, შენარჩუნება და განვითარება იყოს მათი გრძელვადიანი დაგეგმვის ჰორიზონტი, ხოლო სასტუმროს სხვადასხვა

კატეგორიისა და პროფესიული ჯგუფის თანამშრომელთან მიზანმიმართული და სისტემატური მუშაობა - მართვის ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებული.

HR სამსახურებისთვის სტრატეგიული როლის მინიჭება, მისი განხილვა არა წმინდად ადმინისტრაციული საქმიანობის ერთ-ერთ ქვედანაყოფად, არამედ - შემოქმედებითი შრომის სამსახურად - ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანური რესურსების მართვამ სისტემატური დაიწყო ჩამოყალიბება. ამასთან, თანამედროვე პირობებში, მეტად აქტუალურია აქცენტის გაკეთება დაქირავებულ ტოპ-მენეჯერების ახალ ტიპზე (ვგულისხმობთ, მათი მუშაობის ორგანიზებისა და მართვის - TQM „ტოტალური ხარისხის მართვა“ - სტილსა და პროფესიონალიზმს).

ამჟამად, ყველაზე მოთხოვნილია სპეციალური ტიპის მენეჯერები - „ტალანტები“, რომლებსაც უნდა ახასიათებთ: დამოუკიდებლობის, ინიციატივებისა და შემოქმედების გამოვლინების უნარები და ძირითადად ორიენტირებულები იყვნენ - სასტუმროს ხელმძღვანელობა წარმართონ ინოვაციურ მიდგომებზე დაყრდნობით.

ძირითადი ნაწილი

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ბრენდირებული სასტუმრო კომპანიები სისტემატურად ანხორციელებენ - აქტიურ საკადრო პოლიტიკას, ადამიანურ კაპიტალში დებენ ინვესტიციებს, პერსონალის მართვის სამსახურებს ანიჭებენ სტრატეგიულ როლს და ა.შ. - დღესაც აქტუალურ საკითხად რჩება HRM ეფექტიანი სისტემის დანერგვა. მსოფლიოში ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის უნივერსალური მოდელი ჯერაც არ არის შემუშავებული, თუმცა, ბოლოდროინდელი ტენდენცია ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სისტემატური აუცილებლად კომპლექსურად უნდა იქნას ფორმირებული, თავად პერსონალის სტრატეგიული მართვა კი - ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებული.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კადრების მართვა ზოგადად ეყრდნობა ორ უკიდურეს მიდგომას: „მკაცრი“ ან „რბილი“ სახელწოდებით (McGregor, D. 1960); Armstrong, M. and Taylor, S. 2014).

- „მკაცრი“ („Hard“) მიდგომები განპირობებულია ფინანსური მოსაზრებებითა და უპირველეს ყოვლისა, ეხება სახელფასო ხარჯების კონტროლს. ამდენად, სამუშაო ძალა მოპოვებული და გამოყენებული უნდა იქნას რაც შეიძლება იაფად და კომპანიისთვის კონკურენტული უპირატესობის უზრუნველსაყოფად (Boselie, Brewster and Pauwe 2009);

- „რბილი“ („Soft“) მიდგომები ბევრად უფრო ჰუმანურია, დასაქმებულებს განიხილავს როგორც აქტივებს, მათი განვითარების პრინციპზე დაყრდნობით. ისინი ხაზს უსვამენ ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა: მოქნილობა, ხარისხი, პროდუქტიულობა, ცოდნისა და უნარების განვითარება და ა.შ. (Page et al. 2001).

მეცნიერ დევიდ გეტსის მიერ „მკაცრი“ („Hard“) და „რბილი“ („Soft“) უნარები აგრეთვე მიჩნეულია - „დასწავლად“ და „ინტერაქციულ“ უნარებად და მათ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ავტორის აზრით, თუ პერსონალ-მენეჯერი თანამშრომელთა ამ უნარებს ჯეროვნად, კომბინირებულად მართავს, მაშინ კომპანიას მოქნილი ინსტიტუტის სტატუსი აქვს (Guest, D. 1987).

დ. გეტსის მოსაზრება მეტად საყურადღებოა სასტუმრო ინდუსტრიის მომსახურების სფეროს მენეჯერთათვის, რადგან „წინა ხაზის“ პერსონალს (front of the house), ხშირ შემთხვევაში უწევს „ინტერაქციული“ უნარების განვითარება. ამასთან, სასტუმრო მომსახურების პერსონალს ახასიათებს თვისებათა - ინდივიდუალური, სოციალური, ფსიქოლოგიური, პროფესიული და მოტივაციური რთული ნაკრები, რაც განპირობებულია:

1. სასტუმრო საქმის სპეციალისტებისთვის წაყენებული სპეციფიკური მოთხოვნებით;
2. მათი პიროვნული ნიშნით, კომპეტენტურობით, რომელიც დასაქმებულებს აყენებს გარკვეული უნარებისა და თვისებების ფლობის წინაშე.

სპეციფიკურ მოთხოვნებს, რომელსაც სასტუმრო ბიზნესი უყენებს დასაქმებულებს, მდგომარეობს შემდეგში:

- „წინა ხაზის“ პერსონალისთვის - არა მხოლოდ შესაბამისი მოცულობის სამუშაოს საჭირო ხარისხით შესრულების უნარი, არამედ - დასრულებული სამუშაოს ინფორმაციული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კონტროლის საჭიროება;

- ვინაიდან სასტუმროს პროდუქტი კომპლექსური ხასიათის მატარებელია, როგორც მმართველობითი, ასევე, „წინა ხაზის“ პერსონალისთვის წაყენებული მოთხოვნებია: წარმოების და მომსახურების მიწოდების პროცესების თითოეული მონაკვეთის მნიშვნელობის გააზრება;

არასტანდარტული სიტუაციის შემთხვევაში სწრაფი გადამისამართების უნარი; სტუმრისა და სასტუმროს პოზიციიდან, საკუთარი საქმიანობის პერსპექტივებისა და შედეგების შეფასების შესაძლებლობა.

- სასტუმროში ყოფნისას სტუმარზე სასიამოვნო შთაბეჭდილების შექმნის ხელშეწყობა მომხმარებელთა ძირითადი ჯგუფების (სქესის, ასაკის, ეროვნული, რელიგიური, სოციალურ-კულტურული და სხვა) მახასიათებლების გათვალისწინებით; სტუმრის კეთილგანწყობისა და მისი ნდობის მოპოვების უნარი; სტუმართმოყვარეობის გამოვლენის უნარი ნებისმიერი გარე თუ შიგა ფაქტორების მიუხედავად;

- სამუშაოს განსაზღვრული მოცულობის შესრულება მკაცრად დათქმულ დროში, რეგლამენტის (წესების) დარღვევისა და მიწოდებულ სერვისებში დროებითი კოლაფსების შექმნის გარეშე. მოლოდინი და სერვისის არადროულად მიწოდება სტუმრის მიერ აღიქმება როგორც ხარისხის არქონა, პერსონალის მხრიდან უყურადღებო და უპატივცემულო დამოკიდებულების გამოვლინება;

- სასტუმროში საკმაოდ ხშირად, სამუშაო დღის განმავლობაში ან უჩვეულო, არასტანდარტული სიტუაციის შემთხვევაში (მაგალითად, სასტუმროს მაღალი დატვირთვით მუშაობის დროს), წარმოიქმნება თანამშრომელთა როლების შეცვლის საჭიროება. აქედან გამომდინარე, სასტუმროს მომსახურების სპეციალისტების მიმართ მოთხოვნას წარმოადგენს - არტისტულობა, მზადყოფნა შეცვალონ პროფესიული როლები და ფუნქციები დაკისრებული ამოცანებისა და (ან) მომხმარებლების საჭიროებების შესაბამისად;

- ცალკე აღნიშვნის ღირსია მაღალი ინტელექტუალური დონის ქონა, ვინაიდან მომსახურე პერსონალს მჭიდრო ინტელექტუალური კომუნიკაცია გააჩნია მაღალგანვითარებული ქვეყნების წარმომადგენელ საერთაშორისო ვიზიტორებთან. დაგვეთანხმებით, რომ ეს მოთხოვნა დიდად არ სჭირდება სამრეწველო ან სოფლის მეურნეობის ბიზნესში დასაქმებულს;

- სასტუმრო მომსახურების სპეციალისტების საქმიანობის კიდევ ერთი მახასიათებელია: მათი თანამდებობის (დაკავებული პოზიციის) ფარგლებში, შესრულებული ფუნქციების მრავალფეროვნება, რომელიც განპირობებულია სასტუმროს პროდუქტის სპეციფიკურობით, მისი ელემენტების რთული ბუნებით. მაგალითად, მიღება-განთავსების სერვისის მენეჯერს (Reception and accommodation service manager) ესაჭიროება: უცხო ენების, დაჯავშნის ტექნოლოგიის, სტუმრების მიღება და განთავსების, ექსკურსიების მომსახურების, ოპერატიული პროცესების საინფორმაციო მხარდაჭერის და სხვა ცალკეული ტიპის სასტუმროს სერვისების ცოდნისა და უნარების ფლობა.

პერსონალის კომპეტენტურობის 4 სახე არსებობს. იგი გამოიხატება სასტუმრო საქმის ცოდნასა და დასახული მიზნების მიღწევის გზებში. ესენია:

1. ფუნქციონალური კომპეტენტურობა - სასტუმრო ბიზნესის ცოდნა და გამოყენება;
2. ინტელექტუალური კომპეტენტურობა - ანალიტიკური აზროვნების უნარი;
3. სიტუაციური კომპეტენტურობა - სიტუაციის შესაბამისად მოქცევა;
4. სოციალური კომპეტენტურობა - კომუნიკაციური და ინტეგრაციული უნარები, სტუმართან ეთიკური საუბარი (Baliashvili, E. 2023, p. 43).

ბუნებრივია, ეს გარემოება პერსონალს აყენებს განსაკუთრებული უნარებისა და თვისებების დაუფლების წინაშე, რომელთა შორის, ყურადღებას ვამახვილებთ მახასიათებელთა შემდეგ ჩამონათვალზე:

- **ინტელექტუალურობა** - განაპირობებს მათი გონებრივი შესაძლებლობის, გაგებისა და რთული იდეების წვდომის, პრობლემურ სიტუაციასთან ეფექტიანად გამკლავების უნარებს;

- **ცნობისმოყვარეობა** - განაპირობებს მათ მიერ მუდამ სიახლის და ახალი ცოდნის მიებას, ინოვაციებაზე ფოკუსირებას;

- **გაბედული აზროვნება** - გულისხმობს მათ სხარტად აზროვნებას და სწორი გადაწყვეტილებების მიღების ალღოს ქონას;

- **საქმის კეთებაზე ორიენტირებულობა** - გულისხმობს საქმისადმი დიდ მიდრეკილებას, დიდ პასუხისმგებლობის აღებას;

- **თანამშრომლობისადმი გახსნილობა** - ორიენტირებულია გუნდსა და ჯგუფში ინტენსიურ ჩართულობაზე;

- **ავტორიტეტულობა** - მეტყველებს მათ კომპეტენციათა მაღალ ნაკრებსა და გავლენის მოხდენას დაინტერესებულ მხარეებზე (Stakeholder -ებზე) და მათგან მხარდაჭერის მიღებას.

ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიო პრაქტიკით, თითქმის ყველა ბრენდირებულ სასტუმრო კომპანიას შემუშავებული აქვთ საკუთარი „**ფილოსოფია**“, რომელიც ეყრდნობა კომპანიის

(ტოპ-მენეჯერთა) ხედვისა და მიდგომების განსაზღვრის მხარდამჭერ ატრიბუტიკას პერსონალთან მიმართებაში. ეს არის ხელმძღვანელების (მფლობელები, ვინც ქმნის სასტუმრო კომპანიას და ტოპ-მენეჯერები, ძირითადი გადაწყვეტილების მიმღები პირები, ვინც დაკავებულია მმართველობითი საქმიანობით) რწმენებისა და ვარაუდების ინტეგრირებული ნაკრები პერსონალის - ხასიათის, თვისებების, უნარების, მოთხოვნილებების, ღირებულებებისა და მუშაობისადმი მათი მიდგომების შესახებ (Ramaraju, A. 2019). რადგან სასტუმროს პერსონალს ახასიათებს თვისებათა (ინდივიდუალური, სოციალური, ფსიქოლოგიური, პროფესიული და მოტივაციური) რთული ნაკრები, უდაოა, რომ ერთნაირი „ადამიანური კაპიტალის“ ქონის შემთხვევაშიც კი, თანამშრომელთა ქცევა შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს მათი ინდივიდუალური ნიშან-თვისებებიდან - ღირებულებები, ხასიათი, პრიორიტეტები, განწყობები და ა.შ. - გამომდინარე. თანამშრომელთა მიერ იდენტურ ვითარებაში მყოფი სხვადასხვა დასაქმებულის სხვადასხვაგვარი (ინდივიდუალური, ჯგუფური) ქცევის ახსნა ან მომავალში მათი მოქმედებების ან რეაგირების განჭვრეტა, მენეჯერებს საშუალებას აძლევს საჭირო შემთხვევაში, პერსონალზე მყისიერ მოახდინონ ეფექტიანი გავლენა.

გამომდინარე აქედან, პერსონალის სტრატეგიული მართვის პროცესში სწორედ მათ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, კერძოდ, ფსიქოლოგიურ და ფსიქიკურ მახასიათებლებს (ემოციურობა, გაწონასწორებულობა, სიმარდე, პასიურობა, მუშაობის სტილი, ფსიქიკის დინამიკა, დეპრესია, აღზნება და სხვა) უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, ხოლო თითოეული თანამშრომელი - მიჩნეული იქნას უნიკალურ ინდივიდად.

შესაბამისად, სასტუმრო კომპანიების სტრატეგიული მართვა ხორციელდებოდა შემდეგ ინოვაციურ მიდგომებზე დაყრდნობით:

1. „**ფირმის რესურსებზე დაფუძნებული ხედვა**“ (RBV) - სადაც თითოეული კომპანია და მისი თანამშრომლები განიხილება, როგორც უნიკალური ერთეულები (Torrington, Hall and Taylor, Human Resouce Management 2008);

2. **პერსონალის „ჰოლისტიკური“ განვითარება**, რაც გულისხმობს თანამშრომლების სპეციფიკური მახასიათებლების მართვის ყოვლისმომცველ მიდგომას დასწავლად („Hard“) და ინტერაქციულ („Soft“) უნარებთან ერთად.

„**ფირმის რესურსებზე დაფუძნებული ხედვა**“ - ფრანგი მეცნიერი (სოციოლოგი) პიერ ბურდიე, აღნიშნავს, რომ „სიმბოლური რესურსი“ გახლავს ღირსებისა და პრესტიჟის კაპიტალი. „ერთგვარი ავანსი, ანაბარი, სესხი, რომელიც მხოლოდ მთელი ჯგუფის რწმენას შეუძლია მისცეს მას, ვინც მას მატერიალურ-სიმბოლური გარანტიები მისცა (Bourdieu, P. 1989). უპირობოდ, სასტუმრო ბიზნესში შემავალი თითოეული საწარმო „უნიკალურია“ საკუთარი „ღირსებისა და პრესტიჟის კაპიტალის“ მხედველობაში მიღებით.

ემპირიული კვლევის (Kutateladze, M. 2024) თანახმად, რომელიც განხორციელდა თბილისის 15 საერთაშორისო და ადგილობრივ ბრენდირებულ სასტუმროში (რესპოდენტთა რაოდენობა 13110), იგი, როგორც „მომხმარებლის ნდობის კრედიტი“ გააჩნია, როგორც თავად სასტუმრო კომპანიას (მისი რეპუტაცია, კატეგორია - ვარსკვლავების რაოდენობა, ტიპი, სახელი, ბრენდი, სასტუმროთა კორპორაციებისა და ქსელების კუთვნილება და ა.შ.) ასევე - მისი მომსახურების სერვისის სპეციალისტებს (პერსონალის, ან მთლიანად აღნიშნული სერვისის იერსახე და რეპუტაცია, სამუშაო გამოცდილება და სხვა). გამოკითხულ სტუმართა 85%-ის მოსაზრებით, ნებისმიერი სასტუმრო კომპანია „უნიკალურია“ მისი „ბრენდის კაპიტალის“ მხედველობაში მიღებით. მათი მხრიდან „ნდობის კრედიტად“ ასოცირდება, როგორც კომპანიის იმიჯი და მისი ატრიბუტიკა, ასევე, პერსონალის ან არსებული მომსახურების სერვისის რეპუტაცია (დიაგრამა #1). აგრეთვე, ხელმძღვანელთა 75%-ის მოსაზრებით, ძალიან მნიშვნელოვანია სასტუმროები და თანამშრომლები მათი მხრიდან აღიარებულ იქნას „უნიკალურად“ (დიაგრამა #2).


რაც შეეხება პერსონალის „ჰოლისტიკურ“ განვითარებას, ჩვენს მიერ მასზე ორიენტაციის აუცილებლობა, განპირობებულია შემდეგი არგუმენტებით:

1. სასტუმრო კომპანიები გრძელვადიან კონკურენტულ უპირატესობებს (მათ შორის, მომსახურების ხარისხის დონეს) ქმნიან სწორედ „ადამიანური პოტენციალის“ განვითარებით, აღიარებულს საწარმოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივად (Beer, et al. 1984);

2. სასტუმროს თითოეული თანამშრომელი „უნიკალურია“ და შესაბამისად, რთულია მისი ნიმუშად გამოყენება;


3. სასტუმრო კომპანიები გრძელვადიან კონკურენტულ უპირატესობებს (მათ შორის, მომსახურების ხარისხის დონეს) ქმნიან სწორედ „ადამიანური პოტენციალის“ განვითარებით, აღიარებულს საწარმოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივად (Beer, et al. 1984);

დიაგრამა #1. სტუმრების მიერ სასტუმროს „ნდობის კრედიტის“ განმსაზღვრელი კომპონენტები



წყარო: (Kutateladze, M. 2024, p.70)

დიაგრამა #2. ხელმძღვანელების მიერ სასტუმრო საკმიაზობის მაღალეფექტიანობის მისაღწევად კომპანიისა და თანამშრომლების უნიკალურად აღიარება



წყარო: (Kutateladze, M. 2024, p.78)


4. სასტუმროს თითოეული თანამშრომელი „უნიკალურია“ და შესაბამისად, რთულია მისი ნიმუშად გამოყენება;

5. სასტუმროს პერსონალს ახასიათებს თვისებათა (ინდივიდუალური, სოციალური, ფსიქოლოგიური, პროფესიული და მოტივაციური) რთული ნაკრები;

6. თანამედროვე პირობებში მეტად აქტუალურია აქცენტის გაკეთება დაქირავებულ ტოპ-მენეჯერების ახალ ტიპზე, რომელსაც უნდა შეეძლოს სასტუმროს ხელმძღვანელობა ინოვაციებზე დაყრდნობით და მარკეტინგული ინოვაციური „პრაქტიკის“ (მარკეტინგული ტექნოლოგიის შემუშავება, კლიენტებისთვის ფასეულობების შექმნა, მარკეტერების კრეატიული, შემოქმედებითი აზროვნება და მარკეტინგული ინოვაციების მიზანშეწონილობის შეფასება) გამოყენება (Shehata 2020).


თანამშრომელთა „ჰოლისტიკური კომპლექსი“, როგორც ინდივიდთა პიროვნული აუცილებელი რეკვიზიტული მთლიანობა, ეკონომიკურ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც: „ფიზიკური (ფიზიკური ბალანსი), ფსიქოლოგიური (გრძნობები/სენტიმენტები, აღქმა, გონებრივი აზროვნება და ნებისყოფა), სოციალური (სხვა ადამიანებთან ხარისხიანი ურთიერთობა და სოციალური ინტეგრაცია), სულიერი (თვითრეალიზაცია) და ეკონომიკური (მატერიალური მოთხოვნილებები) სუბიექტები (Zizek and Mulej 2013). იგი ხაზს უსვავს თითოეული დასაქმებულის უნიკალურობას და პერსონალის მართვის პროცესში სწორედ მათ ფსიქოლოგიურ ასპექტებზე აქცენტირებას.

კვლევის თანახმად, სასტუმრო კომპანიების ხელმძღვანელების 75% მაღიან მნიშვნელოვნად აფასებს პერსონალის მართვისას ყურადღების გამახვილებას დასაქმებულთა ფსიქოლოგიურ და ფსიქიკურ მახასიათებლებზე, ხოლო 25% - ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს (დიაგრამა #3).

დიაგრამა #3. პერსონალის მართვის პროცესში დასაქმებულთა ფსიქოლოგიური და ფსიქიკური მახასიათებლების შეფასება

წყარო: (Kutateladze, M. 2024, p. 84)

მაგრამ, დასაქმებულთა გამოკითხვის შედეგები მეტყველებენ სხვა გარემოებაზე. კერძოდ, პერსონალის შეფასების ეტაპზე გამოყენებულ მეთოდებთან დაკავშირებით, თანამშრომელთა მხოლოდ 2 % ადასტურებს ფსიქოლოგიურ ტესტირებაში მონაწილეობას (დიაგრამა #4).

დიაგრამა #4. სასტუმრო კომპანიებში თანამშრომელთა შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი მეთოდები

წყარო: Kutateladze, M. 2024, p.95

გარდა ამისა, გამოკითხულ მენეჯერთა 89%-ის განცხადებით, მათ სასტუმრო კომპანიებში არ მუშაობენ ფსიქოლოგები, რომლებიც დაკავდებოდნენ შესაბამის სამუშაო პოზიციაზე მყოფი პერსონალის ფსიქოლოგიური და ფსიქიკური მახასიათებლების შესწავლით. მათი ცოდნა კი მეტად საყურადღებოა პერსონალის სტრატეგიული მართვის პროცესში (დიაგრამა #5). ეს ფაქტორები მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენენ როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ბრენდირებული სასტუმროებისთვის თბილისის მასშტაბით.

დიაგრამა #5. ფსიქოლოგის საშტატო ერთეულის არსებობა კომპანიაში

წყარო: (Kutateladze, M. 2024, p.89)

დადგენილია, რომ აუცილებელი პერსონალური ჰოლიზმის (RPH) გაზრდით, ინდივიდების ქცევა, რომლებსაც სურთ (თავიანთი ღირებულებებით) და შეუძლიათ (თავიანთი ცოდნით) პრაქტიკაში ინტერდისციპლინური თანამშრომლობა (დამახასიათებელია სასტუმრო ბიზნესისათვის, რადგან მის პერსონალს უშუალო შეხება აქვს საერთაშორისო ვიზიტორებთან) „იზრდება როგორც ორგანიზაციათა და საზოგადოებების, ასევე, დასაქმებულთა სოციალური პასუხისმგებლობა (Čančer, V. 2012). ეს ელემენტები კი მეტად აქტუალურია დასაქმებულთა სტრატეგიული მართვის პროცესში.

საყურადღებოა, რომ პერსონალის სტრატეგიული მართვა ხორციელდება მაკრო გარემოს ფაქტორებსა და შესაბამის ინდიკატორებში - სასტუმრო კომპანიების ფუნქციონირების საკანონმდებლო-ნორმატიულ ბაზა; მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა, სოციალური და კულტურული პოლიტიკა, სტუმართა ორიენტირება, საბაზრო ვითარება, კულტურული ღირებულებების განვითარების ტენდენციები; ქვეყნის კულტურული ფასეულობები, ტრადიციები, ქვეყნის ნორმები, შეხედულებები, წეს-ჩვეულებები და ა.შ. - განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ეს ვითარება უპირობოდ საჭიროებს, სხვადასხვა - კვალიფიკაციის, პროფესიული მომზადებისა და პიროვნული თვისებების მქონე პერსონალზე ზემოქმედებას, რადგან იცვლება როგორც თანამშრომლებისადმი წაყენებული მოთხოვნები, ასევე - კომპანიის პერსონალი თავისი მახასიათებლებით.

ამდენად, „ინდივიდების აუცილებელი მთლიანობა (ჰოლისტიკური კომპლექსი) წარმოადგენს მათი მხრიდან აუცილებელი ძალისხმევის მნიშვნელოვან ნაწილს. ღირებულებები, კულტურა, ეთიკა და ნორმები უნდა ახლდებოდეს მთლიანობაში, არა მხოლოდ ტექნოლოგიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამედროვე კაცობრიობა გახდება საკუთარი სიცრუის მსხვერპლი, რომელსაც ალბერტ აინშტაინმა უწოდა საშიშროება, რომ კაცობრიობა ფლობდეს ბრწყინვალე ინსტრუმენტებს გაუგებარი ან სულელური მიზნების მისაღწევად“ (Zizek, Mulej and Treven 2010). მხედველობაშია სასტუმრო კომპანიისთვის მეტად მეტად ღირებული - პერსონალის აქტივობა.

დასკვნა

- ბოლო წლების მსოფლიო ტენდენცია ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სასტუმრო კომპანიები თავიანთ საქმიანობებს უპირატესად ხარისხიანი მომსახურების საფუძველზე აგებენ, რაც განპირობებულია - სამეცნიერო, საინფორმაციო თუ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით. მათი ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფა პერსონალის სტრატეგიული მართვის გამოყენებით ხორციელდება;
- ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა ერთ-ერთი ყველაზე დომინანტური თემაა, რადგან წარმოადგენს დიდ გამოწვევას სასტუმრო კომპანიების მენეჯერებისთვის. პერსონალის მოზიდვა, შენარჩუნება და განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში, უნდა იყოს მათი გრძელვადიანი დაგეგმვის ჰორიზონტი; სასტუმროს სხვადასხვა კატეგორიისა და პროფესიული ჯგუფის თანამშრომელთან მიზანმიმართული და სისტემატური მუშაობა კი - მართვის ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებული;
- სპეციფიკურია არამხოლოდ სასტუმრო მომსახურების სფერო, არამედ - სასტუმრო საქმის სპეციალისტებისთვის წაყენებული მოთხოვნები; პერსონალის კომპეტენციები და თვისებათა რთული ნაკრები. მათი ფლობა ძალზედ მნიშვნელოვანია სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე დასაქმებულთათვის პროფესიული საქმიანობის შესასრულებლად;
- სასტუმრო პროდუქტის კომპლექსური ხასიათისა და ასევე, მმართველობითი და „წინა ხაზის“ (front of the house) პერსონალისთვის წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პერსონალის სტრატეგიული მართვა უნდა ხორციელდებოდეს „რბილი“ და „მკაცრი“ HR მიდგომების მისადაგებით. პერსონალ-მენეჯერის მიერ თანამშრომელთა ამ უნარების ჯეროვნად, კომბინირებულად მართვის პირობებში, კომპანია იძენს მოქნილ „ინსტიტუტის სტატუსს“.

შესაბამისად, განსაზღვრულია შემდეგ ინოვაციურ მიდგომებზე ფოკუსირება:

1. „ფირმის რესურსებზე დაფუძნებული ხედვა“ (RBV) - სადაც თითოეული კომპანია და მისი თანამშრომლები განიხილება, როგორც უნიკალური ერთეულები;
2. პერსონალის „ჰოლისტიკური“ განვითარება - გულისხმობს თანამშრომლების სპეციფიკური მახასიათებლების მართვის ყოვლისმომცველ მიდგომას დასწავლად („Hard“) და ინტერაქციულ („Soft“) უნარებთან ერთად;
- თანამშრომელთა შრომის ფსიქოლოგიის ასპექტების მხედველობაში მიღება უზრუნველყოფს:
 - ა) მომსახურე პერსონალთან კომპეტენტურად აწყობილ და მკაფიოდ სტრუქტურირებულ მუშაობას;
 - ბ) ორგანიზაციული მიზნებისათვის ოპტიმალური პიროვნებათაშორისი კომუნიკაციების განვითარებას.

შედეგად, გარედან კონტროლირებადი ქცევის ნაცვლად, თვითრეგულირებადი ქცევა ხელს უწყობს სასტუმროს მთელ პერსონალს, ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობებთან ერთად. საბოლოო ჯამში, ეს იწვევს თანამშრომლების მაღალი უკუგებით მუშაობას და, შესაბამისად, სასტუმროს მომსახურების უფრო მაღალ ხარისხს. ეს ფაქტორები მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენენ როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ბრენდირებული სასტუმროებისთვის თბილისის მასშტაბით.

შესაბამისად, **რეკომენდებულია** სასტუმრო კომპანიებმა უზრუნველყონ ფსიქოლოგიის საშტატო ერთეული, რომელიც გაამდიერებს მუშაობას პერსონალის ემოციური და ფსიქიკური მახასიათებლების დადგენის მიმართულებით; ასევე, პერსონალის „ჰოლისტიკური“ განვითარება, ხელს უწყობს სხვადასხვა - კვალიფიკაციის, პროფესიული მომზადებისა და პიროვნული თვისებების მქონე პერსონალზე ზემოქმედებას, რადგან იცვლება როგორც თანამშრომლებისადმი წაყენებული მოთხოვნები, ასევე - კომპანიის პერსონალი თავისი მახასიათებლებით. ღირებულებები, კულტურა, ეთიკა და ნორმები უნდა ახლდებოდეს მთლიანობაში, არა მხოლოდ ტექნოლოგიაში, მხედველობაშია, სასტუმრო კომპანიისთვის მეტად მეტად ღირებული, პერსონალის აქტივობა.

ლიტერატურა

1. Armstrong, Michael, and Stephen Taylor. 2014. Armnstrong's Handbook of Human Resouce Management Practice. Kogan Page;
2. Baliashvili, E. (2025). COMPETITIVENESS IN THE TOURISM AND HOSPITALITY INDUSTRY., ECONOMICS, VOLUME 107, ISSUE 6-7; ISSN 2587-4713., DOI: 10.36962/ECS107/6-7/2025;
3. Baliashvili, E. (2023). Constituent elements of personnel policy system and its regulation in Georgian tourism and hospitality industry., EKONOMISTI, 3 VOLUME XIX; ISSN 1987-6890., ISSN 2346- 8432., DOI: 10.36172/EKONOMISTI;
4. Beer, Michael, Bert Spector, Paul R Lawrence, and D. Q. Mills. 1984. Managing Human Assets: The Groundbreaking Harvard Business School Program. New York: Free Press;
5. Bourdieu, Pierre. 1989. „Social Space and Symbolic Power.“ Sociological Theory 14-25;
6. Boselie, Paul, Chris Brewster, and Jaap Paauwe. 2009. „In search of balance – managing the dualities of HRM: an overview of the issues.“ Personnel Review;
7. Cancer, Vesna. 2012. „Teaching Creative Problem Solving Methods to Undergraduate Economics and Business Students.“ Journal of Further and Higher Education 485–50;
8. Guest, David. 1987. „Human Resource Management and Industrial Relations.“ Journal of Management Studies (Oxford. Print) 503-521;
9. Kutateladze, M. (2024). Improving the quality of hotel services based on the perfection of human resource, Dissertation,
10. McGregor, D. (1960). Theory X and Theory Y. Organization Theory, 358, 5;
11. Page, Stephen J, Joanne Connell, Paul Brunt, and Graham Busby. 2001. Tourism: A Modern Synthesis. Boston: Cengage Learning Business Press;
12. Ramaraju, A. 2019. „Human Resource Management Philosophy“. International Journal of Social Sciences Research and Development (IJSSRD);
13. Shehata, Ali El Sayed. 2020. „The role of Marketing Innovation in Achieving Hotel's Business Excellence.“ Journal of Association of Arab Universities for Tourism and Hospitality 259-284;
14. Torrington, Derek, Laura Hall, and Stephen Taylor. 2008. Human Resouce Management. Financial Times Prentice Hall. p.35;
15. Zizek, Simona Sarotar, and Matjaz Mulej. 2013. „Social Responsibility: A Way of Requisite Holism of Humans and Their Well-Being.“ Kybernetes 318–35;
16. Zizek, Sarotar Simona, Matjaz Mulej, and Sonja Treven. 2010. „Requisite Holism of Individuals as a Precondition for the Humankind's Way Out from the 2008-Crisis.“ Scientific Annals of the Alexandru Ioan Cuza University of Iasi: Economic Sciences Series.

Strategic Management of Hotel Service Personnel Based on Innovative Approaches**Elisabed Baliashvili, Mariam Kutateladze****Abstract**

The article discusses the rapid growth of the hotel industry in the global economy, which is increasingly accompanied by heightened growing attention from companies on service quality. This trend highlights the critical need for strategic human resource management grounded in innovative approaches. Furthermore, it is essential that the recruitment, retention, and development of personnel be integrated into the long-term strategic planning of management. The aim research is to identify potential challenges in the strategic management of hotel service personnel and to determine innovative approaches to address these challenges. Also, raising awareness about the complex set of personality traits, characteristics, competencies, and specific requirements expected of hotel staff. The following aspects were identified and evaluated during the personnel strategic management process:

- The importance of recognizing each employee as a unique individual;
- The need to focus on the psychological aspects of personnel.

Accordingly, the authors propose that the implementation of strategic management in hotel companies should be based on the following innovative approaches:

1. „The Resource-Based View of the firm“;
2. „Holistic“ development of personnel.

In modern conditions, these approaches are unconditionally considered through a creative and innovative lens. They contribute to identifying the qualities of personnel, as well as discovering their potential abilities and competencies, with the aim of supporting their further development. This situation is particularly important, as both the requirements for employees and the characteristics of the company's personnel are changing. Values, culture, ethics, and norms must be updated as a whole, not just in terms of technology. For a hotel company, human resources represent a particularly valuable asset. Ultimately, this leads to high employee performance and, consequently, a higher quality of hotel service.

Keywords: Strategic personnel management; specific characteristics of staff; “hard” and “soft” management approaches; holistic development of personnel; employee uniqueness.